პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

— ხელმოწერილია ფინეთ-საბჭოთა შეთანხმება თავდაუსხმელობის შესახებ.

— ამიერ-კავკასიის წარმომადგენლების გამოსვლა გამომგონებელთა საზ-ბის საკავშირო ყრილობაზე.

კვირა, 24 იანვარი 1932 წ. ყოველდღიური გაზეთი № 21 (3275) ფასი 5 კაპ.

დირექტივა ს. ს. რ. კავ. სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის (1933–37 წლების) შესადგენად

(თეზისები ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) XVII კონფერენციაზე, ძირითადად მოწონებული საკ. კ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ).

I. პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ

1. **ხ**უთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის წარმოებული ბრძოლის მიღწევებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობაში. სოციალიზმის ამ მიღწევების საფუძველს წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, მძიმე ინდუსტრიის განვითარება, საწარმოო საშუალებათა წარმოების გაშლა. განვლილ პერიოდში ჩვენი მძიმე მრეწველობა მტკიცედ დადგა ფეხზე, და ამით შეიქმნა საკუთარი ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დასამთავრებლად, სოციალისტური მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის ბაზა. უკანასკნელ წლებში გაიშალა ახალ საწარმოთა მშენებლობა. უკვე შექმნილია საწარმოები, რომელთაც მრეწველობის ზოგიერთ დარგში უკან მოიტოვეს ევროპის ტეხნიკის დონე. ამასთან ერთად შესამჩნევად გაიზარდა მსუბუქი მრეწველობა, ხოლო კვების ინდუსტრიის გაშლის ტემპმა საგრძნობლად გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმის ამოცანებს.

2. **ს**ოფლის მეურნეობაში მოხდა ძირითადი გარდატეხა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები საბოლოოდ მობრუნდნენ სოციალიზმისაკენ. სოფლის მეურნეობაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს სოციალისტურმა ფორმებმა (კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი).

საბჭოთა კავშირი წვრილი და უწვრილესი მიწათმოქმედების ქვეყნიდან გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი მიწათმოქმედების ქვეყანად კოლექტივიზაციის საფუძველზე, საბჭოთა მეურნეობების განვითარების და სამანქანო ტეხნიკის ფართოდ გამოყენების საფუძველზე. სოციალიზმის ამ გამარჯვებას, რომელიც სწყვეტს პროლეტარული რევოლიუციის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და დიდ ამოცანას, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

3. **პ**ირველი ხუთწლედის სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს კაპიტალიზმისათვის ძირის საბოლოოდ გამოთხრა სოფლად, რაც უზრუნველჰყოფს კაპიტალისტურ ელემენტების სრულ ლიკვიდაციას და კლასების სრულიად მოსპობას. სოციალიზმის საძირკველის აგების დამთავრება საბჭოთა კავშირში ნიშნავს, რომ ლენინის მიერ დასმული საკითხი „ვინ—ვის" როგორც ქალაქში, ისე სოფლად, სავსებით და საბოლოოდ გადაჭრილია კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის სასარგებლოდ.

4. **უ**კვე პირველ ხუთწლედში სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპების განხორციელების და პარაზიტული კლასების ძირითადად ლიკვიდაციის შედეგად, ისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის საფუძვლები და წყაროები, კაპიტალისტური ქვეყნებისათვის მიუღწეველი ტემპებით იზრდება სახალხო შემოსავალი, მოსპობილია უმუშევრობა და სილატაკე (პაუპერიზმი), ისპობა „ფასების მაკრატელი" — წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის, წლიდან წლამდე იზრდება მუშათა, მშრომელთა და გლეხთა კეთილდღეობა და კულტურული დონე, კლებულობს სიკვდილიანობის პროცენტი, სწრაფად იზრდება საბჭოთა კავშირის მოსახლეობა.

5. **ყ**ველა ეს მიღწევები არის მუშათა კლასის, მშრომელთა და გლეხთა უფართოესი მასების რევოლიუციონური აქტივობის ბუმბერაზული ზრდის შედეგი, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის უაღრესად გაძლიერების შედეგიდა, ბოლოს, ჩვენი პარტიის ლენინური პოლიტიკის შედეგი, პარტიის, რომელიც თანამიმდევრობით ანხორციელებდა მთელს ფრონტზე გაშლილ შეტევას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

6. **პ**არტიამ ამ წარმატებებს მიაღწია ტროცკიზმის ბურჟუაზიულ თეორიასთან — ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის აუცილებლობის შესახებ — ბრძოლაში, ტროცკიზმის, რომელიც ამჟამად გადაიქცა ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის მოწინავე რაზმად.

პარტიამ აღნიშნულ წარმატებებს მიაღწია იმ მემარჯვენე ოპორტუნიზმთან ბრძოლაში, რომლის ხაზი მიმართული იყო არა მარტო სოციალისტური შეტევის პოლიტიკის ჩაშლისაკენ, არამედ აგრეთვე კულაკობისა და ბურჟუაზიული ელემენტების წინაშე პირდაპირი კაპიტულიაციისაკენ.

მხოლოდ გადამწყვეტი ბრძოლით, როგორც „მემარცხენე", ისე მემარჯვენე ოპორტუნიზმის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისთვის, საკავშირო კომუნისტურმა პარტიამ (ბ) უზრუნველჰყო წინასწარი პირობების შექმნა პირველი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, კლასობრივი მტრის განადგურებისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირში.

II. მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები

პირველი ხუთწლედის განხორციელების საქმეში მიღწეულმა წარმატებებმა ნიადაგი მოუმზადა სოციალიზმის შემდგომ, კიდევ უფრო მძლავრ, ზრდას საბჭოთა კავშირში. საკ. კ. პ. (ბ) მე-17 კონფერენციის აზრით, ჩვენი ქვეყნის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი, სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპები, მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასების აქტივობის ზრდა და პარტიის სწორი ხაზი — სავსებით უზრუნველჰყოფს სოციალისტური მეურნეობის საწარმოო ძალთა ისეთ გაშლას მეორე ხუთწლედში, რომლის საფუძველზე კაპიტალისტური ელემენტები საბჭოთა კავშირში საბოლოოდ მოისპობა. მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანად კონფერენციას მიაჩნია კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია და სრულიად მოსპობა ყველა დანარჩენი ფაქტორების, რომელნიც ქმნიან კლასობრივ განსხვავებასდა ექსპლოატაციას, ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გარდაქმნა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ, აქტიურ მშენებლებად.

პარაზიტულ კლასობრივ ელემენტების ლიკვიდაციისა და სახალხო შემოსავალის საერთო ზრდის საფუძველზე, შემოსავლის, რომელიც მთლიანად მიდის მშრომელთა განკარგულებაში, მიღწეულ უნდა იქნას მუშათა და გლეხთა მასების კეთილდღეობის გაცილებით უფრო სწრაფად გაუმჯობესება. კონფერენცია სთვლის, რომ საკვები პროდუქტებით მომარაგება მეორე ხუთწლედის დასასრულს პირველი ხუთწლედის დასასრულთან შედარებით უნდა გაიზარდოს სამჯერ მაინც.

1. **ა**მ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მთელი სახალხო მეურნეობის გაშლილი ტეხნიკური რეკონსტრუქციის საფუძველზე. პირველ ხუთწლედის დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირმა ძირითადად დაამთავრა აღდგენითი პერიოდი და უკანასკნელ წლებში შეუდგა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი ძირითადი დარგების, კერძოდ მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქვანახშირის მრეწველობის რეკონსტრუქციას; ნავთის მრეწველობაში რეკონსტრუქცია კიდევ უფრო ადრე გატარდა. განსაკუთრებული ადგილი უკავია ტეხნიკურ ბაზაზე ფართოდ გაშლილ რეკონსტრუქციას. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ პირველ ხუთწლედში მიღწეული წარმატებანი წარმოადგენენ სახალხო მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის განხორციელების დასაწყისს. ამჟამად მრეწველობის და ტრანსპორტის მოწყობილობა, რომ არაფერი ვსთქვათ სოფლის მეურნეობაზე, არასაკმაო და ამავე დროს დაძველებული და გაცვეთილია. ასეთ პირობებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგების ტეხნიკური რეკონსტრუქციის გატარების გარეშე, მათთვის უახლესი სამანქანო ტეხნიკური ბაზის შექმნის გარეშე შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპები, რომლებსაც მოითხოვს მეორე ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანების განხორციელება.

ამიტომ საკ. კ. პ. (ბ) მე-17 პარტკონფერენციას მეორე ხუთწლედის ძირითად გადამწყვეტ სამეურნეო ამოცანად მიაჩნია მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრება და სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის უახლესი ტეხნიკური ბაზის შექმნა. ტეხნიკური რეკონსტრუქციის დამთავრებაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის მანქანათმშენებლობას. კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია მანქანათმშენებლობის პროდუქციის გადიდება ხუთწლედის დასასრულს სამნახევარჯერ მაინც 1932 წელთან შედარებით, ისე, რომ მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და სხვ. რეკონსტრუქციის საჭიროებანი დაკმაყოფილებულ იქნას სახელმწიფოს შიგნით დამზადებულ საუკეთესო თანამედროვე მანქანებით.

სახალხო მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს უახლესი ენერგეტიული ბაზის შექმნა, რომელიც დაეყრდნობა მრეწველობის და ტრანსპორტის უფართოეს ელექტროფიკაციას, ელექტრო-ენერგიის თანდათანობით გავრცელებას სოფლის მეურნეობაში წყლის ენერგიის, ქვანახშირის საბადოების, ადგილობრივ ძირითად ბასეინების დაადგილობრივი სახის სათბობის (ტორფი, ფიქალი) გამოყენებით. კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია 1937 წელს მიღწეულ იქნას ელექტრო-ენერგიის გამომუშავება არა ნაკლებ 100 მილიარდი კილოვატ-საათისა, 1932 წლის 17 მილიარდის ნაცვლად, ქვანახშირის ამოღება უნდა გაიზარდოს 250 მილიონ ტონამდე მაინც, 1932 წლის 90 მილიონის ნაცვლად, ნავთის ამოღება გადიდებულ უნდა იქნას ორ ნახევარ—სამჯერ.

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 კონფერენცია სცნობს, რომ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგების მიმართ მეორე ხუთწლედში უნდა დაისვას შემდეგი ამოცანები:

ა) შავი მეტალურგიის დარგში— გათვალისწინებულ იქნას არა ნაკლებ 22 მილიონი ტონა თუჯის გამოდნობა 1937 წელს მანქანათმშენებლობისათვის საჭირო ხარისხოვანი ფოლადის გამოშვების უზრუნველჰყოფით, რისთვისაც ჩატარებულ იქნას შავი მეტალურგიის სრული ტეხნიკური რეკონსტრუქცია ახალი ქარხნების აშენებით, ახალი მძლავრი მოწყობილობათა დადგმით, ნედლეულის გულდასმით მომზადებით, ელექტროპროცესების დანერგვით და დამხმარე პროდუქტების გამოყენებით.

ბ) ფერადი მეტალურგიის დარგში — ხუთწლედის განმავლობაში სასელექციო ფლოტაციის, მტვრად ქცეული მადანის, ნედლეულის ახალი სახეების და სხვ. გამოყენებით, მიღწეულ იქნას სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ალიუმინის და მწვავე ელემენტების გამოდნობა ისეთი რაოდენობით, რაც სავსებით დააკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას.

გ) ქიმიური მრეწველობის დარგში — სავსებით მოხდეს მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებიდან ჩამორჩენის ლიკვიდაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ძირითადი ქიმიის განვითარებას, უწინარეს ყოვლისა სასუქების წარმოებას, რისთვისაც უზრუნველჰყოფილ იქნას ქარხნების გადაკეთება და ახალი მშენებლობის ყოველნაირად გაშლა.

დ) რკინის გზის ტრანსპორტის დარგში ჩატარებულ იქნას რკინის გზის ტრანსპორტის რადიკალური რეკონსტრუქცია ახალი რკინის გზების მშენებლობის გაშლით არა ნაკლებ 25—30 ათას კილომეტრ მანძილისა, წყლის მთავარ გზებზე რამდენიმე ათეული ახალი ხიდების აგებით, მძლავრი ორთქლმავლების და დიდი ტვირთის ვაგონების შემოღებით, მთელ რიგ გზებზე ელექტროფიკაციის გაშლით და ავტოგადაბმის, ავტობლოკირობის და თბომავლების ფართოდ შემოღებით. რკინის გზის ტრანსპორტის განვითარებამ უნდა უზრუნველჰყოს მთელი რიგი იმ რაიონების და ნაციონალური რესპუბლიკების მეურნეობის გაუმჯობესების დაჩქარება, რომელთა საჭიროებების მომსახურება წარსულში არადამაკმაყოფილებელი იყო.

წყლის ტრანსპორტის დარგში— ჩატარებულ იქნას საზღვაო და მდინარეთა ფლოტის რეკონსტრუქცია, წყლის ახალი გზების გამოყენება და უკვე არსებულთა გაუმჯობესებამდინარისა და საზღვაო მოწყობილ ნავთსადგურების მშენებლობა.

საგზაო და გზატკეცილების მშენებლობის და ავტომობილიზაციის დარგში — უზრუნველჰყოფილ იქნას განვითარების უფრო სწრაფი ტემპები, ტრანსპორტის სხვა სახეებთან შედარებით.

საჰაერო მიმოსვლა განვითარებულ იქნას ყველა მთავარ მიმართულებით, როგორც შორეულ რაიონებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება.

საგრძნობლად იქნას განვითარებული ყოველგვარი კავშირგაბმულობა, განსაკუთრებით რადიო.

ე) მსუბუქი და კვების მრეწველობის ხაზით — ყოველმხრივ გაიშალოს უმნიშვნელოვანესი დარგების წარმოება მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის შექმნის და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზის თვალსაჩინოდ გაფართოების საფუძველზე, და უზრუნველჰყოფილ იქნას მოხმარების ნორმის გასამკეცება სულადობის მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული, რომ საჭიროა მსუბუქი და საკვები მრეწველობის გაძლიერებით განვითარება ახალ რაიონებში, სახელდობრ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების რაიონებში.

სატყეო მრეწველობის დარგში, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელი მშენებლობისათვის, უზრუნველჰყოფილ იქნას ზრდის სათანადო ტემპები და მექანიზაციის ჩატარება.

ვ) სოფლის მეურნეობის დარგში — განხორციელებულ იქნას სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრება იმ ანგარიშით, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა სამსახური გაუწიონ ყველა კოლმეურნეობებს და ძირითადად დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია.

კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების და კოლმეურნე მასების სოციალისტურად აღზრდის ამოცანები უნდა მოექცეს მეორე ხუთწლედის ყურადღების ცენტრში.

საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გააფართოვონ თავიანთი წარმოება ყველა ხაზით, მათ შორის ტეხნიკური კულტურების და მეცხოველეობის ხაზით, და გააძლიერონ თავიანთი როლი — წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის, სოფლის მეურნეობისათვის უმაღლესი სამანქანო ტეხნიკის შეფარდების და თანამედროვე აგრონომიისა და ზოოტეხნიკის ყველა მიღწევათა ნიმუშების როლი.

მეცხოველეობის დარგში მეორე ხუთწლედში მიღწეულ იქნას ჯოგის ისეთი გადიდება და სასაქონლო პროდუქციის ისეთი ზრდა, რომელიც შეეფერება საბჭოთა კავშირისათვის მეცხოველეობის პრობლემის ძირითადად გადაჭრას, როგორცამას მიაღწია პარტიამ პირველ ხუთწლედში მარცვლეულის პრობლემის მიმართ.

ბამბისა და სელის დარგში უზრუნველჰყოფილი იქნას მთლიანი პროდუქციის გაორკეცება მაინც, ხოლო შაქრის ჭარხლის გასამკეცება მაინც.

ყველა ეს ღონისძიებები სოფლის მეურნეობის დარგში მოითხოვენ მარცვლეულის მეურნეობის შემდგომ და უფრო სწრაფად ზრდას იმ ანგარიშით, რომ მარცვლეულმა პროდუქციამ მეორე ხუთწლედის დამლევისათვის მიაღწიოს 1.300 მილიონ ცენტნერს მაინც. ამიტომ მეორე ხუთწლედის ცენტრალურ ამოცანად უნდა გადაიქცეს საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის გადაჭრით გადიდება და გვალვასთან ბრძოლის საკითხის ბოლშევიკურად გადაჭრა.

2. **ს**ახალხო მეურნეობის სრული ტეხნიკური რეკონსტრუქციის ამოცანათა განხორციელება განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი სამეურნეო კადრების მიერ ტეხნიკის დაუფლების საქმესთან, მუშებისა და გლეხებისაგან საკუთარი ტეხნიკურიინტელიგენციის ფართო ახალი კადრების შექმნასთან და მშრომელთა მთელი მასების კულტურული დონის გადაჭრით აამაღლებასთან. საბჭოთა კავშირში ტეხნიკური კადრების რიცხობრივმა ზრდამ ოდნავადაც არ უნდა დაჩრდილოს მათი სამეცნიერო კვალიფიკაციის და მათ მიერ მსოფლიო მეცნიერებისა და ტეხნიკის ყველა ძირითად მიღწევათა სათანადოდ შეთვისების საჭიროების საკითხის მნიშვნელობა. ტეხნიკური კადრების პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლიუციის ამოცანების ბოლშევიკურად განხორციელების და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს.

3. **ი**მისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ბოლშევიკური ტემპები და უკეთესად იქნას დაკმაყოფილებული სოფლისა და ქალაქის ფართო მასების მოთხოვნილებანი ფართო მოხმარების საგნებზე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საქონლის ბრუნვის გაშლას. საქონლის ბრუნვის გაშლა, პირველ რიგში კი საცალო ვაჭრობის, და მთელ სამეურნეო მუშაობაში სამეურნეო ანგარიშის პრინციპის გატარებაწარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სტიმულს ჩვენს მეურნეობაში არსებულ, ჯერ კიდევ გამოუყენებელ უდიდესი შინაგანი რესურსების გამოაშკარავებისათვის, სოციალისტური დაგროვების ზრდის დაჩქარებისათვის და ანმტკიცებს მთელი სოციალისტური მშენებლობის მატერიალურ ბაზას.

ამასთან მხოლოდ საქონლის ბრუნვის გაშლის საფუძველზე არის შესაძლებელი მუშებისა და სოფლის მშრომელთა სამრეწველო საქონლით და სასოფ.-სამეურ. პროდუქტებითმომარაგების შემდგომი სწრაფი გაუმჯობესების უზრუნველყოფა, რისთვისაც საჭიროა მაღაზიების, დუქნების და მთელი სავაჭრო ქსელის ყოველნაირად გაფართოება და მისი ტეხნიკური რეკონსტრუქცია. მხოლოდ ამ საფუძველზე არის შესაძლებელი მომზადდეს საქონლის გაცემისდანორმვის გაუქმება და ცენტრალური განაწილების სისტემა შეიცვალოს გაშლილი საბჭოთა ვაჭრობით.

ამასთან კონფერენცია აღნიშნავს ანტი-ბოლშევიკური ხასიათის „მემარცხენე" ფრაზას „პროდუქტების გაცვლაზე" გადასვლისა და „ფულის მოსპობის" შესახებ სოციალიზმის მშენებლობის ეხლანდელ სტადიაში. კონფერენცია მეორე მხრით აღნიშნავს სამეურნეო ანგარიშის პრინციპის ბურჟუაზიულ-ნეპმანურ დამახინჯებას, რაც შეუთავსებელია პარტიის პოლიტიკასთან და მუშათა კლასის ინტერესებთან და, რაც გამოიხატება ხალხის საერთო სახელმწიფო რესურსების განიავებაში, მასადამე დაწესებულ სახალხო-სამეურნეო გეგმების ჩაშლაში.

სოციალიზმის ახალ წარმატებებს მუშათა კლასი უზრუნველყოფს მხოლოდ კაპიტალიზმის ნაშთებთან ბრძოლით, მომაკვდავ კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგობისდაუზოგავად დაძლევით, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ცრუ წარმოდგენათა აღმოფხვრით მშრომელთა შორის და შეუპოვარი მუშაობით მათი სოციალისტური აღზრდისათვის.

სოფლის მეურნეობის სრული კოლექტივიზაცია, მსხვილი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ზრდა, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების შეიარაღება მოწინავე სამანქანო ტეხნიკით, რაც სასოფლო-სამეურნეო შრომას ხდის ერთგვარ ინდუსტრიალურ შრომად, სატრანსპორტო კავშირის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის შორის საქონლის ბრუნვის კავშირის საგრძნობლად განმტკიცება ქმნის პირობებს ქალაქისა და სოფლის დაპირდაპირების სრულიად მოსპობისათვის.

სოციალისტური მეურნეობის სწრაფი ზრდა მეორე ხუთწლედის მანძილზე ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში უზრუნველჰყოფს ეროვნებათა იმ ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის აღმოფხვრას, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეს მეფის კოლონიალური კაპიტალისტური რეჟიმისაგან.

(ადს).

საბჭოთა კავშირი მეორე ხუთწლედში პირველ ადგილს იჭერს ევროპაში ტეხნიკური მხრით. პირველხუთწლედში გაშლილი მუშაობა იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი—მანქანებისა და მოწყობილობის შემომტანი ქვეყანა გადაგვექცია მანქანებისა და მოწყობილობის დამოუკიდებლად დამამზადებელ ქვეყნად საბოლოოდ დამთავრდება და „უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დამოუკიდებლობას, რაც დაიცავს საბჭოთა კავშირს იმისაგან, რომ იგი გადაიქცეს კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობის დამატებად" (საკ. კ. პ. (ბ) მე-14 ყრილობა).

ყოველივე ეს უკვე მეორე ხუთწლედში ქმნის შესაძლებლობას იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი დაეწიოს ტეხნიკურ — ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურქვეყნებს მთელ რიგ სამეურნეო დარგებში; ულრმესი კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში უდავოდ ამტკიცებს კაპიტალისტური მსოფლიოს დამხობის მოახლოებას, სოციალიზმის წარმატებანი საბჭოთა კავშირში საუკეთესოდ ამტკიცებენ სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

კაპიტალის ქვეყნებში ადგილი აქვს წარმოების კატასტროფიულ დაცემას, მასიურად შემცირებას და ფაბრიკა-ქარხნების გაჩერებას, საწარმოო ძალების უმაგალითო ნგრევას. საბჭოთა კავშირში კი ადგილი აქვს წარმოების განუწყვეტელ ზრდას, ფაბრიკებისა და ბუმბერაზ ქარხნების ახალი მაღაროების და ელსადგურების მშენებლობის სულ უფრო და უფრო გაშლას, საწარმოო ძალების ზრდის ისეთ ტემპს, როგორიც მიუწვდომელია კაპიტალიზმისათვის.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მრავალი მილიონი ადამიანი განიცდის საშინელ უმუშევრობას, ხოლო სოფლის მრავალმილიონიანი მასები — უკიდურეს სილატაკეს. საბჭოთა კავშირში სავსებით მოსპობილია უმუშევრობა და სილატაკე, ფაბრიკა-ქარხნებში შემოღებულია შვიდი საათის სამუშაო დღე, განუწყვეტლივ უმჯობესდება ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების კეთილდღეობა.

ყოველივე ეს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის საბჭოთა კავშირს ყველა ქვეყნის მუშებისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთათვის. საბჭოთა კავშირის გამარევოლიუციონერებელი როლი იზრდება. საბჭოთა კავშირი მტკიცდება, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ბაზა.

საკ. კ. პ. (ბ) მე-17 კონფერენცია მტკიცედ არის დარწმუნებული იმაში, რომ მეორე ხუთწლედის ძირითადი დავალებანი შესრულდება მთლიანად და გადაჭარბებით, რომ მათი განხორციელებისათვის საჭირო შრომის ნაყოფიერების გადიდებას უზრუნველყოფენ საბჭოთა კავშირის მშრომელნი, რომ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მონაწილეთა რიგები დღითი-დღე გაიზრდება.

კონფერენცია ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ მუშათა კლასი და კოლმეურნეთა მასები პარტიულ, კომკავშირულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების სახით ჰპოვებენ მეორე ხუთწლედის განხორციელებისათვის ძლევამოსილი ბრძოლის ბოლშევიკურ ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს.

მოსკოვი, 22 იანვარი.

საქ. კ. პ. (ბ) VIII ყრილობა

ამხ. ბერიას მოხსენების გამო ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„საქართველოს კ. პ. (ბ) მერვე ყრილობა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობის პოლიტიკურ ხაზს სცნობს სწორად და ჩატარებულ მუშაობას დამაკმაყოფილებლად"

კამათი ამხ. ლ. ბერიას მოხსენების გარშემო

ამხ. ურუშაძე

(ალაზნის საბჭოთა მეურნეობა)

ამხანაგებო! ყველასათვის ცხადია, ის დიდი მუშაობა, რომელიც გაშალა ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომების გამოსწორების მიზნით.

აქ გამოდიოდნენ ძველი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები და აცხადებდნენ, რომ შეცდომები გამოიწვია გადაჭარბებული გეგმების მიცემამ. მართალი იყო ამხ. მელაძე, რომელმაც გუშინ განაცხადა, რომ საქმე მარტო გეგმებში არ არის. მთავარია ამ გეგმის გატარება. და როდესაც ასე მიუდგებით საკითხს, გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული მუშაობის მეთოდები არაფრად არ ვარგოდა და ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკური პარტიის პრაქტიკას.

მე, ამხანაგებო, ცენტრალურმა კომიტეტმა გამგზავნა ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში. თუ ძველი ხელმძღვანელობის შეცდომები საერთოდ თვალსაჩინოა მთელს ჩვენს მუშაობაში, ისინი ყველაზე უფრო ნათლად მოსჩანან ალაზნის საბჭოთა მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობის მიხედვით.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ საბჭოთა მეურნეობა თავისი მდგომარეობით მოწოდებულია—მაგალითის მიმცემი იყოს ღარიბ და საშუალო გლეხკაცობისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ალაზნის საბჭოთა მეურნეობაზე. თუ ის იძლევა რამე მაგალითს, ეს მაგალითი მხოლოდ უარყოფითი მუშაობის ნიმუშებია.

მდგომარეობა ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში მეტად მძიმეა. ეს ერთნაირად შეეხება ამ მეურნეობის თითქმის ყველა დარგს. საუკეთესო „ფარმანი"-ს სისტემის ტრაქტორები, რომლის შემოზიდვაც უცხოეთიდან ეხლა არ სწარმოებს და რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში მექანიზაციის გატარებისათვის, ღია ცის ქვეშ დგანან და მათ აფუჭებს წვიმა და თოვლი.

ასევე უნდა ითქვას ალაზნის საბჭოთა მეურნეობის საბინაო მშენებლობაზე. აქ ჩვენ განზრახული გვქონდა მუშა-ხელის ბინებით უზრუნველყოფა, მაგრამ ბინები არა გვაქვს არც მუშა-ხელისათვის და არ გვაქვს არც თვით საწარმოო ხასიათის ნაგებობანიც კი.

ამხ. ზვიადაძე

(ჭიათურა)

სამი დღეა ყრილობა მსჯელობს ამხ. ბერიას მოხსენების გარშემო და ამჟღავნებს ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებს. მე შემიძლია ჭიათურის მაგალითის მიხედვით მოვიყვანო მრავალი კონკრეტული ფაქტები ძველი ხელმძღვანელობის არა ბოლშევიკური მუშაობის დასახასიათებლად. მართალია, ამ შეცდომებში ბრალი მიუძღვის ადგილობრივ მუშაკებსაც. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პასუხისმგებლობას უმთავრესად პარტია აკისრებს, და ეს სწორიც არის, ცენტრალურ ხელმძღვანელობას, როგორიც იყო ამ.-კავკასიისა და საქ. კომუნისტური პარტიის ძველი მეთაური მუშაკები.

მე მინდა, ამხანაგებო, ყრილობის ყურადღება უმთავრესად შევაჩერო მრეწველობაზე. თქვენ იცით, რომ ჭიათურას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს მრეწველობაში. იმისათვის კი, რომ შავი ქვის წარმოება ჩვენში სათანადო დონეზე დადგეს, აუცილებელია ჩატარებულ იქნას ამ წარმოების მექანიზაცია. დღეს ეს საქმე მხოლოდ შეიძლება განხორციელებულად ჩაითვალოს მარტო 6 პროც.

მექანიზაციის ჩატარების საქმეში ჩვენ გამოვიყენეთ დონბასის მიღწევები, გავაგზავნეთ სპეციალური ბრიგადები, ჩამოვიტანეთ იქაური მანქანები და აღმოჩნდა, რომ დონბასში ხმარებული მანქანები სავსებით გამოსადეგია ჭიათურის მრეწველობაშიაც. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ თუ ჭიათურის წარმოება არ შეიძლება მოვამარაგოთ უცხოეთიდან შემოზიდულ მანქანებით, ის უზრუნველყოფილი იქნას საბჭოთა კავშირში ხმარებულ მანქანებით მაინც, რომელთა დამზადებაც ჩვენს ქარხნებში ხდება.

დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება ხელფასის ის დონე, რომელიც დღეს არის დაწესებული შავის ქვის მუშებისათვის ჭიათურაში. უნდა ითქვას, რომ ჭიათურა ამ მხრივ ბევრად ჩამორჩება საბჭოთა კავშირის მარგანეცის მრეწველობის სხვა რაიონებს, როგორიც არის, მაგალითად, ნიკოპოლის და კრივოი-როგის მარგანეცის წარმოება. აქ, ამ წარმოებებში, გადიდებული ხელფასი, ხოლო ჭიათურაზე ეს რატომღაც არ იქნა გავრცელებული მაშინ, როდესაც მუშაობის პირობები ჭიათურის მაღაროებში გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ნიკოპოლისა და კრივოი-როგის წარმოებებში. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ ახალი ხელმძღვანელობა შესძლებს შეამჭიდროვოს პარტიის ხაზის გარშემო მთელი საქართველოს კომუნისტური პარტია რაც უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებებს—სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე

ამხ. გიორგობიანი

(ტყიბული)

უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ არც ერთ პოლიტიულ ყრილობების და კონფერენციების წინ საქართველოს პარტორგანიზაციას არ ემჩნეოდა ის აქტივობა, რომლის მოწამენიც დღეს ჩვენ ვართ; და ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას უმნიშვნელოვანესი დადგენილება—წარსული წლის 31 ოქტომბრის თარიღით.

მე მინდა შევეხო ტყიბულის მაღაროების მდგომარეობას; უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ მრავალი დადგენილებები გვაქვს ამ მაღაროების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ მარტო კარგი დადგენილებები საქმეს ვერ შველის; საჭიროა ამასთან ერთად პრაქტიკული, სისტემატიური მუშაობა და უშუალო დახმარების გაწევა ტყიბულის ორგანიზაციებისათვის—მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების საქმეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშა-ხელის ნაკლებობა. დამახასიათებელია ძველი ხელმძღვანელობის „დახმარება" ამ მხრივ. დევდარიანი იყო ჩვენთან ტყიბულში და, როდესაც მას შევჩივლეთ მუშა-ხელის ნაკლებობაზე, ის დაკმაყოფილდა მხოლოდ დეპეშების დაგზავნით ცალკე რაიონებში. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ თითქმის არც ერთ რაიონს არ გამოუგზავნია მუშა-ხელი გარდა ჩხარის რაიონისა, რომელმაც მოგვცა 150 კაცი.

ყრილობის დელეგატები

ნახ. — გ. კროტკოვის



ამხ. ტაბიძე (ნატანების კოლმეურნეობა)

ერთი კურიოზი: ამბროლაურის რაიონმა შეგვატყობინა, რომ ვგზავნით 400 კაცს. ტყიბულის ორგანიზაცია მოემზადა მათ შესახვედრათ. ორკესტრით და დროშებით ავედით ნაქერალას ქედზე, მაგრამ ხელში შეგვრჩა მხოლოდ 15 კაცი!

გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ამხ. ფ. მახარაძის წერილი რაიონებისა და ცენტრალურ ორგანოების ურთიერთობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. უბრალო საქმეებზე გვიხდება რაიონიდან ცენტრში სიარული და მთელი დღეობით უშედეგოდ ლოდინი ცენტრალური დაწესებულებებში.

ცნობილია, ამხანაგებო, რომ თბილისს და ბაქოს კეთილმოწყობისათვის ესაჭიროება გრანიტის ქვა, ჩვენს რაიონში არის გრანიტის წარმოება; მაგრამ იქ დაგროვებულია დიდძალი მზა პროდუქცია, რომლის გამოტანაშიაც არ გვიწყობს ხელს რკინის გზის ტრანსპორტი, გარდა ამისა გრანიტის წარმოებაზე ჩვენ გვინდოდა 900 კაცის მოყვანა, მაგრამ ბინა გვაქვს მხოლოდ 100 მუშისათვის.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა ჩემს შეცდომებზე: უნდა ვაღიარო, რომ ძველი ხელმძღვანელობის ჯგუფობრიობაში მეც ვიღებდი მონაწილეობას, მეც მოვაწერე ხელი იმ განცხადებას, რომელიც მიმართული იყო ამხ. მარიამ ორახელაშვილის წინააღმდეგ. მაგრამ მე მიკვირს—რატომ არაფერს არ ამბობს ამის შესახებ ასრიბეკოვი, რომელიც აგრეთვე თვითონაც ღებულობდა მონაწილეობას უპრინციპო დაჯგუფებაში?

არ არის მართალი, როდესაც მამულია გუშინ აცხადებდა, რომ ჯგუფობრიობას ადგილი არ ქონია.

ამხ. სინიოვი

(რკინის გზა)

უნდა განვაცხადო, რომ მამულიას გუშინდელმა გამოსვლამ ყრილობაზე მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. მისი გამოსვლა არ ყოფილა ბოლშევიკური (ხმები: მართალია). მაგრამ მე ამაზე არ შევჩერდები, რადგან ამის შესახებ საკმაოდ ითქვა, და მე მინდა ვილაპარაკო რკინის გზის მდგომარეობაზე.

ყოველდღიურად, ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ფუჭდება 8 ორთქლმავალი, ამრიგად იზრდება, ავადმყოფ ორთქლმავალთა რიცხვი.

რას უნდა მიეწეროს ეს? ეს ხდება, ამხანაგებო, იმიტომ, რომ ორთქლმავლების რემონტი ცუდია; რომ რკინის გზაზე ჯერ კიდევ გატარებული არ არის საბოლოოდ გაწყვილებული მგზავრობა.

უნდა აღიკვეთოს ერთხელ და სამუდამოდ დეპოდან დაზიანებული ორთქლმავლების გამოყვანა მატარებლისათვის; ამას კი დღეს ხშირად აქვს ადგილი. ამის გამო მატარებლები ზოგჯერ გზაში დგებიან და ეს ჰქმნის დიდ დაბრკოლებებს.

ცუდად არის დაყენებული რკინის გზების მატერიალური მომარაგების საქმე. ეს შეეხება არა მარტო საკავშირო ორგანოებს, არამედ ადგილობრივ—ამიერ-კავკასიის ორგანოებსაც.

ძალიან დიდ უყურადღებობას იჩენენ საქონლის სწორი მარშრუტიზაციისადმი კლიენტები. მაგალითად, ამხანაგებო, ამჟამად თბილისის სადგურზე სდგას 90 ვაგონი კომერციული შაქარით დატვირთული. და ეს ვაგონები რამდენიმე დღე დაუცლელია. ამავე დროს ფოთში შაქარი ვერ გადმოუტვირთავთ გემებიდან, ვინაიდან არა გვაქვს ცარიელი ვაგონები.

ცუდია რკინის გზაზე შრომის დისციპლინაც. ამხანაგური სასამართლოები ვერ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად; ვერც პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები დგანან ყოველთვის თავის სიმაღლეზე ამ მხრივ.

ამხ. ბეროძე

(ქუთაისი)

ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ქუთაისის რაიონშიაც. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას სიმინდის დამზადების შესახებ. ჩვენ ჩამოვართვით კოლმეურნეობებს არა თუ სასაქონლო, არამედ სამომხმარებლო ნორმაც კი.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ძველი ხელმძღვანელობის დროს არ იყო კოლეგიალური მუშაობა. საკითხს სწყვეტდა უპრინციპო ჯგუფები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას ყოფილი მდივანი გაიოზ დევდარიანი ყოველი სახით გვემუქრებოდა ჩვენ—ქუთაისის მუშაკებს იმისათვის, რომ ქუთაისმა უარი განცხადა ცეკას მიერ მოწოდებულ ბამბის თესვის მაქსიმალური გეგმის განხორციელებაზე. დევდარიანი ამასთანავე მიგვითითებდა ზესტაფონის რაიონზე: „აიღეთ მაგალითი ამ რაიონიდან, შეხედეთ—როგორ სწრაფად იზრდება იქ კოლექტიური მეურნეობანი". მაგრამ ქუთაისის ორგანიზაციამ იმდენი წინდახედულება გამოიჩინა, რომ ის ბრმად არ გაყვა ასეთ უხეირო მაგალითს.

მინდა აგრეთვე ვილაპარაკო კომუნისტებისა და კომკავშირელების როლზე კოლმეურნეობებში. შემჩნეულია, ამხანაგებო, რომ ზოგიერთი კომუნისტი და კომკავშირელი კოლმეურნეობის წევრები გაურბიან მუშაობას და უფრო ადვილ საქმეს ეტანებიან. ასეთი მაგალითები არის ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს და ძირშივე უნდა აღიკვეთოს ეს უმსგავსოებანი. კომუნისტები შრომის ენტუზიასტები და მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ არა მარტო წარმოებაში, არამედ კოლმეურნეობაშიაც.

ამხ. თვალჭრელიძე

(ლენინის რაიონი)

ძველ ხელმძღვანელობას არ შესწევდა უნარი პოლიტიკური შეფასება მიეცა მის მიერ წარმოებულ მუშაობისათვის. ისინი მხოლოდ მექანიკურად, ტეხნიკურად უდგებოდნენ საკითხებს და ამით აიხსნება მთელი რიგი უხეში შეცდომები. მაგრამ ამაზე აქ საკმაოდ ითქვა.

მე მინდა ვილაპარაკო რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ. ჩვენს რაიონში სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანას აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. გეგმა გადაჭარბებით სრულდება. მაგრამ, ამხანაგებო, არ არის მართალი ამ საქმის დირექტორი, რომელიც ამტკიცებს თითქოს ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნიდან გამოშვებულ ორთქლმავლების ხარისხი უნაკლო იყვეს. რომ ეს ასე არ არის, ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქარხნიდან ახლად გამოშვებული ორთქლმავლების ხელმეორედ შეკეთება არც თუ ისე იშვიათ შემთხვევებს წარმოადგენს. განმეორებითი რემონტი სტალინის სახელობის ქარხნის ერთ-ერთ ნაკლს წარმოადგენს, რომელიც უნდა გამოსწორებულ იქნას.

მოიკოჭლებს რკინის გზაზე აგრეთვე შრომის დისციპლინა. ამის შესახებ აქ ამბობდა ამხ. სინიოვიც; მაგრამ არ არის მართალი, როდესაც ამის მიზეზებს ეძებს ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების სუსტ მუშაობაში. ჩვენ გვაქვს იმის მრავალი დოკუმენტები, თუ როგორ უძლურებას იჩენს ხშირად რკი

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

ყრილობის დღიური

23 იანვრის დილის სხდომა

23 იანვრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ბერიას მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: **მეუნარგია**, **ა. ურუშაძე**, (ალაზნის საბჭოთა მეურნეობა), **ზვიადაძე** (ჭიათურა), **გიორგობიანი** (ტყიბული), **სინიოვი** (რკინის გზა), **ბეროძე** (ქუთაისი), **თვალჭრელიძე** (ლენინის რაიონი), **ბუაჩიძე** (წითელი არმია), **ფ. მახარაძე**, **მარიამ ორახელაშვილი** (განსახკომი) და ამხ. **ელენტი**. აზ. კომპ. (ბ) ყრილობისაგან მისალმებებით გამოვიდა დელეგაციის სახელით ამხ. **ქიარიმოვი**.

23 იანვრის საღამოს სხდომა

23 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ბერიას მოხსენების გარშემო. ილაპარაკეს შემდეგმა ამხანაგებმა: **პირველი**, **გაბაშვილი** (ბორჯომი), **ჟვანია** (ზუგდიდი), **გორდელაძე** (საქ. კ. პ. (ბ) ცეკა), **გ. ყურულაშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) ცეკა). ამის შემდეგ ყრილობას მიესალმა პროლეტმწერალთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი ამხ. ბელლა ილეში. ტყავ-ჩელმშენის და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშათა დელეგაცია.

შემოტანილი იქნა წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ, რის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ლ. ბერია; რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. ამხ. ლ. ბერიას საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც **განახლებული ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს სცნობს სწორად და ჩატარებულ მუშაობას დამაკმაყოფილებლად.**

ამხ. ბერიას მოხსენების ირგვლივ რეზოლიუციის შესამუშავებლად ყრილობამ აირჩია შემდეგი შემადგენლობის:

კომისია:

ბერია, ყურულაშვილი, მგალობლიშვილი, მელაძე, არუთინოვი, ნესტორ ლაკობა, კ. გორდელაძე, გეურქოვი, ლადარია, აკოფოვი, ბედია, გობეჯიშვილი, თვალჭრელიძე, თალაკვაძე, ბუაჩიძე, რამიშვილი, ჟვანია, აფციაური, იუსანოვი, გასან-საბრი, სტურუა, აზარაშვილი, მათიკაშვილი, მარიამ ორახელაშვილი, კორსაველი და ბაქრაძე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ცაკის მე-2 სესიის გახსნა—

რომელიც დანიშნული იყო 24 იანვრისათვის,

გადატანილია 1932 წლის 26 იანვრისათვის.

სესია გაიხსნება საღამოს 6 საათზე

წითელი არმიის და ფლოტის სახლში (რუსთაველის პრ. სახლი № 16).

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის 1932 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ. (მომხსენებელი ამხ. გ. მუსაბეგოვი, თანამომხსენებელი ამხ. ფირუმოვი).
2. მოხსენება 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ერთიანი საფინანსო გეგმის პროექტის შესახებ და ა/კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება. (მომხსენებელი ამხ. ვ. ერემიანი, თანამომხ. ამხ. ა. დოგადოვი)
3. საბჭოთა მშენებლობის და საბჭოთა ძირეული აპარატის განმტკიცების ამოცანები. (მომხსენებელი ამხ. ფ. მახარაძე):
4. ა/კ. ცაკის 1-ლი სესიიდან მე-2 სესიამდე მიღებულ საკანონმდებლო აქტების დამტკიცება. (მომხსენებელი ამხ. გ. სულთანოვი).
5. საორგანიზაციო საკითხები.

ა. კ. ცაკის მდივანი გ. სულთანოვი.

ნის გზის ადმინისტრაცია მასზე დაკისრებულ საქმეების გაძღოლაში. პარტიულ ორგანიზაციებს ზოგჯერ უხდებათ ადმინისტრატიული ფუნქციის შესრულება არა იმიტომ, რომ ეს მათ სურს, არამედ იმიტომ რომ ადმინისტრაცია ბევრგან თავს არიდებს პასუხისმგებლობას და გაურბის მუშაობას. ეს აქლემი რკინის გზის მუშაობის ნაკლოვანებათა შორის ამხ. სინიოვმა სწორედ ვერ შენიშნა.

ამრიგად, ერთ-ერთი მთავარი ნაკლი რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობისა იმაში მდგომარეობს, რომ დღემდი არ არის გატარებული, როგორც ეს საჭიროა, ერთმმართველობა.

ეს იმას არ ნიშნავს, ამხანაგებო, რომ პარტიულ ორგანიზაციების მუშაობა ტრანსპორტზე ყველგან დამაკმაყოფილებელია. ბევრს, მაგალითად, საქმე ისე წარმოუდგენია, თითქოს ორგანიზაციულ-მასიური მუშაობა რკინის გზებზე კარგათ იყოს დაყენებული. ეს მართალი არაა და უნდა ითქვას, რომ რკინის გზის პარტორგანიზაციები ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდათ ჩამორჩებიან

ამხ. ს. ბუაჩიძე

(წითელი არმია)

ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს წითელი არმიის ყოველმხრივი ზრდა. შეუჩერებლად ხდება მეთაურთა შემადგენლობის კომუნიზაცია. თუ რამდენიმე წლის წინად ჩვენ არ გვყავდა არც ერთი ბოლშევიკი ლეგიონის მეთაური, დღეს ხუთი ლეგიონის მეთაური კომუნისტი გვყავს. გარდა ამისა, 90 პროცენტი კომუნისტები გვყავს ასეულის და ბატარეის მეთაურთა შემადგენლობაში. ეს, რასაკვირველია, ჩვენი პარტიის უდიდესი მიღწევაა.

ჩვენ გვქონდა გარღვევები სროლის საქმეში. ამ მხრივ მიღებულ იქნა ენერგიული ზომები და, შეიძლება ითქვას, რომ დღეს აქაც დიდი მიღწევები გვაქვს, რომ წითელი არმია დაეუფლა საერთოდ სამხედრო ტეხნიკას და სროლის ტეხნიკასაც.

უნდა შევჩერდე აგრეთვე სუხიშვილის გუშინდელ გამოსვლაზე. სუხიშვილმა არა ბოლშევიკურად ილაპარაკა. მან არ სთქვა ყოველივე ის, რაც ხდებოდა ძველი ხელმძღვანელობის დროს. მე კარგათ მახსოვს, თუ როგორ დირექტივებს იძლეოდა ცეკას ყოფილი მდივანი გაიოზ დევდარიანი ხარაგოულში. ხარაგოულის პარტრაიკომის პლენუმზე 12 ფურცლიან რეზოლიუციაში მან შეატანინა მუხლი ამ რაიონში შემჩნეულ გამწვავებულ მდგომარეობის შესახებ, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ გართულებანი ხარაგოულის რაიონში გამოწვეულია კლასთა ბრძოლის გამწვავებით. ასეთი საერთო ფრაზებით სცდილობდა ძველი ხელმძღვანელობა მიეფუჩეჩებია საკუთარი უხეში შეცდომა.

განა ფაქტი არ არის, რომ ჩხარის რაიკომის მდივნად იჯდა სრულიად შეუფერებელი პირი ვინმე ფარულავა, რომელიც სუხიშვილის კანდიდატი იყო? როდესაც მე მის მოხსნის შესახებ მოვწერე სუხიშვილს, მან მიპასუხა: მოითმინეთ! ჯერ მისი მოხსნა არ შეიძლება. ვნახოთ—თუ ჩაფლავდება, მერე მივიღებ ზომებს.

ასეთი იყო, ამხანაგებო, ძველი პარტიული ხელმძღვანელობის მუშაობა, რომელსაც არ ჰქონდა უნარი—პოლიტიკური შეფასება მიეცა ფაქტებისათვის და რომელმაც ამის გამო ამდენი უხეში შეცდომები დაუშვა.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო! მე მინდა შევეხო რამოდენიმე კონკრეტულ საკითხს ამხ. ბერიას მოხსენებიდან. მაგრამ ჩემი სიტყვის დასაწყისში არ შემიძლია გვერდი აუხვიო საკითხს ყოფილი ხელმძღვანელობისა და მის მიერ დაშვებულ უხეში შეცდომების შესახებ. მე აქ მოვიყვან ფაქტებს, რომლებიც უკვე დასახელებულ მრავალ მაგალითთა შორის არ ყოფილა ხსენებული.

გუშინ აქ გამოვიდა ამხ. მამულია. ის სცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება; თითქოს მომხდარ ამბებში დამნაშავეა არა მარტო ის, არამედ მასთან ერთად საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას და საკ. კ.პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს სხვა წევრებიც. და მართლაც ამხანაგებო, თუ საკითხს ფორმალურად მიუდგებით, ეს ნაწილობრივ თითქოს სწორია. მაგრამ უნდა გითხრათ აშკარად, როდესაც მამულიამ აქ განაცხადა, რომ ბიუროს არც ერთ წევრთაგანს არ მიუთითებია ჩვენთვის შეცდომებზეო. ეს არაა მართალი, ეს არ არის სწორი.

თუ ყველა სხდომაზე არა, ყოველ შემთხვევაში ძალიან ხშირად ამხანაგების გარკვეული ნაწილი, ბიუროს შემადგენლობიდან დაჟინებით და მტკიცედ იბრძოდენ ძველი ხელმძღვანელობის უმსგავსობათა ხაზის წინააღმდეგ.

ამხ. მელაძემ გუშინ აქ გამოაქვეყნა მრავალი საყურადღებო ფაქტები. მეც შემეძლო ბევრ ისეთ შემთხვევებზე მიმეთითებია, რომლებიც მოწმობენ, რომ ამხანაგების ერთი ნაწილი მუდამ სცდილობდა გაუმჯობესებანი შეეტანათ ძველი ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ რეზოლიუციებში, მათ მიერ გაცემულ დირექტივებში და საერთოდ ყოველ ღონისძიებებში, რომელიც ხელმძღვანელობას შეეხებოდა. განსაკუთრებით დამზადებათა პრაქტიკაში. სადაც მათ აღებული ქონდათ არა ბოლშევიკური ტემპები. არამედ სრულიად უპასუხისმგებლო, ყოვლად უმსგავსო ტემპები.

მაგრამ არა ნაკლებ საინტერესოა მამულიას გუშინდელი განცხადება იმის შესახებ, რომ მე ამას ჩავდიოდი არა შეგნებით, რომ შეცდომები განზრახ არ ჩამიდენიაო. ამხანაგებო. მე ვამბობ, რომ ამას უნდა მიექცეს ყურადღება. საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას ყოფილი ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მე შეცდომები შეგნებით არ დამიშვიაო. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია დაუშვათ, რომ მას არ ქონია წარმოდგენა ჩვენი პოლიტიკის ძირითად საკითხებზე. გლეხთა და ნაციონალურ საკითხებზე, რასაც მოჰყვა შესაფერი ხელმძღვანელობის შეცდომები. რას ჰგავს ამხანაგებო ეს. ოქტომბრის რევოლიუციის მე-14 წლის თავზე პასუხისმგებელ მუშაკებს განა აქვთ უფლება ასეთი სისულელეები განაცხადონ.

კიდევ რამდენიმე შტრიხი ძველი ხელმძღვანელობის „მუშაობიდან". მე ბორჯომში შვებულებაში ყოფნის დროს გავიგე, რომ ამხ. სტალინი გაეცნო მდგომარეობას ჩვენში და მან შესაფერისი შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიისა და საკავშირო კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობას. გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ მე ამ ამხანაგებს, რომელიც მაშინ სათავეში ედგა ხელმძღვანელობას, ხელმძღვანელებათ არ ვსცნობდი. მე მათი თაოსნობა პარტიულ საქმეებში გაუგებრობათ მიმაჩნდა. და მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი იმაში, რომ მას შემდეგ, რაც ამხ. სტალინმა გაიგო ჩვენი ადგილობრივი ვითარება. ეს ხელმძღვანელობა თავის ადგილზე ვეღარ დარჩება.

ძველ ხელმძღვანელობას მას შემდეგაც კი, როცა სავსებით გამოირკვა მათი გაკოტრება, მაინც არ უნდოდა ხელმძღვანელობისათვის თავი დაენებებია. მე ვერ გამეგო ვერც მამულიას და ვერც ქართველიშვილის ყოფა-ქცევა. რაც არ უნდა იყვეს, მათ ჰქონდათ სერიოზული საუბარი პარტიის ბელადთან, რომლისგანაც დიდი საყვედური მიიღეს. ისინი თვითონ უნდა სცდილიყვნენ ცეკას ბიუროზე ან სხვა რომელიმე თათბირზე ამის შესახებ ამომწურავი მოხსენების გაკეთებას და შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას, მაგრამ არც ერთი სიტყვა ამის შესახებ ბიუროზე არ თქმულა. პირიქით, ყოველნაირად იფარებოდა ამხ. სტალინის დირექტივები. ამის შემდეგ გამოდის ამხ. მამულია ყრილობის ტრიბუნასთან და მას ყოფნის გამბედაობა განაცხადოს, რომ ბიუროს ყველა წევრი პასუხისმგებელია დაშვებული შეცდომებისო. ეს ყოვლად უმსგავსო და უმართებულო განცხადებაა.

ამრიგად მოხდა ისე. რომ ქართველიშვილი შეიქმნა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას პირველი მდივანი. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ბელადის მითითებათა შემდეგ და მას შემდეგ, რაც მოხდა გადადგმული იქნებოდა ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ აბსოლუტურად არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. პირიქით ქართველიშვილი უფრო აღრმავებდა დაშვებულ შეცდომებს. ამ ხალხს არც შეეძლო გამოესწორებია მდგომარეობა. ყველა ფაქტები ამის საწინააღმდეგოთ ლაპარაკობდა.

აიღეთ თუნდაც საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის არჩევნები. იმ დროს მე ავათ ვიყავი და ვიმყოფებოდი ბათომთან ახლო. წავიკითხე თბილისის კომიტეტის ახალი მდივნების სია და ერთხელ კიდევ ვთქვი, რომ ამ ხალხმა სჩანს ვერაფერი შეიგნო. აიღეთ თუნდაც ფანცულაია. ერთი წლის განმავლობაში ის იჯდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელად და უნდა ითქვას აშკარად, რომ მას იქ არაფერი გაუკეთებია. ეს კაცი გადააყენეს თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად. ეს ხდებოდა რა თქმა უნდა გარკვეული მიზნით. ეს ნიშნავდა ხალხის შერჩევას უპრინციპო ჯგუფობრიობის საფუძველზე.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობს. რომ ძველ ხელმძღვანელობას არ შესწევდა უნარი შეცდომების გამოსწორებისა. ვლაპარაკობ ამიერ-კავკასიაში ბამბის თესვის საკონტროლო ციფრზე. საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ბიუროში მოხდა, რომ ხალხი მეტად გატაცებული იყო „ბოლშევიკური ტემპებით". და ამ ხალხმა ბამბის თესვის საკონტროლო ციფრად ამიერ-კავკასიაში 1932 წლისათვის დააწესა 436 ათასი ჰექტარი. რამდენადაც მახსოვს კიდევ უფრო მეტი უნდოდათ. განზრახვა იყო საკონტროლო ციფრი 460 ათას ჰექტარამდე აეყვანათ. ამტკიცებდნენ, ამის საშუალება ამიერ-კავკასიაში არისო. ამ ციფრიდან საქართველოს არგუნეს 60 ათასი ჰექტარი. საერთოდ საბჭოთა მეურნეობებს აგრეთვე 60 ათასი ჰექტარი და საქართველოს საბჭოთა მეურნეობებს—16 ათასი ჰექტარი. ეს ყოველივე ზედმეტად მოწმობს ამხანაგებო, რომ ამ ხალხმა 1931 წლის ამბებიდან სრულიად ვერაფითარი გაკვეთილი ვერ გამოიტანა. ბევრს გონია, რომ ეს არის ნამდვილად ბოლშევიკური ტემპები. მე გეტყვით, რომ ამას არაფერი აქვს საერთო ბოლშევიკურ ტემპებთან, ეს არის უპასუხისმგებლობის ტემპები.

არავითარი პირობები არ არსებობდა ჩვენში ბამბის თესვის ამგვარი ტემპების გატარებისათვის. რა მოხდა შემდეგ. მოხდა ის. რომ შეამცირეს ამიერ-კავკასიაში დაწესებული ბამბის საკონტროლო ციფრი 436 ათასი ჰექტარიდან 291 ათას ჰექტარამდე. მე ვიცი სარწმუნო წყაროებიდან, რომ ქართველიშვილი იმ დროს მოსკოვში იყო. ის მაშინ ფორმალურად ისევ ითვლებოდა საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად. და მან პროტესტი შეიტანა საკავშირო მიწსახკომში საკონტროლო ციფრის შეკვეცის წინააღმდეგ. ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება.

უნდა ითქვას, რომ თუ არა პარტიის ბელადის ჩარევა საქმეში 1932 წელს ძველი ხელმძღვანელობის ყოვლად უხეირო პოლიტიკის შედეგად, ჩვენ შეგვექნებოდა გაცილებით იმაზე უფრო ცუდი მდგომარეობა, რაც გვქონდა 1931 წელში.

აიღეთ ლადო სუხიშვილის გამოსვლა. მისგან მე უფრო მეტს მოველოდი. მან კი აქ დიპლომატიური სიტყვა წარმოსთქვა. მას არ უნდა ყოველივეს საბოლოოდ თქმა.

ყრილობის დელეგატები

ნახ. — ვ. კროტკოვის

ამხ. მუკვანიანი *(ჭიათურის დამკვრელი მუშა)

ახალ თანამდებობის შედგომის მეორე დღესვე ქართველიშვილი, მამულია და სუხიშვილი იწყებენ ყოველგვარ ხრიკებს ამხ. მელაძის წინააღმდეგ. მე ეს შემთხვევითი მეგონა. მაგრამ შემდეგ საკითხი ამხ. მელაძის შესახებ დაისვა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ბიუროს სხდომაზე. მე მაშინვე განვაცხადე, რომ ეს არის ყოვლად უსაფუძვლო და სრულიად ზედმეტი ნაბიჯი. გამოყოფილ იქნა კომისია კეკელიას ხელმძღვანელობით. ამ კომისიამ შეიმუშავა რეზოლიუცია ორპიროვანი, მიკიბულ-მოკიბული. ჩემთვის ეს გაუგებარი იყო. მაგრამ ხალხმა, ვინც კი იცოდა ატამანობის ხერხები, მაშინვე გაიგო რაც ედო სარჩულად ამ რეზოლიუციას.

სუხიშვილი ამბობდა: მე ვერ ვამჩნევდი ატამანობას და თვითონ არ ვყოფილვარ ატამანიო. „ატამანშჩინა" ნიშნავს უპრინციპო ყოვლად უმსგავსო დაჯგუფებას, ის ნიშნავს კაბინეტებში ატამანობას, ამხანაგებისათვის ქსელის დახლართვას საერთო საქმის საზიანოდ.

მე მინდა სუხიშვილს გავახსენო ერთი ფაქტი. თავის უკანასკნელ თანამდებობაზე მუშაობის დაწყებისთანავე მან დააყენა საკითხი ხელმძღვანელ საბჭოთა აპარატის განახლების შესახებ. ამის წინააღმდეგ ვის რა ეთქმოდა. ყველა დაეთანხმა, თუ კი ის უკეთეს მუშაკებს შეარჩევდა. მაგრამ რა მოხდა. სუხიშვილმა პირველ ყოვლისა იერიში მიიტანა კურორტების ხელმძღვანელ ამხ. მამალაძის წინააღმდეგ. ვინ წამოაყენა სუხიშვილმა მამალაძის ნაცვლად. მან დაასახელა ილიკო მამულია (ხმები, ოჰოო, ეს ცნობილი მამულია) ყველასათვის აშკარა იყო, რაც ამოქმედებდა სუხიშვილს. განა ეს ნიშნავს საკითხისადმი საქმიან მიდგომას?

მეორე ფაქტი—ამხ. ვაშაძის შემთხვევა. რით უნდა ავხსნათ ის, რომ ასე ციებ-ცხელებით იქნა დასმული და გადაწყვეტილი ვაშაძის საკითხი. ამხ. ვაშაძემ სადღაც. ოდესღაც სუხიშვილის შესახებ არასაქები ჩვენება მისცაო. ამის გამო ამხ. ვაშაძე, რომელიც საკავშირო მთავრობის და საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაგზავნილი იყო საპასუხისმგებლო საქმეზე ამერიკაში, როგორც ოფიციალური პირი, როგორც მთავრობის წევრი გაძევებულ იქნა პარტიიდან და მოხსნილი თავის თანამდებობიდან.

ამხანაგები ამბობენ, მოიცადეთ რას იჩქარებთ, გადავსწყვიტოთ საკითხი ვაშაძის თანდასწრებით. სირცხვილია ასე აჩქარება. არა, ჯგუფობრიობის სენით შეპყრობილმა ხელმძღვანელობამ მაინც გადასდგა ასეთი უაზრო ნაბიჯი.

აიღეთ მესამე ფაქტი. ამხ. ჯულელის შემთხვევა. შეცდომა ყველას აქვს. შემთხვევით ვინ სად არ მოხვდება. ის ხომ დამნაშავე არ ყოფილა იმაში რაც მოხდა. ამხ. ჯულელი ამისათვის ჯვარს აცვეს, თავის მოკვლის მდგომარეობამდე მიიყვანეს. რისთვის იყო საჭირო ყოველივე ეს. ვის რათ სჭირდებოდა ასეთი ნაბიჯები. ანდა აიღეთ ყოვლად უმსგავსო წერილი ამხ. ჯულელის შესახებ „ზარია ვოსტოკა"-ში.

შემდეგ ეს ამხანაგები საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ გაამართლა.

ყრილობამ ღირსეული შეფასება მისცა ყოველივე იმას, რაც მოხდა და მომხდარ ამბების დამნაშავეებს. ცეკას მიერ გაგზავნილ იქნა ადგილებზე მრავალი კომისია. რომლებმაც დიდი მუშაობა ჩაატარეს. გამორკვეულია ამხანაგებო, რომ უმსგავსოებას ადგილი ქონდა არა მარტო ზესტაფონის რაიონში. მარტო ბერიძე არ სჩადიოდა უმსგავსოებას, ჯერ კიდევ შარშან ჩემთვის აშკარა იყო, რომ ის სრულიად არ ვარგოდა რაიონის ხელმძღვანელ მუშაკად. ეს ცხადი უნდა ყოფილიყო ამხ. მამულიასათვისაც, მაგრამ ამის მიუხედავად ბერიძე ისეთი დიდი ყურადღების საგნად გახდა, მას ისეთი „დამსახურება" აღმოაჩნდა, რომ საქ. კ.პ. (ბ) ცეკას უკანასკნელ პლენუმზე ის კოოპტაციის წესით ცენტრალური კომიტეტის წევრადაც კი შეიყვანეს.

დევდარიანი მიუთითებდა ქუთაისის მუშაკებს აიღეთ მაგალითი ზესტაფონის რაიონიდანო. ბერიძე არ ღირს, რასაკვირველია იმათ, რომ მასზე ილაპარაკო. მაგრამ რას იზამ, როდესაც მას გვერდს ვერ აუვლი ამ უმსგავსოებათა შეფასების დროს. იმ უმსგავსოებათა, რომელსაც ბერიძე და სხვ. ჩადიოდიენ ძველი ხელმძღვანელობის შთაგონებით.

ეხლა უნდა გადავიდე რამდენიმე პრაქტიკულ საკითხებზე.

ჩვენ გამოვარკვიეთ რაც მოხდა. საჭიროა გავშალოთ ენერგიული მუშაობა დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად. ეს არც ისე ადვილი საქმეა. რა გვაქვს ჩვენ ეხლა. მაგალითად კოოპერატივების მუშაობის შესახებ. ბევრგან ისინი სხვადასხვა უმსგავსოებას სჩადიან. ხან წინით ყიდიან მანუფაქტურას, ხან სულ არ ყიდიან მას, ხაძაგლათ ავრცელებენ ობლიგაციებს, გლეხებისათვის გაგზავნილ საქონელზე ბევრგან ადებენ ყოვლად შეუფერებელ ფასებს. რა არის ამხანაგებო თუ არა უმსგავსოება, როდესაც კოოპერატივი 30 მანეთად ჰყიდის წყვილ წუღას. ან 250 მანეთად პალტოს, როცა კოოპერატივებში ერთი კოჭა ძაფისათვის გლეხს სთხოვენ 10 კვერცხს და დამატებით კიდევ ფულს. არის თუ არა ეს პარტიის ხაზის უსასტიკესი დამახინჯება ვაჭრობის საქმეში.

საჭიროა სულ სხვანაირად ვიმუშაოთ ამხანაგებო, საჭიროა გვერდში ამოვუდგეთ ცენტრალურ კომიტეტს და მასთან ერთად ვიბრძოლოთ ახალი მიღწევებისათვის. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ყველგან ვერ ისწავლეს როგორ უნდა გავატაროთ ჩვენ კოლექტივიზაცია. ყველა ეს კოლექტივიზაციის საკონტროლო ციფრები და სხვ. შეცდომები ზოგიერთ ცენტრალურ ორგანოების მიერ განხორციელებული არ იქნებოდა, რომ ადგილებზე პასუხისმგებელი მუშაკები უფრო მეტ სიფხიზლეს იჩენდენ. უნდა მივსცეთ თავს ანგარიში იმაზე, რასაც ვაკეთებთ. შეუძლებელია კოლმეურნეობის თავმჯდომარეთ და მდივნად დავაჯინოთ წერა-კითხვის უცოდინარი კაცი. ეს ხომ კოლმეურნეობა არ იქნება. დაუშვებელია, როდესაც ინდივიდუალურ მეურნე გლეხს და განსაკუთრებით ღარიბ გლეხს კოლექტივიზაციის დროს კოლმეურნეობის ფონდში შეტანილ მისი მიწის სანაცვლოდ აძლევენ მიწას სრულიად უვარგისს ხარისხობრივად და მოშორებულ რაიონებში.

კიდევ ერთი კონკრეტული კითხვა. მე ვლაპარაკობ სოფლის საბჭოებზე. ცაკმა ჩაატარა ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა, დაგზავნა ადგილებზე ინსტრუქტორები, გამოაცხადა სოფლის საბჭოების შემოწმება. ყოველივე ამას მოჰყვა ერთგვარი გაუმჯობესება, მაგრამ არის ასეთი ფაქტებიც. აი მაგალითად ამხ. გიორგი ხტურუა. რომელმაც გამოირკვია სენაკის რაიონი, თავის წერილობით დასკვნაში ის აცხადებს, რომ სენაკის რაიონში არც კი არის სოფლის საბჭოები. მე აღარაფერს ვამბობ ამხანაგებო ამის შემდეგ ხევსურეთზე. ყოველივე ეს გამოწვეულია ცუდი ხელმძღვანელობით ადგილობრივ ამხანაგების მხრივ.

უნდა შევჩერდე აგრეთვე საგზაო მშენებლობაზე, სოფლისა და რესპუბლიკანურ გზების მშენებლობაზე. მართალი იყო ამხ. ქურდაძე, როდესაც მან გუშინ აქ განაცხადა, რომ ამ საკითხს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღებაო. შეუძლებელია, როდესაც გზებზე დგას ისეთი ტალახი, რომელშიაც ვერ გადის ვერც ცხენი და ვერც ხარი. ნუ თუ ამას არ უნდა მიექცეს ყურადღება. ამხ. ქურდაძე ამბობდა, რომ საგზაო მშენებლობისათვის საჭიროა ათეული მილიონი მანეთებიო. ასეთ დიდ თანხას ჩვენ ვერავინ მოგვცემს და ამიტომ მთელი ყურადღება უნდა მივმართოთ შინაური ძალების გამოყენებისათვის. აგრეთვე სრულიად არაა გამოყენებული საგზაო ბეგარა. მას კი დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო.

რამდენიმე სიტყვა საქართველოს საგზაო სატრანსპორტო სამმართველოს აპარატის შესახებ. ამხ. ქურდაძე აგერ ეხლა შეუდგა ამ საქმის ხელმძღვანელობას. და მე უნდა გავაფრთხილო ის, რომ ეს აპარატი კარგს ვერაფერს მოიტანს. მე ახლო ვიცნობ გზის მშენებლობას ზემო-სვანეთში. სამ-ოთხი წელიწადი შემდეგ, ყოველწლიურად ვცვლით მშენებლობის უფროსებს, ვცვლით მავნებლობისათვის. მაგრამ ახლად დანიშნულები უფრო ცუდად მუშაობენ. საგზაო-სატრანსპორტო საქმეთა სამმართველომ გაგზავნა ინჟინერთა კომისია სვანეთის გზის გამოსაკვლევად. ამ კომისიის წარმომადგენელმა ინჟინერმა უტიფრად დაუჭირა მხარი ზემო-სვანეთის გზის მშენებელ ინჟინრებს, არამზადებს და ქურდებს. საქმე ამხანაგებო მარტო ფულში არაა, საქმეა რესურსების სწორად გამოყენებაში.

მე მინდა კიდევ შევჩერდე ჩაის მეურნეობაზე. ამხ. ბერიამ მოიყვანა აქ ამონაწერები იმის შესახებ, თუ როგორ სწარმოებდა მუშაობა ჩაის მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში. ის რაც მოხდა ამ დარგში, კვალს აჩენს ამხანაგებო იმაზე, რაც უნდა ვაკეთოთ მომავალში. თავისთავად ცხადია ჩვენ ხელახლა ვერ დავიწყებთ ჩაის მეურნეობის საქმეს. უნდა ვიმუშაოთ ძალაუნებურად იმის საფუძველზე. რაც კეთდებოდა. ჩვენ განვაახლეთ საქართველოს ჩაის ხელმძღვანელობა, მას სათავეში ჩავუყენეთ ამხ. ჯულელი, ერთ-ერთი მეტად ენერგიული მუშაკი. შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ამ საქმეს დღეს დავაყენებთ როგორც საჭიროა.

გუშინ ამხ. ჯულელი აქ ამბობდა, თუ რას ფიქრობს „საქართველოს ჩაი"-ს ახალი ხელმძღვანელობა, როგორი გეგმები აქვს მას 1932 წლისათვის. როგორც იცით მიმდინარე წელს განზრახულია 20 ათასი ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება. ეს უკვე აღარ არის 35 ათასი ჰექტარი, როგორც წინად იყო გათვალისწინებული. ჩაის საქმე ამხანაგებო ისეთია, რომ მას ხელაღებით წინასწარ მომზადების გარეშე ვერ შეუდგებით. საკმაოა აგეცნოთ უცხოელი სპეციალისტების დასკვნას იმ ყოვლად დაუშვებელ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ჩვენ გვქონდა „საქართველოს ჩაი"-ს მეურნეობაში. თქვენ იქედან დაინახავთ, თუ როგორი აღშფოთებით სწერენ ინგლისელი სპეციალისტები დაშვებულ შეცდომებზე. ჩვენ არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო იმისათვის, რაც „საქართველოს ჩაი"-ში ხდებოდა, მაგრამ „საქართველოს ჩაი"-ს ძველმა ხელმძღვანელობამ დამალა უცხოელი სპეციალისტების ეს დასკვნა, დამალა იმიტომ, რომ ეს წარმოადგენდა საბრალდებლო აქტს მათ წინააღმდეგ.

ჩვენ უკვე დავავალეთ სათანადო ორგანოებს ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს. იქ ბევრი რამ ბნელი ხდებოდა. უნდა გავიგოთ ვისთან გვქონდა საქმე, როგორ სწარმოებდა მუშაობა „საქართვ. ჩაი"-ში, ჩაის მეურნეობა ჩვენში დიდი საქმეა. ჩაი ჩვენში დონბასია, კუზბასია, საკავშირო მნიშვნელობის მეურნეობაა. საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას ახალი ხელმძღვანელობამ ხელი უნდა ჩასჭიდოს ამ საქმეს. ის, რაც ხდებოდა „საქართველოს ჩაი"-ში ეს იყო ჩვენი გადაჭარბებული ნდობის შედეგი ამ საქმის მეთაურებისადმი.

ყრილობის დელეგატები

ნახ. — ვ. კროტკოვის

ამხ მატიუშინი (წითელარმიელი)

ორიოდე სიტყვა ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობაზე. ამხანაგებო. ჩვენი პარტია ამჟამად იმყოფება უდიდესი გარდატეხის წინაშე დაშვებულ შეცდომათა გამომჟღავნებისათვის ბრძოლაში. ჩვენ ერთბაშად ვერ აღმოვფხვრით ყველა მავნე შედეგებს, მაგრამ პირველ ყოვლისა ჩვენ გავაუმჯობესებთ ღარიბ და საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულებას. კომუნისტურად, ლენინურად მივუდგებით მათ და არა ისე, როგორც ეს ახასიათებდა ძველ ხელმძღვანელობას. ეს უნდა გაკეთდეს პირველ ყოვლისა. შემდეგ გადაჭრით უნდა გამოსწორდეს შეცდომები დამზადების, მომარაგების, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობაში საერთოდ.

თავის წერილობით დასკვნაში ამხ. გიორგი ხტურუა ეხება რა ის სენაკის რაიონის მდგომარეობას, სწერს, რომ დამახინჯებებს ადგილი აქვს არა მარტო პარტიის ხაზით, არამედ ადგილობრივ-სამეურნეო კოოპერატიულ ხაზითაც. ამას ამხანაგებო უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. უნდა მიტანილ იქნას იერიში ამ ორგანოთა შეცდომების გამოსასწორებლად.

აქ ამხ. ბერიამ გამოაქვეყნა ზოგიერთი ფაქტები ცალკე ჯგუფების ანტიპარტიული მუშაობისა. ტროცკისტული კონტრრევოლიუციონური საქმიანობისა. არის ამხანაგებო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჩვენი პარტიის რიგებში ძვრებიან საეჭვო და უცხო ელემენტები. მე არ ვიცი რა უნდა ვთქვა გაიოზ დევდარიანზე, კაცზე, რომელმაც იცოდა მისი ძმის მიერ წარმოებული მუშაობის შესახებ და გაჩუმებული იყო. ეს იმის სიგნალს წარმოადგენს ამხანაგებო, რომ ყურადღებით, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ჩვენი პარტიის რიგებში შემსვლელთა მწკრივს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მიუხედავად დაშვებულ შეცდომებისა საქართველოს კ.პ. (ბ) პარტიას შეუძლია შეასრულოს ის დავალებები, რომელსაც მას აკისრებს დღევანდელი მდგომარეობა. ამას ვლაპარაკობ არა ეფექტისათვის, არამედ ჩემი ღრმა რწმენით. საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელსაც მრავალი გამარჯვება მოუპოვებია ლენინის იდეების სიწმინდისა და თავის რიგებში მონოლიტობის დაცვისათვის, შეუძლია წავიდეს საქართველოს მშრომელ მასებთან ერთად წინ ახალი და ახალი გამარჯვებისაკენ, სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვა

ამხ. ბერიამ თავის ვრცელ მოხსენებაში აღნიშნა ის დიდი შეცდომები, გადახვევები და პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯება, რომელთაც ადგილი ჰქონდა ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მხრივ, და სავსებით სამართლიანად გაამახვილა ჩვენი ყურადღება იმაზე, რომ ამ „მემარცხენე" გადახვევებისა და შეცდომების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ განსაკუთრებული სიფხიზლე, რათა ამ „მემარცხენე" შეცდომების გამოსწორების დროს არ დავუშვათ მემარჯვენე პრაქტიკა, რომელიც ეხლანდელ ეტაპზე მთავარ საფრთხეს წარმოადგენს.

მოკლედ შევჩერდები იმაზე, თუ როგორ დაუპირისპირა ამხ. მამულიამ ყრილობის სწორ გზას სრულიად არასწორი ანტილენინური დებულებანი და მით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მან ვერაფერი ვერ გაიგო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილებიდან. იმ დროს, როცა ჩვენი ხელმძღვანელი, რომელიც ცნობილია არა მარტო ჩვენი ორგანიზაციის მიერ, არამედ რომელიც გვირჩია აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ყრილობის ყურადღებას ამახვილებს მემარჯვენე საფრთხეზე, როგორც მთავარ საფრთხეზე,—მამულია აცხადებს, რომ ძველი ხელმძღვანელობის შეცდომა მდგომარე

ყრილობის დელეგატები

ნახ. — ვ. კროტკოვის

ამხ. შადურა

ობდა მხოლოდ იმაში, რომ მან აიღო მაღალი ტემპებით. განა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ საჭიროა ტემპების შენელება? განა ვინმე ჩიოდა ყრილობაზე და პლენუმზე? განა დღეს თუნდაც ამხ. ურუშაძის გამოსვლიდან არ სჩანს, რომ ჩვენმა ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა აიღო დიდი ტემპები, განა არ მოგისმენიათ ურუშაძისათვის, რომ ორი-სამი დეკადის განმავლობაში საქართველოს განახლებული ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშაობის დროს მათ უფრო მეტი გააკეთეს, ვიდრე ამ საბჭოთა მეურნეობის დაარსების დღიდან; საქართველოს პარტორგანიზაცია სრულიადაც არ ფიქრობს შენელოს ტემპები, და ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც მოცემული გვაქვს, უნდა შესრულდეს. ძველი ხელმძღვანელობა დაჰგმეს არა ტემპების გამო, არამედ ცუდი ხარისხობრივი მაჩვენებლების გამო, მუშაობის ცუდი მეთოდების, ანტილენინური მეთოდების გამო. ამხ. მამულიას, ისე როგორც სხვა ყოფილ ხელმძღვანელებს, არ ესმოდათ, რომ საჭიროა მასების დარაზმვა და არა ადმინისტრატიული ზეგავლენის მოხდენა, რომ საჭიროა დავარწმუნოთ გლეხები შევიდნენ კოლმეურნეობაში, დავარწმუნოთ სწორად მოწყობილი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მაგალითზე, საჭიროა ვაჩვენოთ და დაუმტკიცოთ მათ კოლმეურნეობის უპირატესობანი და არა ყურით შევათრიოთ ისინი კოლმეურნეობაში ბისმარკის მაგალითის მიხედვით, როგორც უყვარდა ამხ მამულიას მასზე მითითება. აი ამის შესახებ არის ლაპარაკი და არა ტემპების შენელების შესახებ. ამხ. მამულიამ ვერ გაიგო, რომ პარტიის მე-16 ყრილობა და საკ. კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა დირექტივები გვაფრთხილებდნენ, რომ სოციალისტური მშენებლობის რაოდენობითი ზრდასთან ერთად საჭიროა ბრძოლა მშენებლობის ხარისხისათვისაც. აი ეს დაავიწყდა ყოფილ ხელმძღვანელობას და აქედან წარმოსდგება ყველა მისი ცოდვები.

სანამ გადავიდოდეთ უშუალოთ მუშაობის იმ დარგზე, რომელიც ჩამაბარა პარტიამ და სადაც ყველაფერი არ არის რიგზე, სადაც დაშვებულია ბევრი შეცდომა და საჭიროა პარტიის მეტი ყურადღება და კონკრეტული ხელმძღვანელობა,—მე მინდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა ამხ. მამულიას ატამანობის შესახებ ყრილობაზე ამხ. მამულიამ განაცხადა, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა „ატამანი", არასოდეს არ სთვლიდა თავს ატამანად, რომ იგი არასოდეს არ ანაწილებდა კადრებს პირადი მოსაზრებებით და არავის არ ხსნიდა პირადი სიმპატიის მიხედვით. ეს უკვე შეგნებული სიცრუეა. მე არ მოვიყვან ზესტაფონის კომისიების მაგალითს, რომელთა მეშვეობით ცენტრალურ კომიტეტს სურდა ყოვლად უვარგისი მუშაკის დატოვება რაიკომის სათავეში, მე მინდა მოგაგონოთ მხოლოდ ხონის საქმე. რომელიც დიდხანს გაგრძელდა. ხონში არ ყოფილა დაშვებული უხეში შეცდომები სასოფლო პოლიტიკის ხაზით, იქ ამხანაგები ყურადღებით ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებულ დავალებებს, მუშაობის ტემპისა და ხარისხის მიხედვით ხონელები არ ჩამოუვარდებოდნენ სხვებს, იქ სწარმოებდა პარტიულ-მასიური მუშაობა და ისინი თავიდან იცილებდნენ ბევრ შეცდომას. მაგრამ იქ მუშაობდა ამხ. ბახტაძე, რომელიც თავიდანვე არ მოსწონდათ ამხ. მამულიას და ქართველიშვილს და ამიტომ ხონში განუწყვეტლივ პერმანენტულად იგზავნებოდა კომისიები. პირველმა კომისიამ ამხ. ახრიბეკოვის მეთაურობით, რომელიც სავსებით ობიექტიურად მიუდგა რაიკომის მუშაობას, მოახსენა ცენტრალურ კომიტეტს, რომ ხონში საქმე არ არის ცუდათ და რომ შეიძლება დამშვიდებული ვიყოთ იქაური ხელმძღვანელობისა და მუშაობის შესახებო. ამხ. ანიკო მამულიამ, რომელიც ლაპარაკობდა აქ, რომ ხონში გაემგზავრა მასწავლებლის დასაცავად, არ სთქვა სიმართლე, მეორე კომისიაც, ანიკოც და ყველა სხვა კომისიებიც მიდიოდნენ იქ იმიტომ, რომ ენახათ საბაბი ატამანებისათვის არა სასურველ ბახტაძის მოსახსნელად და სხვა სასურველი პირების დასაყენებლად. ამის შემდეგ მამულია ამბობს რომ იგი არ არის ატამანი, რომ იგი არ ანაწილებდა კადრებს თავისი პირადი სიმპატიების მიხედვით. არა თუ ატამანი, ამხანაგებო, მას თავი მოჰქონდა ბელადათ და ამხ. სტალინის გვერდით აყენებდა თავის თავს. სამარცხვინოა, როცა ჩვენი გაზეთების ფურცლებზე იბეჭდება სახელგამის განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ გამოვიდა ორი წიგნი—სტალინისა და მამულიასი და რომ ამ ორი წიგნის გაუცნობლად არ უნდა დარჩეს არც ერთი კომკავშირელი და არც ერთი პიონერიო. განა ეს განდიდების მანია არ არის, განა ატამანობის მიზნით არ მოხსნა მან სახელგამიდან გარონი და სხვები და გაგზავნა თავისი ხელქვეითები, რომლებიც ბეჭდავდენ და ავრცელებდენ მლიქვნელურ განცხადებებს და ბელადის რეკლამას უკეთებდენ მას.

ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის ყველა ამ „მემარცხენე" შეცდომებმა და გადახვევებმა ღრმა გამოხატულება ჰპოვეს სახალხო განათლების საქმეშიაც. არ შეიძლება იმის თქმა, რომ სახალხო განათლების დარგში ადგილი არ ჰქონდეს მიღწევებს. ჩვენ დიდი წარმატებანი გვაქვს, მაგრამ უკანასკნელ წლებს ახასიათებს ციფრების, რაოდენობის გამოდევნება და ყურადღება არ ექცეოდა ჩვენი სასკოლო მშენებლობის, კულტურული რევოლიუციის საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებას ხარისხობრივი მაჩვენებლებით. დარწმუნებული იყავით, ამხანაგებო, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ ხელი ავიღოთ იმ რაოდენობით მაჩვენებლებზე და დავალებებზე, რომლებიც მოგვცა პარტიამ, მით უფრო, რომ ისინი დამტკიცებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილებით. ჩვენ 1932 წელს ძირითადათ უნდა დავამთავროთ საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება. ჩვენ უნდა მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, უნდა შევუდგეთ მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას, მტკიცე საფუძველი უნდა შევუქმნათ საყოველთაო სწავლებას შვიდწლიანი განათლების ფარგლებში, ენერგიულად უნდა მოვკიდოთ ხელი ჩვენი სკოლის პოლიტეხნიზაციას. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ამ საქმის წარმატების მთავარი ფაქტორები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სასკოლო მშენებლობის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ საბჭოთა მასწავლებელი, სწორი მეთოდიური მუშაობა, კარგად მოწყობილი პედაგოგიური პროცესი, კარგი სასწავლო გეგმები და პროგრამები. იმისათვის, რომ შევძლოთ ჩვენი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების აწევა, ჩვენ გვაქვს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 5 სექტემბრის ისტორიული დადგენილება. რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენი მუშაობის დარგში დღეს „მემარცხენე" შეცდომებისა და გადახვევების შედეგად?

ჩვენ გვაქვს „მემარცხენე" ოპორტუნიზმი პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ მასწავლებლის როლი დაყვანილია ნოლამდე, სკოლებში არ არის გატარებული ერთმმართველობა, ჰქადაგებენ მასწავლებლისა და სკოლის მოსპობის თეორიას, სტიქიური აღმზრდელობითი პროცესის თეორიას. პროგრამები და სასწავლო გეგმები აგებულია პროექტორობის საფუძველზე, პროექტთა მეთოდზე და სახელმძღვანელოები შედგენილია ამ პროგრამების მიხედვით. უნდა ითქვას, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს არასოდეს არ ყოფილა მასწავლებლის როლი ისე დაკნინებული, როგორც უკანასკნელი ხელმძღვანელობის დროს ამხ. ანიკო მამულია გამოვიდა აქ და მასწავლებლებს იცავდა კოლია ბახტაძისაგან. სად იყო იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში, იგი განათლების მუშაკთა კავშირში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა და იცოდა, რომ მასწავლებლები 4-5 თვეს არ ღებულობენ ჯამაგირს იცოდა, რომ მასწავლებლებს [illegible] კვერცხისა და გადასახადების შეგროვებლად. იგი პარტიამ კავშირში გაგზავნა იმისათვის, რომ მას თვალყური ედევნებია მასწავლებელთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობისათვის, ამ ამოცანის შესრულება ძალიან ადვილი იყო, როცა გვაქვს წერილი ლენინისა, რომელიც მან სიკვდილის წინ მემკვიდრეობად დაგვიტოვა, სადაც მან გვიანდერძა პატივი ვსცეთ მასწავლებელს, ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ მას გახდეს პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიებათა გამტარებლად სოფელსა და ქალაქში, შევუქმნათ მას ისეთი მდგომარეობა, როგორიც არსად და არასოდეს არ ჰქონია. ამაზე მიგვითითებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 5 სექტემბრის დადგენილებაც, ამაზე მიგვითითებს სახკომსაბჭოს დადგენილებაც. და ჩვენ მართლაც ვიცით, რომ მასწავლებლის მდგომარეობა სისტემატიურად უმჯობესდებოდა უკანასკნელ წლებში. იზრდებოდა მისი როლი და მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობაში. მხოლოდ ჩვენში საქართველოში მასწავლებლები ვერ დავაფასეთ, დავივიწყეთ და ცუდ მდგომარეობაში ჩავაყენეთ. ახალმა ხელმძღვანელობამ შესძლო საქმის ერთბაშად გამოსწორება. ბევრ რაიონში უკვე 4-5 თვის დავალიანება დაიფარა. ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე მოითხოვა ჩვენი ინფორმაცია განათლების მუშაკთა მდგომარეობის შესახებ და მიიღო მთელი რიგი კონკრეტული ზომები ამ მდგომარეობის გაუმჯობესებლად. მუშაკებმა უკვე გადასწყვიტეს პასუხისგებაში მისცენ დაახლოებით 10 აღმასკომი მასწავლებლებისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის.

ეხლა სასკოლო მშენებლობის ხარისხისა: და საყოველთაო სწავლებისათვის ხარჯების გაწევის შესახებ. საყოველთაო სწავლება არ არის უზრუნველყოფილი შესაფერი სასკოლო, მშენებლობით, არ კმარა, შენობები, ხოლო სადაც არის, არაფრად არ ვარგა. არავის არ შეუძლია იმის თქმა, რომ ჩვენ ცოტა ფული გვაქვს. წინად კიდევ შეიძლებოდა წუწუნი ამის შესახებ, ეხლა კი ფული არის, მაგრამ ეს ფული იხარჯება არა იქ, სადაც საჭიროა. მატერიალური სახსრების გამოყენების ხარისხი სასკოლო მშენებლობის დარგში ძალზე მო[illegible] ამ დარგში. ჩვენ გვაქვს სახსრები თვითდაბეგვრიდან, რომლითაც მაქსიმალური პროცენტი უნდა მოხმარდეს კულტურულ მშენებლობას, მაგრამ ეს სახსრები იხარჯება არა დანიშნულებისამებრ. ჩვენ შევაგროვეთ დიდი ერთდროული კულტურული ფონდი, შესაფერი გადასახადის დაწესებით. ბოლოს ჩვენ გავატარეთ ორთვიური კულტურული მშენებლობისათვის, სად წავიდა ეს სახსრები? დაინახეს თუ არა გლეხებმა ადგილებზე, რომ ეს ფული სწორად დაიხარჯა, რომ იგი მოხმარდა კულტურულ მშენებლობას? მე ვამტკიცებ, რომ არა, ეს ფული დაიხარჯა არა პირდაპირი დანიშნულებისათვის.

ამჟამად ჩვენ გვიწევს დიდი მუშაობის გაშლა სახელმძღვანელოების და პროგრამების შესადგენად, რასაც დიდძალი სახსრები დასჭირდება.

უკანასკნელ დროს, ამხანაგებო, ჩვენში გაიზარდა განათლების მუშაკების კომუნისტების რიცხვი, და ეხლა პარტიის ყოველ წევრს უფლება აქვს მოსთხოვოს, და უნდა მოსთხოვოს კიდეც, განათლების დარგში მომუშავე კომუნისტს, საბჭოთა ეკონომიკისა და მეცნიერების დარგში მომუშავე კომუნისტებს უფრო შეთანხმებული და უკეთესი მუშაობა. ბევრ ჩვენგანს წინად შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო უმაღლესი განათლება, ბევრი ჩვენგანი პარტიამ გამალებული მშენებლობის დროს 3-4 წლით გაგზავნა თეორიული განათლების მისაღებად. ამჟამად საჭიროა დაუბრუნონ პარტიას ყოველივე ეს. ამჟამად უნდა დაირაზმონ კულტურული რევოლიუციის დარგში მომუშავე კომუნისტები, კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებანი სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ მოძრაობას, რათა ჩვენ ბევრად უფრო მეტი მივსცეთ პარტიას, ვიდრე დღემდე ვაძლევდით. უნდა მოვსთხოვოთ პროლეტარულ მწერლებს, რომ მათ ლექსები წერასთან ერთად ხელი შეუწყონ სასკოლო მშენებლობასაც. ლენინი ხშირად ლაპარაკობდა კარგი სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე და იმაზე, რომ ამ საქმეს უნდა მოჰკიდონ ხელი კომუნისტებმა, მაგრამ განა ბევრი კომუნისტი მუშაობს ამ საქმეზე და თუ მუშაობს, მუშაობს თუ არა კარგად? რა თქმა უნდა ძალიან ცოტა მუშაობს და ძალიან ცუდად. კითხვა „ვინ-ვის" საბოლოოდ არის გადაჭრილი მრეწველობაშიაც და სოფლის მეურნეობაშიაც.

მაგრამ ამით იდეოლოგიურ ფრონტზე არ სწყდება ნამდვილი ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის, მეცნიერების პარტიულ-ლენინური თეორიისათვის, მეცნიერების პარტიულობისათვის, ყველა პოზიციების დაუფლებისათვის იდეოლოგიურ ფრონტზე. აქ მტერი ჩვენს წინაშე აშკარად არ სდგას, აქ მტერი ცდილობს კონტრაბანდულად, ნიღაბაფარებულად გამძვრეს და დაეუფლოს პოზიციებს, გავლენა მოახდინოს მასებზე, დაიპყროს მასები. ამავე დროს კი იდეოლოგიური ფრონტის ძირითადი კადრები არ არიან დარაზმულნი, აიღეთ პროლეტარული მწერლები. იქ ერთმანეთს სჭამდნენ, და ამას ძველი ხელმძღვანელობა ხელს უწყობდა. ცენტრალური კომიტეტის და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო დახმარება აღმოეჩინა პროლეტარული მწერლებისათვის, გაეწია სწორი ხელმძღვანელობა და ისინი მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩაეყენებია, ასეთივე მდგომარეობა იყო სამეცნიერო, თეორიული მუშაობის სხვა დარგებშიც. აიღეთ, მაგალითად, სახელგანთქმული ჩახვაძე, წაიკითხეთ „პრავდა"-ს გუშინდელი ნომერი. იქ დაინახავთ, თუ როგორია მისი იდეოლოგია, რა შეხედულების კაცია იგი. ამავე დროს კი ჩახვაძეს ხომ მხარს უჭერდა ც. კ.-ის ხელმძღვანელობა, იგი ხომ მთავარი კონსულტანტი იყო, მათ მოხსენებებს და თეზისებს უწერდა (ხმა: მართალია!)

ახლა პარტია მოითხოვს ყველა კომუნისტურ, მეცნიერულ-თეორიულ ძალების კონსოლიდაციას იდეოლოგიურ ფრონტზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის საბოლოოდ დამკვიდრებისათვის. მეორე მხრით, კულტურული რევოლიუციის ყველა კერებისათვის საჭიროა, რათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და განსაკუთრებით კულტურის და პროპაგანდის განყოფილებებმა ყოველგან კონკრეტული და საფუძვლიანი ხელმძღვანელობა გაუწიონ კულტურული რევოლიუციის ყველა დარგებს. ძალები ისე უნდა გავანაწილოთ, რომ რევოლიუციის ყოველი პუნქტი სათანადოთ იყოს განმტკიცებული. ისე უნდა დავრაზმოთ კომუნისტების და კომკავშირელების კულტურული ძალები, ხოლო მათი მეშვეობით კულტმუშაკების მთელი მასა, რომ არა თუ შევძლოთ ღირსეულად ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნიზმის და „მემარცხენე" გადახვევების წინააღმდეგ, დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ, არა თუ შევძლოთ სტალინური სიფხიზლით შეიარაღება ანტილენინური თეორიების და დებულებების გაპარების წინააღმდეგ, არამედ შევძლოთ ნამდვილი დახმარება აღმოუჩინოთ პარტიას ჩვენს პარტიაში, ჩვენს კომკავშირში ახლად შესულ პარტიელების და კომკავშირელების დიდძალი მასის მარქსისტულ-ლენინურ აღზრდის საქმეში. ეს მოითხოვს კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებათა განმტკიცებას, განსახკომის და ადგილებზე მისი განყოფილებების განმტკიცებას, სამეცნიერო-თეორიულ და განათლების მუშაკთა მასების კონსოლიდაციას პარტიის აღმზრდელობითი და თეორიული ამოცანების გარშემო.

პარტიამ იცის, რომ კულტურული რევოლიუცია უნდა გამაგრებულ იქნას კადრებით, და თუ ამხანაგები ადგილებზე, რაიკომების მდივნები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები ამას შეიგნებენ და ნამდვილად კონკრეტულად მიუდგებიან კულტურული რევოლიუციის ხელმძღვანელობას, დარწმუნებული ვარ, რომ ამ მუშაობას თავს გავართმევთ. დარწმუნებული ვარ, რომ კომუნისტები-კულტმუშაკები მთელ თავიანთ უნარს, ცოდნას და ძალღონეს მოახმარენ ამ ამოცანების შესრულებას, გააჩაღებენ და სათავეში ჩაუდგებიან ნამდვილ ბრძოლას იდეოლოგიურ ფრონტზე და განახორციელებენ პარტიის დირექტივებს.

ამხ. ჟღენტი

(საქართველოს ნავთი)

ამხანაგებო! უცხოეთის პრესა ავრცელებს ხმებს იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირში ნავთის საბადოები ილევა, ეს არის ისეთივე ცილის წამება, როგორც მრავალი სხვა, რომელსაც მიმართავენ კაპიტალისტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გეოლოგიური გამოკვლევანი წინააღმდეგს მოწმობენ. საბჭოთა კავშირს აქვს ორი მილიარდი ტონა ნავთის მარაგი. ეს იმდენივეა, რამდენი ნავთიც ამოიღო ამერიკის მრეწველობამ თავის არსებობის დღიდან.

ჩვენ გვაქვს მრავალი ისეთი ნავთის წყაროები, რომელიც ჯერ კიდევ აღმოჩენილი და დამუშავებული არაა. პარტია გვაძლევს დირექტივას—გავშალოთ მუშაობა ამ მიმართულებითაც.

საქართველოს ნავთის ბუდობებს ამ მხრივ უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. ძველი ხელმძღვანელობის დროს ამ მუშაობას ჩვენში არ ექცეოდა ყურადღება, რაიც აღნიშნულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებაშიც. დღეს მთელი ძალღონე უნდა მივმართოთ ამ ნაკლის გამოსასწორებლად. საქართველოში არის სრული შესაძლებლობა—ფართოდ გაიშალოს სამრეწველო ნავთის ამოღება; ჩვენ ამას მივაღწევთ იმ შემთხვევაში, თუ დავრაზმავთ ძალებს ახალი ორგანოების გარშემო და ენერგიულად შევებრძოლებით ყველა იმ დაბრკოლებებს, რომელიც ამ მხრივ ჩვენ გვაქვს და რომელთა დაძლევაც უთუოდ შეიძლება.

მეშვიდე სხდომა

ამხ. ბაბაშვილი

(ბორჯომი)

ძველ ხელმძღვანელობას, რომელმაც დაუშვა მრავალი უხეში პოლიტიკური შეცდომები არ შესწევდა უნარი ხელმძღვანელობა გაეწია ისეთი დიდმნიშვნელოვან სამეურნეო საქმისათვის, როგორიცაა საქართველოში არის საკურორტო მშენებლობა. ამ საქმეზე ჩვენში გადადებულია 6 მილიონი მანეთი. თავისთავად ცხადია, რომ ამ თანხას ვერ გამოვიყენებთ შესაფერისად იმ მოშლილი აპარატით, რომელიც ამჟამად აქვს საკურორტო სამმართველოს.

ახალმა ხელმძღვანელობამ კურორტების საქმეს სათავეში ჩაუყენა ენერგიული მუშაკი, რომელიც უსათუოდ გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს. რაც შეეხება ილიკო მამულიას, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობდა უკანასკნელ დრომდე უნდა ითქვას, რომ მან დიდი ზიანი მოუტანა საქმეს.

საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილება გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საკურორტო მშენებლობას. ჩვენს კავშირში შეუჩერებლივ იზრდება მრეწველობა, იზრდება პროლეტარიატის ხვედრითი წონა, ამისათვის ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს კურორტების მშენებლობას მუშათა კლასის ჯანმრთელობის დაცვისათვის.

მაგრამ ამ საკითხთან მჭიდროთ არის დაკავშირებული მეორე არა ნაკლები მნიშვნელობის ამოცანა. მე ვლაპარაკობ ტყის მეურნეობაზე. ამ საქმეს დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ხშირად ივიწყებენ, რომ კურორტები წარმოუდგენელია ტყეების გარეშე.

ჩვენ უნდა შევქმნათ კულტურული რაციონალური სატყეო მეურნეობა. ნამდვილად კი ეს ასე არ არის; ამ დარგში ბევრი [illegible] გვაქვს. წელს მაგალითად ჩაიშალა წითელას დამზადება.

ჩვენ აქ ბევრს ვლაპარაკობთ ს. მამულიაზე, მე ვფიქრობ. ის არ არის ამდენი ყურადღების ღირსი. ითქვა უკვე საკმაოზე მეტი, ახლა საჭიროა გადავიდეთ საქმიან მუშაობაზე, ხოლო მამულიას და მის მსგავსებს შესაფერისად მოექცევა ჩვენი სათანადო ორგანოები.

ამხ. ი. ჟვანია

(ზუგდიდი)

უნდა ითქვას, რომ არც ერთ ხელმძღვანელობას არ მიუღია ისეთი არეულ-დარეული მდგომარეობა, როგორიც წილად ხვდა ეხლანდელ ხელმძღვანელობას. გარღვევები გვაქვს სოციალისტური მშენებლობის თითქმის ყველა დარგში, თუ ავიღებთ მდგომარეობას ადგილობრივ უნდა ითქვას, რომ არც ერთი საბჭოთა მეურნეობა მაგ. ზუგდიდის რაიონში არ არის უზრუნველყოფილი ნორმალური მუშაობის პირობებით. განსაკუთრებით უნდა შევჩერდე მე საამშენებლო ორგანიზაციებზე. ეს ორგანიზაციები თავის ხელში აგროვებენ დეფიციტურ მასალებს როგორიცაა ლურსმანი, ცემენტი და სხვა. მაგრამ მშენებლობას ნაკლებად ეწევიან თუმცა მოწოდებულნი არიან ამ საქმისათვის.

ამავე დროს ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციები მოკლებული არიან ამ საშუალებას, ჩვენ ვერ ვაკეთებთ სკოლებს, ხიდებს, და სხვა აუცილებელ რამეებს მასალების ნაკლებობის გამო.

აქ გუშინ გამოჩნდნენ ისეთი „ბრძენები", რომელნიც ამბობდნენ—შეცდომა დაუშვით იმიტომ, რომ აიღეთ მაქსიმალური ტემპებიო. თავის თავად ცხადია, რომ ხალხი, რომელნიც ცდილობენ საკ. კ.პ. (ბ) ცეკას გაუსწორონ ტემპებში რეკონსტრუქციას ვერ ჩაატარებს. აიღეთ მაგალითად ის, რაც ჩვენ გვაქვს დღეს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში. ზუგდიდის მუშაკები არა ერთხელ ამტკიცებდნენ, რომ არ შეიძლება საბჭოთა მეურნეობების ხელაღებით მშენებლობა, საჭიროა წინასწარ პირობების შექმნა. მაგრამ ძველი ხელმძღვანელობა ამ დარგშიაც შეპყრობილი იყო ერთგვარი გიგანტომანიით. გაგვაშენებინეს თამბაქოს ვეებერთელა საბჭოთა მეურნეობა, რომლის მოსავლის დიდი ნაწილიც დაილუპა. ამის შემდეგ საყვედურს იწვნიან საბჭოთა მეურნეობას, რომ თამბაქოს თვითღირებულება ძალიან დიდი გამოგვივიდაო.

დიდ ნაკლს წარმოადგენს ჩვენს მუშაობაში მუშა-ხელის სიმცირე. დეფიციტი ამ დარგში დაფარულ იქნა დაშორებული რაიონებიდან ჩამოყვანილი მუშა-ხელით, რომელთა შორის ძალიან ბევრი იყო უცხო და [illegible] ელემენტები.

არ შეიძლება არ შევეხო წყალთა მეურნეობის უხეირო მუშაობას. რაზედაც ამხ. ფილიპე სწერს დღევანდელ გაზეთში. წყალთა მეურნეობამ თითქოს არ იცის, რომ მთელს აბაშის რაიონს უდიდეს ზიანს აყენებს ცხენის წყალი, რომ მდ. ენგურის მიაქვს ზუგდიდის რაიონის ნათესები, რომ ხობის წყალი აპარტახებს ხობის რაიონის მოსავალს. წელს ჩვენ ენგურმა წაგვართვა 180 ჰექტარი ნათესი. დაიკარგა დიდძალი შრომა. წყალთა მეურნეობის სამმართველო კი [illegible] და, როდესაც მას მიუთითებენ ამის შესახებ. არც მაშინ უნდა შეიგნოს ამის გაკეთების აუცილებლობა.

ამბობენ სტილი ადამიანიაო. ის სტილი. რომლითაც დაწერილია მამულიას განცხადება და მისი გუშინდელი გამოსვლა აქ, მოწმობს, მამულიას ფილისტერობაზე, წვრილმანობაზე.

ამხ. გორდელაძე

(საქ. კ.პ. (ბ) ცეკა)

სავსებით ბუნებრივია, რომ ყრილობამ სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ძველი ხელმძღვანელობის „მემარცხენე" შეცდომები. მაგრამ მე ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, მე მინდა ყრილობის ყურადღება შევაჩერო ჩვენს წინაშე დასმულ მორიგ პრაქტიკულ საკითხების ირგვლივ.

ყრილობის დელეგატები

ნახ. — ვ. კროტკოვის



ამხ. გამიდ საფარ ალი-ოღლი (ახალციხ. კოლმეურნეობა „ხუთწლედი 4 წ.")

ეს საკითხებია: საქართველოში ნავთის მრეწველობის განვითარება, ჩაის მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება და საკურორტო მშენებლობა. ნავთი საქართველოში არის, საჭიროა მხოლოდ ზომების მიღება იმისათვის, რომ ჩვენ რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში შეუდგეთ უკვე ნავთის საექსპლოატაციო ამოღებას.

ასევე უნდა ითქვას ჩაის მეურნეობაზე. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს დიდი ბუნებრივი რესურსები და სათანადო ტეხნიკური და მატერიალური შესაძლებლობა. ყოველივე ეს გამოყენებულ უნდა იქნას ამ დიდ მნიშვნელოვან მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებისათვის.

თქვენ იცით ამხანაგებო, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა ამჟამად მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას. სამწუხაროთ ამ მიმართულებით ჩვენში მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. დღევანდელ პერიოდში, როდესაც ჩვენ დავამთავრეთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება და ფეხი შევდგით სოციალიზმის პერიოდში, პარტიის წევრების თეორიულ შეიარაღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. და აი, თუ ვილაპარაკებთ ჩვენი პოლიტსკოლების გაშლაზე უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ ჯერ ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი. ეს საქმე უნდა შევასრულოთ, თუ ჩვენ გვინდა აღვზარდოთ მარქსისტულ ლენინურად მოაზროვნე მუშაკები, განსაკუთრებით სოფლის მუშაკები, რომ ამით თავიდან ავიცილოთ უკვე დაშვებულ შეცდომების რეციდივები.

პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების მომზადებას. დღემდე ამ საქმეს არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. და აი როგორც ამხ. ბერიამ მოგვახსენათ, საქართველოში უკვე გაიხსნა კომუნისტური უნივერსიტეტი, რომელიც მოგვცემს ახალ პარტიულ მუშაკთა კადრებს.

უკანასკნელ დრომდე მივიწყებული იყო სამეცნიერო საგამოკვლეო მუშაობა. უმწეო მდგომარეობაში იყო მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი. იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ჩვენ ვერ დავივიწყებთ ამხანაგებო, რომ საკითხი „ვინ-ვის"—მოხსნილი არაა იდეოლოგიურ ფრონტიდან, როგორც ეს ბევრს ეჩვენება. მართალია მარქსიზმ-ლენინიზმი დღეს ჩვენში გაბატონებული მსოფლმხედველობაა, მართალია ის არის მმართველი კლასის ბასრი იდეოლოგიური იარაღი, მაგრამ ჩვენ მაინც გვაქვს შემთხვევები ტროცკისტული კონტრაბანდის შემოპარებისა. როგორც ეს აღნიშნა თავის ღირსშესანიშნავ წერილში ამხ. სტალინმა საჭიროა ამ წერილში დასმულ საკითხების ირგვლივ გავამახვილოთ მთელი ჩვენი პარტიისა და კომკავშირის ყურადღება. საჭიროა დაუღალავი ბოლშევიკური ბრძოლა ლენინიზმის პრინციპების სიწმინდისათვის.

რაც შეეხება მამულიას გუშინდელ გამოსვლას ყრილობაზე, უნდა გითხრათ. რომ ის თავისი ფორმით და შინაარსით ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. მე მგონია საკმაო დრო გავიდა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ იმისათვის, რომ მამულიას ჭკუა ესწავლა. მაგრამ ის ასე არ მოხდა. ნაპოლეონი ამბობდა: გა-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ცილებით უფრო მირჩევნია ჭკვიან მოწინააღმდეგე გენერალთან მექნეს საქმე, ვიდრე უჭკუოსთანო, რადგან როცა ჭკვიან მოწინააღმდეგეს ებრძვი, შეგიძლია მისი ნაბიჯები გაითვალისწინო, ხოლო სულელი გენერალი საიდან შემოგვიტევს არ იცით. დაახლოებით ამის მსგავსი განმეორდა მამულიას უცნაურ გამოსვლით საქართველოს მერვე ყრილობაზე.

მამულია უარს აცხადებდა. მე არაფერი ვიცოდი დევდარიანის მოხსენების შესახებო. მართალია დევდარიანს მოხსენების ნება მისცა ქართველიშვილმა. მაგრამ მამულიასაც არ შეეძლო არ სცოდნოდა ამის შესახებ, რადგან მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის გამგეობა თავიდანვე წინააღმდეგი იყო დევდარიანის მოხსენებისა და ამის შესახებ არა ერთხელ დასვა მან საკითხი. როგორც ვიცით დევდარიანის მოხსენება ერთჯერ გადაიდო და ხელმეორეთ დაინიშნა. როგორ შეეძლო მამულიას არ სცოდნოდა ამის შესახებ. მამულია ტყუილად იბუტება იმის გამო, რომ მე ის თითქოს დევდარიანთან ერთ ტაფაში მოვაქციე, მე ვთქვი ამხანაგებო ჩემს მოხსენებაში თბილისის აქტივის კრებაზე, რომ მამულიამ დევდარიანი კინაღამ მოკავშირეთ მიიჩნია და ეს შეიძლება ყოველთვის დავამტკიცოთ დოკუმენტების საშუალებით.

ამხ. გორდელაძის შემდეგ კამათში გამოვიდა ამხ. გ. ჟურულაშვილი, რომლის სიტყვის ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

ამხ. ბელლა ილეშის მისალმება.

ყრილობას მიესალმა პროლეტარულ მწერალთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი ამხ. ბელლა ილეში, რომელსაც ყრილობა ოვაციებით შეხვდა. ამხ. ბელლა ილეშმა განაცხადა:

— პარტია ჩვენ გვავალებს შევქმნათ ლიტერატურაში მაგნიტო-სტროი, პარტიას აქვს ამის სრული უფლება, ვინაიდან ლენინის პარტიამ ხელოვანთა მუშაკებს მისცა ისეთი მდიდარი მასალა, როგორიც არავის არსად არ ქონია. საქ. კ.პ. (ბ) პარტიამ გვიჩვენა ჩვენ როგორ აიღო პროლეტარიატმა ხელისუფლება, როგორ აშენებს ის სოციალიზმს, როგორ ამზადებს საერთაშორისო მუშათა კლასის გამარჯვებას.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას, გაუმარჯოს თქვენი ქვეყნის შვილს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. სტალინს (ტაში).

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ხევის რაიონის დელეგატის გვარი, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა ყრილობაზე მოხსენებულია შეცდომით, უნდა იყოს არა ტიგიშვილი, არამედ ოდიშვილი.

მისალმებები და პატაკები ყრილობას

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) მე-II ყრილობის დელეგაციის მისალმება

ამხ. ქეარიმოვის მიტყვა

ამხანაგებო, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობის სახელით, მხურვალე ბოლშევიკური სალამი საქართველოს კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობას. (ხანგრძლივი ტაში). ახალი ხელმძღვანელობის შედეგად ამიერ-კავკასიის ფედერაციას უკვე ემჩნევა მნიშვნელოვანი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებმა დიდათ შეგვიშალა ხელი წინსვლაში, როგორც მთელ ამიერ-კავკასიის, ისე კერძოდ აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიასაც. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობამ ეს შეცდომები თავის დადგენილებებში გაჰკიცხა და მოგვცა განვითარების და მუშაობის ახალი გეგმა.

ყველა ის მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს ამიერ-კავკასიაში სოციალისტური მშენებლობის საქმეში, პირველ ყოვლისა შედეგია ჩვენი პარტიის დაუნდობელი ბრძოლისა მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის. „მემარცხენე" ოპორტუნიზმის სირცოვ-ლომინაძის ჯგუფის, ტროცკისტული კონტრ-რევოლიუციის და უკანასკნელად ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებში გამომჟღავნებულ „ატამანშჩინის" წინააღმდეგ ბრძოლისა.

ჩვენს ყრილობაზედაც უპრინციპო ჯგუფების მონაწილეები მამულიას მსგავსად უნაყოფოდ სცდილობდენ თავის მართლებას. მათ ერთი და იგივე მეთოდები აქვთ პასუხისმგებლობისაგან თავის დასაძვრენად. სიცრუე და ამხ. სტალინის სახელით სპეკულიაცია,—აი რა ახასიათებს უპრინციპო ჯგუფების აქტიურ მონაწილეთ აზერბეიჯანში ზეინალოვს, იუსუფ-კასუმოვს და კარაევს.

მაგრამ ამ ელემენტებმა აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიაში ვერ შესძლეს მასასთან მისვლა, რადგან მასამ კარგათ იცოდა თუ რას წარმოადგენდენ ისინი.

ჩვენ ამხანაგებო, აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის წევრები სიტყვას ვიძლევით ახალი ხელმძღვანელობის წინაშე—ორახელაშვილის, ბერიას და პოლონსკის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად და ახალი გამარჯვებების მისაღწევად.

გაუმარჯოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას, გაუმარჯოს ამხ. ორახელაშვილს, ბერიას და პოლონსკის' გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ სტალინს (ხანგრძლივი ტაში). **ყრილობა ადგენს ბაქოს დელეგაცია შეყვანილ იქნას საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის პრეზიდიუმში.**

ტყიბულის მაღაროების დამკვრელებისაგან

ტყიბულის მაღაროების დამკვრელი მუშების სახელით ყრილობას ესალმება ტყიბულის ორგანიზაციის წარმომადგენელი. რომელიც თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ ტყიბულის მაღაროები სამარცხვინო ჩამორჩენით ხვდებიან საქ. კ. პ. (ბ) 8 ყრილობას:

— **1931 წლის გეგმა შესრულებული იქნა 45 პროცენტით, 615.000 ტონა ქვანახშირის ნაცვლად გამოღებული იქნა 133396 ტონა**, რაც გამოწვეული იყო მუშა-ხელის არა საკმაო რაოდენობით, მექანიზაციის გაუტარებლობით და სხვა.

ტყიბულის მაღაროების მუშები ბოლშევიკურ სიტყვას იძლევიან, რომ კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით იბრძოლებენ 1932 წლის გეგმების შესრულებისათვის და 1931 წლის დანაკლისების დაფარვისათვის; ფართოდ გაშლიან მუშაობას ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე და გააჩაღებენ ბრძოლას ყოველგვარი ჩამორჩენილობის წინააღმდეგ.

ყრილობამ აგრეთვე მისალმების პატაკები მიიღო „საქ. ნავთისაგან", სტალინის პარტორგანიზაციისაგან, ალაზნის მეურნეობიდან, ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეებისაგან, ა.-კ ცხენოსანთა მე-2 ცალკე ბრიგადისაგან, ქობულეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან, ხონის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან, აჩიგვარას ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან, „საქართველოს ჩაი"-დან, თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკიდან, ტყავრჩელმშენის და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშათა დელეგატებისაგან..

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობა

კამათი ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების გარშემო საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხ. კომიტეტის მუშაობის შესახებ

ბაქო, 23 იანვარი. აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) მე-11 ყრილობის 20 იანვრის სალამოს სხდომაზე მიმდინარეობს კამათი საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხ. კომიტეტის მდივნის ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების გარშემო—საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხ. კომიტეტის მუშაობის შესახებ.

კამათში გამოვიდა ამხ. ნერსესიანი ( ). ამხ. მუსტაფაევი (ლენინის რაიკომის მდივანი), ამხ. მატუსოვი (ძერჟინსკის რაიკომის მდივანი), ამხ. ეფენდიევი (ადერბ. ცაკის თავმჯდომარე).

კამათში გამოსული ყველა ამხანაგები ხაზგასმით აღნიშნავენ უდიდეს მიღწევებს, რომელიც მოიპოვეს ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე. მაგრამ ამხანაგები ყრილობის ყურადღებას მიაქცევენ იმაზე, რომ ეს მიღწევები, როგორც ეს აღნიშნა საკ. კ.პ. (ბ) ცეკამ თავის 31 ოქტომბრის დადგენილებაში, მხოლოდ ნაწილია იმ უდიდესი შესაძლებლობის, რომელიც ამიერ-კავკასიის ფედერაციას მოეპოვება.

ჩვენ უნდა მივიღოთ საბჭოთა კაუჩუკი

კამათში გამოსულმა ამხ. ნერსესიანმა ილაპარაკა კაუჩუკის შესახებ. როგორც ცნობილია, ამიერ-კავკასიაში ბევრი საინტერესო ტეხნიკურ კულტურების განვითარებას აქვს საუკეთესო პირობები. როგორც მაგალითად —ბამბას, ჩაის და სხვ. ამას კიდევ ემატება ახალი ძვირფასი კულტურა, კაუჩუკი, რომლის შესახებაც ამხ. სტალინი ლაპარაკობდა პარტიის მე-16 ყრილობაზე,—ლაპარაკობდა სახელდობრ იმას, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ საბჭოთა კაუჩუკი.

ამ მიმართულებით ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში გასულ წელს სწარმოებდა საცდელი მუშაობა, რომელმაც დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა,—განსაკუთრებით მთიან ყარაბახის რაიონში. ჩვენი ამოცანაა—გავაძლიეროთ მუშაობა ამ მიმართულებით, შევქმნათ საბჭოთა კაუჩუკი.

ბოლშევიკური სიმტკიცისა და შემჭიდროებისათვის

ამიერ-კავკ. პარტორგანიზაციების წინაშე მდგომ უდიდესი ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს ამ ორგანიზაციების შემდგომი ბოლშევიკური შემჭიდროება. მონოლიტობა. ამიერ-კავკ. პარტორგანიზაციებმა და, მათ შორის, აზერბეიჯანის და ბაქოს პარტორგანიზაციებმა გაანადგურეს, დაამსხვრიეს ის უპრინციპო დაჯგუფებები. რომლებიც აფერხებდენ ჩვენს საქმიან მუშაობას. მაგრამ ზოგიერთი ამხანაგები, რომლებმაც პარტორგანიზაციებისაგან ბოლშევიკური პასუხი მიიღეს, თავს სდუმან, რაც ყოვლად მოუთმენელია. პარტორგანიზაციები მოითხოვენ ამ ამხანაგებიდან, ჩვენ მოვითხოვთ ამ ამხანაგებიდან—გვითხრან გარკვევით და დაგვიმტკიცონ საქმით—მხარს უჭერენ ისინი საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებას. თუ ეწინააღმდეგებიან მას.

კამათში გამოსული ამხანაგები კერძოდ გადამჭრელ ზომების მიღებას მოითხოვენ დაჯგუფებების ნაშთების წინააღმდეგ, რომელსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს აზერბეიჯანის პარტორგანიზაციაში.

ყრილობაზე აღინიშნა მოკამათეებისაგან ის უდიდესი მიღწევები, რომელიც პარტიის სწორი პოლიტიკის გატარებით, ლენინური ნაციონ. პოლიტიკის გატარებით მიღწეულია ამიერ-კავკ. ყველა ეროვნებების კულტურულად წინსვლის საქმეში. მაგრამ აღინიშნა ნაციონალური პოლიტიკის ხაზით მთელი რიგი დამახინჯებანიც, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამიერ-კავკასიაში—ძველი ხელმძღვანელობის დროს. ამ შეცდომებს ასწორებს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა. ამიერ-კავკ. პარტორგანიზაციებმა სასტიკი პასუხი უნდა გასცენ ყველა მავნე ტენდენციებს ნაციონალურ პოლიტიკის საკითხში, კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოდ ამიერ-კავკ. ფედერაცია.

ამხანაგებმა ილაპარაკეს აგრეთვე ამიერ-კავკ. რკინისგზის შესახებ, აღნიშნეს, რომ ამიერ-კავკ. რკინის გზას აქვს უდიდესი ნაკლოვანებები. ამის ერთ-ერთ მიზეზად ამხანაგები ასახელებდენ იმას, რომ ამიერ-კავკ. რკინის გზის დირექციის აპარატში, მის ცალკე რგოლებში კიდევ განაგრძობს არსებობას ძველი ხელმძღვანელობის ელემენტები, რომლებიც სცდილობენ მუშაობა ისევ ძველი ხელმძღვანელობის არა სწორი მეთოდებით აწარმოონ. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ბოლო უნდა მოეღოს ბაქოს რკ. გზის კვანძის შეუთავსებლობას, რომელსაც დღეს კიდევ ადგილი აქვს.

მოკამათენი ვრცლად შეჩერდენ იმ მიღწევებზე, რომლებიც მოპოვებულია სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ფრონტზე; შეჩერდენ აგრეთვე იმ შეცდომებზე, რომელიც სოფლად მუშაობის საკითხში, გლეხობის საკითხში, იყო დაშვებული ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობისაგან: ამ შეცდომების გამოსწორებით, რომელსაც აწარმოებს ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა, კიდევ ახალ უდიდეს წარმატებებს აღწევს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში, როგორც მთლიანად ამიერ-კავკ. პარტორგანიზაციები, ისე აზერბეიჯანის პარტორგანიზაცია.

სომხეთის კ. პ. (ბ) მერვე ყრილობა

ერივანი, 23 იანვარი. 18 იანვრის დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. **ხანჯიანის** მოხსენების გარშემო.

კამათში 150 ამხანაგზე მეტია ჩაწერილი. დილის სხდომაზე კამათში გამოვიდა ამხ. **შალჯიანი** (სტეფანის რაიონი), **მიქაელიანი** (ლენინაკანის დეპოს მუშა), **ნერსესოვი** (ალავერდი), **რაფაელიანი** (აბარანიდან) **აბასოვი** და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ცენტრალური ორგანოები კიდევ არასაკმაოდ არიან მობრუნებული პირით—სოფლისაკენ: მოითხოვდენ სოფლად მშენებლობის (სკოლები და სხვა კულტურული დაწესებ.) და მუშათა საბინაო მშენებლობის გაძლიერებას.

ამხ. **ნერსესიანმა** ყრილობის ყურადღება განსაკუთრებით შეაჩერა ალავერდის სამთო-მეტალურგ. წარმოების საკითხებზე. აღნიშნა რა, რომ ალავერდი მდიდარია, როგორც სპილენძის, ისე ალიუმინის. თუთიას და სხვა მადნეულობით, ხაზგასმით სცნო საგამომძიებლო-საძიებელი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლის აუცილებლობა. საერთოდ სხვა ამხანაგებიც აღნიშნავენ, რომ მთელ რიგ რაიონებში არსებობს სხვადასხვა მადნეულები, მაგრამ მათი შესწავლა დღემდე კიდევ არ მომხდარა, რაც უნდა გამოსწორდეს.

ამხ. **რაფაელიანი** შეეხო სომხეთის კოლმეურნეობათა ცენტრის მუშაობას და აღნიშნა, რომ სუსტია მისი ხელმძღვანელობა; აღნიშნა აგრეთვე ისიც, რომ როგორც კოლმეურნ. ცენტრი, ისე რესპუბლიკანური სხვა ორგანიზაციები ხშირად ისეთ გეგმებს ადგენენ და აძლევენ დავალებებს ადგილებს, რაიონებს, რომ საკმაოდ არ ითვალისწინებენ ადგილებზე არსებულ პირობებს.

კამათში გამოსული ყველა ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ სომხეთის პარტორგანიზაცია მტკიცედ დაირაზმა საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების ბოლშევიკურად შესასრულებლად, ბოლშევიკურად შეუდგა დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას; ხაზგასმით აღნიშნა, რომ სომხეთის კომუნისტურმა პარტიამ—ცეკას სწორი ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს, უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია—სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგებში.

ქართველი მენშევიკები თავად-აზნაურების სამსახურში

ქართველი მენშევიკები ღებულობდენ თავად-აზნაურებისაგან სუბსიდიებს გლეხურ მოძრაობასთან საბრძოლველად

ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „არც ერთ ქვეყანაში გლეხობა არ განიცდიდა ისეთ გაჭირვებას, ისეთ სილატაკეს, ისეთ დამცირებას და შეურაცყოფას, როგორც რუსეთში" (ტ. 15, გამოცემა მე-2, გვ. 109) ყველაზე უფრო სწორად ახასიათებს გლეხობის მდგომარეობას ამიერ-კავკასიაშიც თებერვლის რევოლიუციის წინ.

პოლიტიკურ უუფლებობას და ეროვნულ ჩაგვრასთან ერთად გლეხობას სულს უხუთავდა ფეოდალიზმის მრავალი ნაშთი. გლეხობის დროებითი ვალდებულებანი მემამულეების მიმართ მოისპო მხოლოდ 1912 წლის დეკემბერში. მხოლოდ ამ კანონით 2184 კომლი გლეხი განთავისუფლდა ეჩმიაძინის მონასტრის ბატონყმურ დამოკიდებულებისაგან. იმ დროს, როცა მეტროპოლიაში გამოსასყიდი გადასახდელები გაუქმდა 1907 წელს, ამიერ-კავკასიის გლეხებმა—ნადელები მიიღეს გამოსყიდვით და მათ მემამულეებისათვის უნდა გადაეხადათ ხაზინის მეშვეობით 24 მილ. მანეთზე მეტი (56 წლის ვადაში 4 ნახ. წლიური პროცენტის გაღებით). 1912 წლის კანონმა ვერ გადასჭრა ხიზანთა—ამ „მუდმივ მოიჯარადრეთა" საკითხი. „ჩამონაჭრები", ურომლისოდაც გლეხებს არ შეეძლოთ არსებობა, დატოვებულ იქნა მემამულეების ხელში, მოუწესრიგებელი დარჩა საკითხები ტყით, საძოვრებით და წყლით სარგებლობის შესახებ.

გლეხები მემამულეების მიერ ეკონომიურად დამონებული დარჩენ. მიწის დიდი ნაკლებობის გამო ისინი თანხმდებოდენ იჯარის ყველაზე მძიმე, მონურ, აღმაშფოთებელ, საშუალო საუკუნოებრივ ფირმებზე.

ჩამორჩენილი, ნახევრად ბატონ-ყმური ურთიერთობა სოფლად აფერხებდა საწარმოო ძალთა განვითარებას, იწვევდა მასების გაღატაკებას და დაბრიყვებას. აგრარული საკითხის გადაჭრა, ექსპლოატაციის საშუალო საუკუნოების ფორმების მოსპობა, პირობების შექმნა წვრილი გლეხური მეურნეობის თავისუფალი განვითარებისათვის—ეს საკითხები განსაკუთრებით მწვავედ იყო დასმული ამიერ-კავკასიაში.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა მონოპოლიური, ხელმძღვანელი მდგომარეობა დაიკავეს მხარის ყველა ახლად დაარსებულ „დემოკრატიულ" ორგანიზაციებში.

თუ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში მენშევიკები, როგორც სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთა, გამოხატავდენ სოფლის და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს, სამაგიეროდ იმპერიალისტური ომის წლებში ისინი განიცდიან გარდაქმნის პროცესს, იცვლიან სოციალურ ბაზას, ხდებიან საერთოდ ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის იმ ფენების ინტერესების გამომხატველად, რომელნიც დაადგენ კაპიტალისტური განვითარების გზას. 1917 წელს სულ უფრო და უფრო ძლიერდება მენშევიკების გავლენა საერთო ნაციონალური მასშტაბით და შემოდგომაზე, საქართველოს ეგრედწოდებულ ეროვნულ ყრილობაზე „ქართული მენშევიზმი აღმოჩნდა იმ ქართული ნაციონალიზმის აღიარებულ ბელადად, რომელიც წარმოადგენს მემამულეთა, წვრილ-ბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ელემენტების მღვრიე ნარევს" (მ. ორახელაშვილი. „ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს", გვ. 54).

მენშევიკები არა თუ კავშირს აბამენ ყველაზე უფრო მემარჯვენე შოვინისტურ-ნაციონალისტურ პარტიებთან, არამედ განსაზღვრულ შეთანხმებასაც სდებენ მათთან საერთო მოქმედების ტაქტიკის გამომუშავების შესახებ.

ამას საუკეთესოდ ამტკიცებს ის დოკუმენტი, რომელიც აღმოჩნდა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის საქმეებში.



В пятницу, 24 сего марта, в 8 ч. веч. в помѣщеніи Тифлисскаго Дворянскаго Депутатскаго Собранія, НОЙ НИКОЛАЕВИЧ ЖОРДАНІЯ сдѣлает сообщеніе о проектѣ будущаго политическаго устройства Грузіи в Россійском Государствѣ.

Извѣщая об этом, С. С. Вирсаладзе просит Вас пожаловать на означенное сообщеніе.

Начало ровно в 8 ч. веч.

Настоящее извѣщеніе просят предъявить при вход

Справка

Состоялось многолюдное собраніе. Председательствовал г. Журули. Помимо означенных лиц присутствовало до 70 человек неприглашенных. Н. Н. Жорданія согласился сделать доклад при всех. В преніях участвовали кн. Ш. А. Гедеванов, Г. Вешапели, Г. Рцхиладзе, Г. Б. Гвазава и Ш. Месхишвили.

„პარასკევს, ა. წ. 24 მარტს, სალამოს 8 საათზე თბილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს შენობაში, ნოე ნიკოლოზის ძე **ჟორდანია** გააკეთებს მოხსენებას საქართველოს პოლიტიკური მოწყობის შესახებ რუსეთის სახელმწიფოში. გაცნობებთ რა ამის შესახებ, ს. ს. ვირსალაძე გთხოვთ თქვენ მობრძანდეთ აღნიშნულ მოხსენებაზე.

დასაწყისი სალამოს სრულ 8 საათზე. გთხოვთ ეს უწყება წარუდგინოთ შემოსვლის დროს".

დოკუმენტი დაბეჭდილია მანქანაზე, ხელით მიწერილი აქვს შემდეგი ცნობა:

შესდგა მრავალრიცხოვანი კრება. თავმჯდომარეობდა გ. ჟურული. აღნიშნულ პირების გარდა დაესწრო 70-მდე კაცი, რომელნიც არ იყვნენ მოწვეულნი. ნ. ნ. ჟორდანია დასთანხმდა გაეკეთებია მოხსენება ყველას თანდასწრებით. კამათში მონაწილეობა მიიღეს შ. ა. გედევანიშვილმა, გ. ვეშაპელმა, გ. რცხილაძემ, გ. ბ. გვაზავამ და შ. მესხიშვილმა—უკანასკნელმა საკითხის დაყენების გარშემო. დოკუმენტის მეორე მხარეზე მოთავსებულია სია 24 მოწვეული პირისა. მათ შორის არიან: თავადები აბაშიძე (კიტა), კ. აფხაზი, ა. გურამიშვილი, ი. ბაგრატიშვილი, დიასამიძე' მსხვილი აზნაურები და ნაციონალისტური მოღვაწენი: გ. ჟურული, მ. მაჩაბელი, გ. გვაზავა, ს. კედია, გ. ვეშაპელი და სხვ. (საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს არქივი. თბ. გუბ. თავად.-აზნ. წინამძღ. საქმ. № 25, ფურც. 32).

ეს კრება ჩატარდა არა საჯაროდ. სამწუხაროდ, თავად-აზნაურობის არქივის საქმეში არ მოიპოვება არც მოხსენების და არც „კამათის" შინაარსი. მაგრამ ჩვენთვის საკმარისია თვით ფაქტი.

ქართული მენშევიზმის ბელადი ნ. ჟორდანია, თავად-აზნაურობის „აქტივის", ამ „ბრწყინვალე" თავადების და აზნაურების კრებაზე აკეთებს მოხსენებას საქართველოს მომავალ პოლიტიკურ წყობილების შესახებ; იხილავენ საკითხს, ისმენენ „კეთილშობილი წოდების" აზრს ამის შესახებ. ეს არ იყო შემთხვევითი ამბავი ან თავაზიანობა ნ. ჟორდანიას მხრით, რომელიც დიდი თხოვნით დაითანხმეს მოხსენების გაკეთებაზე. არა, აქ იყო სავსებით მოფიქრებული ნაბიჯი. ნ. ჟორდანიას სახით ქართული მენშევიზმი ეძებდა კონტაქტს, მოქმედების შეთანხმებას საქართველოს რეაქციასთან. ამის შემდეგ გასაგებია, თუ საითკენ მიისწრაფოდენ და სად ეძებდენ დასაყრდენს მენშევიკები თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ.

კრებაზე, როგორც სჩანს, გამონახულ იქნა საერთო ენა, მიღწეულ იქნა შეთანხმება. ამ თათბირის მონაწილეთა შორის ბევრი შემდეგში თვალსაჩინო როლს თამაშობდა მენშევიკურ საქართველოს მთავრობაში. მენშევიკების სახით თავად-აზნაურებმა იპოვეს მათი ფეოდალური პრივილეგიების ყველაზე საიმედო დამცველნი.

გლეხობის საკითხში საჭირო იყო ზომების მიღება ამიერ-კავკასიის გლეხთა ბატონყმური ექსპლოატაციის ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი ფორმების მოსასპობად, საჭირო იყო, ყოველ შემთხვევაში, მათი უფლებრივად გათანასწორება ცენტრალური რუსეთის გლეხობასთან; ამ მიზნით უნდა გაეუქმებიათ გამოსასყიდი გადასახდელი, გადაეცათ გლეხებისათვის „ჩამონაჭრები", გადაეწყვიტათ ხიზანთა საკითხი, შეეზღუდათ მძარცველური საიჯარო გადასახადი და სხვ. წერილში „რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები" ფ. მახარაძე ამბობს: „საჭიროა ეხლავე წამოვაყენოთ ღარიბი გლეხობის ყველა საარსებო მოთხოვნები და მოვითხოვოთ მემამულეების მიწის დაუყოვნებლივი კონფისკაცია" („კავკასკი რაბოჩი"-ს 19 მარტის ნომერი).

იმავე დღეს საბჭოს სხდომაზე ს. შაუმიანი აცხადებს: „რაც შეეხება გლეხობის საკითხს, ჩვენ ეხლავე უნდა გადავისროლოთ მასებში მიწების კონფისკაციის ლოზუნგი და ვიმოქმედოთ გაბედულად"!

მენშევიკები, რომლებმაც შეჰკრეს ბლოკი ესერებთან, ეყრდნობოდენ გაბატონებულ კლასებს და ატარებდენ ბოლშევიკების იზოლიაციის ხაზს. გლეხობის საკითხში ისინი ანხორციელებდენ სულ სხვა პოლიტიკას.

მენშევიკური ტაქტიკის გასამართლებლად ნ. ჟორდანია ამტკიცებს, რომ გლეხობა არ წარმოადგენს რევოლიუციის მამოძრავებელ ძალას, რომ იგი მთლად რეაქციონურია. ჟორდანია წინადადებას იძლევა: „მოეწყოს სოფლად შემარიგებელი კამერები, რომელნიც გადასჭრიან მიწის საკითხის გარშემო აღმოცენებულ უთანხმოებებს. რაც შეეხება მიწების კონფისკაციის საკითხს, იგი გადაიჭრება დამფუძნებელ კრებაში" (წერილები და სიტყვები, გვ. 6).

ბოლშევიკების მოწოდებას, რომ ბატონყმური ურთიერთობა სოფლად რევოლიუციონური გზით ყოფილიყო დამსხვრეული, მენშევიკები აფასებდნენ, როგორც „დაბრმავებას", „ანარქიას", „თვითნებობას", „ხალხის თავისუფლების შელახვას, „რომელიც თითქო სასარგებლო იყო არა გლეხობისათვის, არამედ ახალი წყობილების მტრებისათვის."

მემამულენი სარგებლობდნენ ხელისუფლების და მენშევიკთა წარმომადგენლების დახმარებით, ძველებურად ეწეოდნენ გლეხთა ექსპლოატაციას, მოითხოვდნენ დიდ საიჯარო გადასახადებს და სხვ. სოფლის აღმასრულებელ და საადგილ-მამულო კომიტეტებში მოკალათდნენ „მდიდრები, მემამულენი, ბობოლები, კულაკები, ყოფილი პოლიციელნი, სასულიერო პირნი; აშკარა სულიგნები და რეაქციონერები" („კავკ. რაბ."). ეგრედწოდებული „შემარიგებელ კამერებს" ადგენდნენ 2 აზნაურისა, 2 გლეხისა და 1 პირისაგან მხარეთა შეთანხმებით. სინამდვილეში იშვიათად თუ გადასწყდებოდა გლეხების სასარგებლოდ რაიმე დავა.

გლეხობა 1917 წელს შეხვდა მეტად ძლიერი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ილუზიებით. მას სჯეროდა მენშევიკების და ესერების სიცრუე, მათგან მოელოდა აგრარული საკითხის ნაწილობრივ გადაჭრას მაინც. მაგრამ რაკი მან რეალურად ვერაფერი მიიღო, აპრილიდან დაწყებული მთელს ამიერ-კავკასიაში ჩაღდება აგრარული მოძრაობა, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ბატონ-ყმური ურთიერთობა განსაკუთრებით ძლიერი იყო. დაიწყო მემამულეთა მიწების დაუფლება, მამულების დარბევა, ცეცხლის წაკიდება, მემამულეთა მიწებზე პირუტყვის გაშვება, საიჯარო გადასახადის გაღებაზე უარის თქმა, ცალკე მემამულეთა მკვლელობა. მაგალითად, გორის მაზრაში გლეხებმა თავად ციციშვილებს ჩამოართვეს 63.000 დესეტინა მამული, დუშეთის მაზრაში გააძევეს მოურავი და მამული ჩამოართვეს თავად მუხრანსკებს, თბილისის მაზრაში ადგილი ჰქონდა მამულების ხელში ჩაგდების მასიურ შემთხვევებს, განსაკუთრებით განირჩეოდა ბორჩალოს მაზრა, სადაც მოხდა სერიოზული შეტაკება მემამულეებთან, როგორიც იყვნენ არამიანცები ციციშვილები, მელიქოვები; სამი თვის განმავლობაში აქ ადგილი ჰქონდა 67 მკვლელობას. აგრარული მოძრაობის ფართო ტალღა, გაიშალა აზერბეიჯანსა და სომხეთშიც (განსაკუთრებით ეჩმიაძინის მაზრაში გაანადგურეს ცატუროვების მამული და სხვ.).

მემამულენი სერიოზულად დაფრთხნენ. გლეხთა ომის ლანდი რეალური ხდებოდა. საჭირო იყო გლეხთა მოძრაობის შეჩერება და ჩახშობა. საჭირო იყო აგრარული საკითხის დასმა განსახილველად. 21 მაისს ამას შეუდგა მუშათა და გლეხთა დეპუტატების ამიერ-კავკასიის ყრილობა. აგრარული საკითხის გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მენშევიკებმა წარმოადგინეს (ბოლშევიკების პასუხისმგებელ მომხსენებელს აგრარულ საკითხებზე საშუალება არ მიეცა ყრილობაზე გამოსულიყო). აგრარული საკითხის რადიკალურად გადაჭრა მემამულეთა მიწების კონფისკაცია და სხ.—დამფუძნებელ კრებამდე გადასდვეს იმ მიზნით, რომ დაებნიათ გლეხობა, შეეჩერებიათ აგრარული მოძრაობა, ფიქრობდენ გაეტარებიათ ზოგიერთი ნაწილობრივი ღონისძიება: განეთავისუფლებიათ იჯარისაგან ხიზანთა მიწები, აეკრძალათ გარიგება მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეში, შეეჩერებიათ გადასახდელის შეტანა ბანკებში.

იმ მიზნით, რომ დაუფლებოდნენ გლეხთა მოძრაობას და მისთვის მშვიდობიანი, შეთანხმებლური ხასიათი მიეცათ, 19—26 ივნისს თბილისში ჩაატარეს გლეხთა სპეციალური სამხარეო ყრილობა. გლეხთა ურიცხვ განაწესებში, გლეხ-დელეგატების გამოსვლებში გამოაშკარავდა, თუ რა აუტანელი მდგომარეობა იყო შექმნილი სოფლად. მაგრამ ყრილობის მენშევიკმა ხელმძღვანელებმა,—ნ. ჟორდანიამ, ნ. რამიშვილმა,—ყველაფერი მოიმოქმედეს იმისათვის, რომ ყრილობისათვის მისი ნამდვილი სახე დაეკარგათ. აგრარული საკითხის გამო გატარებულ იქნა ისეთივე რეზოლიუცია, როგორც საბჭოების მაისის ყრილობაზე სამხარეო ცენტრში აირჩიეს 42 კაცი, აქედან—32 მენშევიკი (მათ შორის ნ. რამიშვილი, ა. ჩხენკელი, ა. ფარნიევი, ჩხიკვიშვილი, ხ. ელიავა, ს. ჯუღელი, ვ. მგელაძე. საგლეხო ცენტრის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა ნ. რამიშვილი*). არავის ფიქრობდა განეხორციელებია ის უბადრუკი ღონისძიებანიც კი, რომლებიც ყრილობამ დასახა აგრარულ საკითხზე მიღებულ რეზოლიუციაში. მენშევიკური გაზეთი „იზვ. ტიფ. სოვეტა" (№ 43) მოითხოვდა, რომ „უაღრესად მკაცრად დაეგმოთ ხანძარი, ცეცხლის წაკიდება, მითვისება, სოფლის მეურნეობის განთავებების და დაშლის სხვა ფორმები და გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებიათ ყველა ხელმისაწვდომი საშუალებებით იმათ წინააღმდეგ, ვინც აქეზებდა სოფლის ბნელ მასას ამ ხულიგნურ და ანარქიულ გამოსკლებისათვის". მენშევიკურ ბრძანებათა ბრმა ამსრულებელი, ა.-კ. საგანგებო კომიტეტი, მენშევიკ ა. ჩხენკელის ხელმოწერით, 27 ივლისს იძლევა დირექტივას „კანონის მთელი სიმკაცრით დასჯილ იქნან თვითნებურ მოქმედებაში დამნაშავე პირები", „დამფუძნებელ კრებამდე მოეთხოვოს გლეხებს საადგილ-მამულო და სხვა გადასახადის და გამოსაღების შეტანა, საადგილ-მამულო ბანკებში" იმ საფუძვლით, რომ „გლეხთა ყრილობის სურვილი არ არის გაფორმებული საკანონმდებლო წესით"). ა.-კ. საგანგებო კომიტეტი უფრო მოუსვენარ რაიონებში, ადგილობრივი ხელისუფლების დასახმარებლად, აგზავნის ყაზახთა დამსჯელ რაზმებს.

საგლეხო ცენტრი არავითარ დამოუკიდებელ როლს არ თამაშობდა, ის ასრულებდა მენშევიკური პარტიის დირექტივას. ცენტრი იმით იყო გართული, რომ „აელაგმა" გლეხთა მასები და დაეცვა მემამულეთა ინტერესები. იგი გლეხების ყურადღებას აძინებდა ლაყბობით იმის შესახებ, რომ აგრარული საკითხის გადაჭრისათვის უნდა დაეცადათ დამფუძნებელ კრებამდე.

საგლეხო ცენტრში მოკალათებულმა მენშევიკებმა აშკარა კავშირი გააბეს თავად-აზნაურობასთან.



ФЛИССКІЯ
НСКІЙ ЗЕМЕЛЬНЫЙ
БАНКЪ
№ 4904
Іюня 1917
Тифлисъ
для телеграммъ
лисъ Земельный

Въ Совѣтъ крестьянскихъ депутатовъ Закавказья.

13 июля 1917
57

Представители Совѣта крестьянскихъ депутатовъ П. ГЕЛЕЙШВИЛИ и І. ГЕДЕВАНОВЪ 6-го сего Іюля обратились къ Правленію Тифлисскаго Дворянскаго Земельнаго Банка съ просьбою поддержать матеріально названный Совѣтъ, который, поставивъ одною изъ своихъ задачъ предупрежденіе насильственныхъ захватовъ земель и вообще всякихъ эксцессовъ между землевладѣльцами и крестьянами, нуждается въ денежныхъ средствахъ для организаціи планомѣрной работы. Правленіе Банка считаетъ нужнымъ извѣстить Совѣтъ крестьянскихъ депутатовъ, что оно, относясь съ полнымъ сочувствіемъ къ задачамъ Совѣта, лишено возможности подойти къ нему на помощь какой нибудь крупной суммой денегъ, такъ какъ Банкъ свою прибыли ежегодно передаетъ въ полное распоряженіе Дворянства Тифлисской губерніи, смѣтныя же назначенія не даютъ Правленію Банка права производить какія либо выдачи по своему усмотрѣнію. Совѣтъ крестьянскихъ депутатовъ, какъ сообщили Пре Банка ГЕЛЕЙШВИЛИ и ГЕДЕВАНОВЪ, уже обратился съ аналогич ходатайствомъ къ Дворянству Тифлисской губерніи, которое мѣрѣ своихъ средствъ разрѣшитъ это ходатайство; Правленіе Банка съ своей стороны находитъ возможнымъ изъ средствъ за своею отвѣтственностью выдать Совѣту крестьянскихъ д товъ на указанныя выше цѣли двѣ тысячи рублей.

Сообщая объ этомъ, Правленіе Банка проситъ Совѣтъ кр скихъ депутатовъ получить указанныя двѣ тысячи рублей.

Предсѣдатель Кн. Мих. Грузин

ТИФЛИССКІЙ ДВОРЯНСКІЙ ЗЕМЕЛЬНЫЙ БАНКЪ

Членъ Правленія Кн. Дм. Павлен

Завѣдывающій Общимъ Отдѣломъ К. Вач

თბილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკი
№ 4904
1917 წლის 8 ივნისი
თბილისი
მისამართი დეპეშ ბისათვის „თბილისი, სადგილ-მამულო"

(ჩაწერილია: „ეთხოვოს ამხ. ი. გედევანიშვილს და გელეიშვილს მიიღონ და საგლეხო საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე შეიტანონ. 17 წ. 13/VII (ხელისმოწერა)"

(ჩაწერილია: „საქ. თავ.-აზნ. 5.000. ნაშთი გლეხთა ყრილობის კომიტეტის ორგანიზაციიდან—510—50")

ამიერ-კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს

გლეხთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლებმა **პ. გელეიშვილმა** და **ი. გედევანიშვილმა** 6 ამა ივლისს თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას მიმართეს თხოვნით მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ აღნიშნული საბჭოსათვის, რომელმაც თავის ერთერთ მიზნად დაისახა მიწების ძალით დაუფლების და საერთოდ ყოველგვარი ექსცესების აცილება მიწათმფლობელებსა და გლეხებს შორის და რომელიც გეგმაშეწონილი მუშაობის ორგანიზაციისათვის ფულად საშუალებებს საჭიროებს. ბანკის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია აცნობოს გლეხთა დეპუტატების საბჭოს, რომ იგი სრული თანაგრძნობით ეკიდება საბჭოს ამოცანებს, მაგრამ მოკლებულია საშუალებას აღმოუჩინოს მას დახმარება ცოტად თუ ბევრად მსხვილი თანხით, ვინაიდან ბანკი თავის მოგებას ყოველწლიურად სდებს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სრულ განკარგულებაში, ხოლო სახარჯთაღრიცხვო ვარაუდები ბანკის გამგეობას უფლებას არ აძლევენ თავისი შეხედულებით გასცეს რაიმე თანხა. გლეხთა დეპუტატების საბჭომ, როგორც ეს ბანკის გამგეობას **გელეიშვილმა** და **გედევანიშვილმა** აცნობეს უკვე მიმართა ანალოგიური შუამდგომლობით თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას რომელიც თავის საშუალებათა მიხედვით დააკმაყოფილებს ამ შუამდგომლობას. ბანკის გამგეობას კი თავის მხრით შესაძლებლად მიაჩნია ბანკის საშუალებებიდან თავისი პასუხისმგებლობით მისცეს გლეხთა დეპუტატების საბჭოს ორი ათასი მანეთი ზევით აღნიშნული მიზნებისათვის

აცნობებს რა ამას, ბანკის გამგეობა სთხოვს გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიიღოს აღნიშნული ორი ათასი მანეთი

თავმჯდომარე თავ. **გრუზინსკი**
გამგეობის წევრი თავ. **დ. ფავლენიშვილი**
საერთო განყოფილების გამგე თავ. **ვაჩნაძე**
(ცენტრო არქივი, ფ. № 2 საქ. 77, ფურც. 1)

ცენტრის წარმომადგენლებმა მართლაც რომ მიმართეს ქართველ თავად-აზნაურობას და მისგან ფული მიიღეს, ამას ადასტურებს შემდეგი დოკუმენტი:



ПРОТОКОЛЪ

ЗАСѢДАНІЯ КРАЕВОГО ЦЕНТРА ЗАКАВКАЗСКИХЪ КРЕСТЬЯНСКИХЪ ДЕПУТАТОВЪ ОТЪ 6 ІЮЛЯ 1917 ГОДА.

Слушали.

3) Докладъ секретаря П.П. Гелейшвили о положеніи матеріальной стороны Бюро Центра и о томъ, что земельная Комиссія Груз. Двор. Депут. собранія ассигновала въ распоряженіе финансовой Комиссіи 10000 рублей для проведенія въ жизнь принятыхъ Краевымъ Съѣздомъ резолюціи, а также директора Михайловскаго Земельнаго Банка Ласхишвили ассигновать въ распоряженіе той-же финансовой Комиссіи опредѣленной суммы.

Постановили:

Принять указанныя суммы и разрѣшить внести на текущій счетъ Краевого Крестьянскаго Центра на имя П.П. Гелейшвили и Г.К. Гедеванова и впредь обратиться за матеріальной поддержкой для осуществленія упомянутой выше цѣли къ банкамъ, сельско-хозяйств. и благотворительнымъ обществамъ городскимъ самоуправленіямъ купечеству, а также къ промышленникамъ, имѣющимъ отношеніе къ Крестьянской жизни, хвс

ამიერ-კავკასიის გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრის 1917 წლის 6 ივლისის სხდომის

ოქმი

მოისმინეს:

8. მდივნის პ. პ. გელეიშვილის მოხსენება ცენტრის ბიუროს მატერიალური მხარის მდგომარეობაზე და იმის შესახებ, რომ ქართველი თავად-აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს საადგილმამულო კომისიამ **გადასდვა საფინანსო კომისიის განკარგულებაში 10.000 მანეთი სამხარეო ცენტრის მიერ მიღებულ რეზოლიუციების განსახორციელებლად**, აგრეთვე მიხეილის სახელობის საადგილ-მამულო ბანკის დირექტორის ლასხიშვილის მოხსენება, რომ იმავე საფინანსო კომისიის განკარგულებაში გადადებული იქნა განსაზღვრული თანხა.

დაადგინეს:

მიღებულ იქნას აღნიშნული თანხა და შეტანილი სამხარეო საგლეხო ცენტრის მიმდინარე ანგარიშზე პ. პ. გელეიშვილის და გ. კ. გედევანიშვილის სახელზე **და შემდეგშიაც მატერიალური დახმარებისათვის ზევით აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად მიემართოს ბანკებს, სასოფლო-სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებებს, ქალაქის თვითმართველობებს, ვაჭრებს. აგრეთვე იმ მრეწველებს, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ გლეხთა ცხოვრებასთან** (ხაზგასმულია ჩვენს მიერ—გ. ხ.) (ცენტრ. არქ. ფ. № 2, საქ. 106, ფურც. 5—6) *)

ეს დოკუმენტები სავსებით აშკარავებენ მენშევიზმის ნამდვილ ბუნებას. მაშინათვე, თებერვლის გადატრიალების შემდეგ, ნოე ჟორდანია ტყუილად კი არ უთანხმდება ქართველ თავადაზნაურობას ტაქტიკის საკითხში. გასაგებია, რომ მენშევიკური საგლეხო ცენტრი, მენშევიკების მეორე ლიდერის ნოე რამიშვილის მეთაურობით, იცავს თავადაზნაურობის ინტერესებს და „თავის ერთ-ერთ ამოცანად სახავს მიწების ძალით დაუფლების და საერთოდ მიწადმფლობელთა და გლეხებს შორის ყოველგვარი ექსცესების აცილებას". როგორ მოგწონთ, გლეხთა ყრილობის რეზოლიუციების ბეჭდვა, აგრარული რეფორმის ჩატარება თავადაზნაურობის, ვაჭრების მრეწველების, თანხებით! ან შეიძლება „ფულს სუნი არ უდის?"

ესაა უაღრესი საზიზღრობის და საძაგლობის ფაქტი, რომლის ჩადენა შეეძლო მხოლოდ ბოლომდე გახუნებულ და საშინლად გახრწნილ ქართულ მენშევიზმს.

გლეხობის რევოლიუციონური მოძრაობის ჩახშობაზე თავადაზნაურობასთან აშკარა შეთანხმების ფაქტით „გაცოფებულმა წვრილმა ბურჟუამ" დიდი ხნით გაუსწრო თავის მოძმეებს, რუსეთის მენშევიკებს. ეგრედწოდებულ „რ.ს.-დ. მ.პ. საკავშირო ბიურომ (მეორე ინტერნაციონალის აშკარა აგენტურა), რომელმაც თავის ამოცანად დაისახა კაპიტალისტური წყობილების აღდგენა საბჭოთა კავშირში და ოქტომბრის რევოლიუციის დიად მონაპოვართა სისხლში ჩახშობა და რომელიც ამ მიზნით არ დაერიდა ბლოკის შექმნას კონტრრევოლიუციონურ ფაშისტურ ორგანიზაციებთან და მათგან მატერიალური საშუალებების მიღებას.

ოქტომბრის შემდეგ მენშევიკები ჩადგნენ საბჭოების ყველაზე შეურიგებელ და გაფთრებულ მტრების რიგებში. მიწის შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული დეკრეტის დასაპირდაპირებლად, მხოლოდ 1917 წლის დეკემბერში მენშევიკმა ე. გეგეჭკორმაც გამოსცა „დეკრეტი" მიწის შესახებ. მისი წაკითხვა ამჟამად ზიზღს იწვევს. რამდენად უსაზღვროა ბურჟუაზიულ-მემამულური ბლოკის აშკარა დამცველების სიცრუე. პოლიტიკური შარლატანობა! ამიერ-კავკასიის სეიმის, ხოლო შემდეგ „დამოუკიდებელ" საქართველოს დროს მენშევიკები მთელი ძალღონით განაგრძნობდენ იმავე ბლოკის ინტერესების დაცვას.

მენშევიკების აგრარულ რეფორმას არ შეულახავს თავად-აზნაურობის ასე თუ ისე საგრძნობი ნაწილის ინტერესები. ამა თუ იმ საბაბით თავად-აზნაურებმა შესძლეს შეენარჩუნებიათ ნორმაზე მეტი მიწებიც. მას შემდეგ, რაც გატარდა კანონი მიწების ყიდვა-გაყიდვის, საადგილ-მამულო ფონდის ხელოვნურად შეზღუდვის შესახებ, მიწის შესყიდვა მონოპოლიურად გლეხებიდან მხოლოდ კულაკებმა შესძლეს. საქართველოს ღარიბესი და საშუალო გლეხობა აღმოჩნდა მოტყუებული და მშრალზე დატოვებული.

ამ გლეხობამ, თუმცა დაგვიანებით, დაკარგა ყოველგვარი ნდობა „რევოლიუციონური" სოციალდემოკრატიისადმი. მის თვალში ცნება „თავად-აზნაური და „მენშევიკი" სინონიმად გახდა.

აგრარული მოძრაობა, რომელიც 1917 წელს გაჩაღდა, საქართველოში მენშევიკების დიქტატურის დროს გლეხურ ომად გადაიქცა. ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გლეხთა მოძრაობამ მიიღო დარაზმული, შეგნებული, პოლიტიკური ხასიათი.

მით უფრო გაფთრებით უსწორდებოდნენ აჯანყებულ რევოლიუციონერ გლეხებს მენშევიკების დამსჯელი რაზმები თავად-აზნაურულ ელემენტებთან ერთად, რომელნიც სწვავდნენ მთელ სოფლებს, არ ინდობდენ არც ქალებს, არც ბავშვებს. სხვანაირად, არც შეიძლებოდა ყოფილიყო! სოც-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმოშობისთანავე მისი ოპორტუნისტული ფრთა დაადგა „რევოლიუციის გამცემლობის, პროლეტარიატის ბურჟუაზიული კლასების უბადრუკ მაჩანჩალად გადაქცევის ტაქტიკის" გზას. (სტალინი, ტ. 6, გვ. 366). 1917 წელს ქართული მენშევიზმი, რომელიც არ დაერიდა კავშირის შეკვრას თვით პირწავარდნილ ნაციონალურ-შოვინისტურ პარტიებთან, მხოლოდ აშკარად დადგა პროლეტარიატების კლასობრივ მტრების მხარეზე. და თავის ძალღონის მიხედვით „ეხმარება აშკარა ბანდიტებს, სმოფლიო იმპერიალისტებს" (ლენინი).

გიორგი ხაჭაპურიძე.

---

*) ტყუილად კი არ მოქცეულან მენშევიკები, რომ მათ საგლეხო ცენტრში არც ერთი ბოლშევიკი არ გაიყვანეს!

*) მით უფრო არაფერია გასაკვირი, რომ ეგრედწოდებული „სოციალ-ფედერალისტების" პარტია და ნაციონალ-დემოკრატების ნაციონალ - შოვინისტური პარტია არ თაკილობდენ დახმარების მისაღებად თავად-აზნაურობის ხაზინისათვის მიემართათ. მოვიყვანოთ მრავალთაგან ერთი ანალოგიური დოკუმენტი:

მის ბრწყინვალებას
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს.

ნაციონალ-დემოკრატების და სოციალ-ფედერალისტების პარტიების ბიუროს დავალებით მოგმართავთ შემდეგი თხოვნით:

ახლანდელი მომენტი გადაჭრით მოითხოვს საზოგადოებრივი ძალების მონაწილეობას მუშაობაში. დროებითი მთავრობისათვის მხარის დაჭერა, სურსათის საკითხები. მყუდროების და წესრიგის დაცვა—ყოველივე ეს მოითხოვს შრომას და ორგანიზაციას. ყოველივე ამისათვის საჭიროა სახსრები და ჩვენ გთხოვთ თავად-აზნაურობის საშუალებებიდან ზევით აღნიშნული პარტიების ბიუროსათვის გადასდოთ ხუთი ათასი მანეთი.

ვ. ბ. გვაზავა, გ. ლასხიშვილი.

ამ დოკუმენტზე მიწერილია:

დაადგინეს: ახლავე მიეცეს 3.000 მანეთი, დანარჩენი 2.000 მან. კი მას შემდეგ, როცა გამოირკვევა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მოგება, რომელიც თავადაზნაურობის სალაროში უნდა შემოვიდეს.

თავადი აფხაზი.

1917 წელს
21 მარტი
ქ. თბილისი.

(თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის საქმე, № 25, ფურც. 39).

ხელმოწერილია ფინეთ-საბჭოთა შეთანხმება
თავდაუსხმელობის შესახებ

ჰელსინგფორსი, 22 იანვარი. 21 იანვარს ჰელსინგფორსში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ფინეთში ამხ. **მაისკიმ** და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. **ირიე კოსკინენმა** ხელი მოაწერეს საბჭ. კავშირისა და ფინეთის შორის თავდაუსხმელობის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას

ფინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება ფინეთ-საბჭოთა თავდაუსხმელობის პაქტის შინაარს:

„ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ — თავი შეიკავონ ყოველგვარი აგრესიისაგან, მათ შორის ყოველივე ძალდატანებითი მოქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ტერიტორიალურ მთლიანობას, ხელშეუხლებლობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

კისრულობენ ვალდებულებას არ მიიღონ მონაწილეობა არც ერთ — მეორე მხარისაგან მტრულ ხელშეკრულებაში.

თუ ერთ მხარეს თავს დაესხმის მესამე სახელმწიფო, მეორე მხარე ვალდებულია დაიცვას ნეიტრალიტეტი.

თუ ერთ-ერთი მხარე თავს დაესხმის მესამე მხარეს, მეორე მხარეს უფლება აქვს დაარღვიოს ეს ხელშეკრულება წინასწარ გაუფრთხილებლად.

ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ ვალდებულებას — ყველა სადაო საკითხები გადასჭრან შეთანხმების გზით, რომლის ფორმები განსაზღვრული იქნება განსაკუთრებულ დამატებით კონვენციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და დადებულ უნდა იქნას შესაძლებელ მოკლე ვადაში.

თავდაუსხმელობის პაქტი დადებულია 3 წლით და შეიძლება დარჩეს ძალაში დამატებით კიდევ ორ წლისვადს, თუ ექვსი თვით ადრე არ იქნა განცხადებული მისი გაუქმების შესახებ".

პაქტის სრული ტექსტი გამოქვეყნებული იქნება უახლოეს დღეებში. (ადს).

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 23 იანვარი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ თავიდან ბოლომდე მოჭორილია ბუხარესტიდან და პარიზიდან გავრცელებული ცნობა, თითქოს რუმინეთის სამხედრო გემებმა დააკავეს შვეციის გემი „ურლანი", რომელსაც, თითქოს, საბჭოთა კავშირისათვის იარაღი მიჰქონდა, აგრეთვე ცნობა ამ იარაღის კონფისკაციის შესახებ რუმინეთის ხელისუფლების მიერ. ასეთი ცრუ ცნობების გავრცელება განიარაღების კონფერენციის წინ აშკარად ემსახურება იმ სპეციალურ მიზანს, რომ ჩამოშორებულ იქნას ყურადღება იმ ქვეყნებისაგან, რომელნიც მართლა იძენენ იარაღს და ომს ამზადებენ. (ადს).

გამომგონებელთა საზოგადოების ყრილობაზე
ამიერ-კავკასიის დელეგატების გამოსვლა

მოსკოვი, 22 იანვარი. გამომგონებელთა საზოგადოების პირველ საკავშირო ყრილობაზე ამხ. ვეინბერგის და პეტუხოვის მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათის დროს გამოვიდნენ ამიერ-კავკასიის დელეგატები ამხ. განგია, რისნიანსკი და სხ.

ამხ. განგია ყრილობას მიესალმა საქართველოს გამომგონებელ მუშათა სახელით და მოიყვანა ცნობები საქართველოში გამომგონებლობის ზრდის შესახებ. 1929 წელს აღრიცხულია 727 გამოგონება და წინადადება, 1930 წელს—2.576 და 1931 წელს—დაახლოებით 4.000. ეს ცნობები არ არის ამომწურავი, რადგან საქართველოს ს.მ.უ. საბჭოში არ არის მოგვარებული შემოსულ წინადადებათა სწორი აღრიცხვა. გარდა ამისა ამ 4.000 გამოგონებაში არ შედის 1.500 გამოგონება ტრანსპორტზე. ამხ. განგია აღნიშნავს მუშათა გამომგონებლობის ბიუროების ცუდ მუშაობას და წინადადება შეაქვს მუშათა გამომგონებლობის ბიუროების სწორი და სწრაფი მუშაობისათვის გადაყვანილ იქნან ისინი სამეურნეო ანგარიშზე.

ამხ. განგიას მოჰყავს ფაქტები. რომლებიც მოწმობენ მთელ რიგ ორგანიზაციების ბიუროკრატიულ და ზოგჯერ მავნებლურ დამოკიდებულების გამომგონებლებისადმი. ასე, მაგალითად, „26"-ის სახელობის ქარხნის ქარხკომმა გამომგონებელთა უჯრედი გააძევა იმ ოთახიდან, რომელიც მას ეკავა. კიდევ უფრო ცუდ დამოკიდებულებას იჩენენ სამეურნეო ორგანოები. უკვე შენდება განსაკუთრებული აპარატი თამბაქოს გასაშრობათ, მაგრამ „სოიუზტაბაკ"-ი და ბალბოსტანკავშირი დღემდე ვერ შეთანხმებულან გამომგონებლისათვის ჯილდოს მიცემის შესახებ.

ყრილობა აღშფოთებით ხვდება ორატორის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩაის დაწნეხვის წესის გამომგონებელი ბარკალაია გარედ გამოაგდო და სიტყვით შეურაცხყო „საქართველოს ჩაი"-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სუდაკმა.

საქართველოს გამომგონებელთა საზოგადოება—ამბობს ამხ. განგია—აწყობს სუდაკის საჩვენებელ გასამართლებას.

დღემდე არ ხორციელდება ამხ. მურადოვის გამოგონება, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ ბადეს წყალში დახრჩობისაგან გადასარჩენად.

„მე,—ამთავრებს ამხ. განგია—გამოვთქვამ იმედს. რომ ყრილობა გამოიგონებს ბადეს იმისათვის, ვინც ამუავებს მუშათა წინადადებებს".

ამხ. განგია სიტყვას აძლევს ყრილობას, რომ ამიერ-კავკასიის გამომგონებლები კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ 1932 წელს.

ამხ. რისნიანსკიმ აღნიშნა, რომ გამომგონებლობა ამიერ-კავკასიაში ფართოდ განვითარდა მხოლოდ 1931 წლის აპრილიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, უკვე დიდ წარმატებებს აქვს ადგილი. ამხ. რისნიანსკი ასახელებს ამიერ-კავკასიის მთელ რიგ გამოგონებებს, მათ შორის ამხ. კაპელიუშნიკოვის ტურბოსაბურღავს, რომელიც 50 მილ. მანეთის ეკონომიას იძლევა.

შემდეგ ამხ. რისნიანსკი მიუთითებს, რომ პრესა უკანასკნელ დრომდე ძალიან ცოტა ყურადღებას უთმობდა გამომგონებლობის საკითხებს, იყო შემთხვევები. როცა „ზარია ვოსტოკა" ძალიან დაგვიანებით ბეჭდავდა ან სრულიად არ ბეჭდავდა ძვირფას მასალას.

მუშათა გამომგონებლობის გაშლას ძალზე აფერხებს ის გარემოება, რომ სამეურნეო ორგანოები არ ასრულებენ დირექტივას გამოგონებებიდან პირველ წელს მიღებულ ეკონომიის ხარჯზე 10 პროცენტის გადარიცხვის შესახებ. სამეურნეო მუშაკები თავს იმართლებენ იმით, რომ ყველა ფაბრიკაში არ არის შექმნილი გამომგონებელთა საზოგადოების უჯრედები. ყრილობას ჩვენ აღვუთქვამთ, რომ 1932 წელს თვითეულ მომუშავე გამომგონებელზე მივცემთ 100 მანეთის ეკონომიას. ეს ციფრი უნდა დავიყვანოთ უჯრედებამდე, რომლებმაც უნდა დაამუშაონ შემხვედრი წინადადებანი.

—:—

გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების პრეზიდიუმში არჩეულია 11 კაცი, მათ შორის ამხ. სოიანი, პეტუხოვი, ტერეხოვი, სეგალი. რუსინოვი და სხვები.

ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარეთ დამტკიცებულია ამხ. სოიანი, მოადგილეთ ამხანაგი პეტუხოვი და პასუხისმგებელ მდივნად ამხ. რუსინოვი. (ადს).

სამგლოვიარო სხდომა მოსკოვში
ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი, 22 იანვარი. 21 იანვარს დიდ თეატრში შესდგა ცენტრალურ კომიტეტის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის, პროფინტერნის. საკავშირო ცაკის, საკ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოს და სხვა ორგანიზაციების გაერთიანებული საზეიმო სამგლოვიარო სხდომა ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან და დამკვრელებთან ერთად. დიდი თეატრის ხალხით გაჭედილი დარბაზი მქუხარე ოვაციებით შეხვდა ამხ. **სტალინის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, პოსტიშევის, კალინინის, ანდრეევის, რუძუტაკის, ენუქიძის. იაროსლავსკის** და სხვათა **გამოჩენას ტრიბუნაზე.**

სხდომა მოკლე სიტყვით გახსნა ამხ. კალინინმა.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბუბნოვი.

„დღეს—სთქვა ამხ. ბუბნოვმა,—ჩვენ ვხედავთ ლენინის მოძღვრების ბრწყინვალე დადასტურებას. ჯერ კიდევ 1902 წელს ლენინმა გენიალურად გაითვალისწინა ბოლშევიზმის უდიდესი ისტორიული როლი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლიუციის ეპოქის ლენინიზმ-მარქსიზმი გადაიქცა ბრძოლის იარაღად ყველა ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელთა დიად განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და მას მსოფლიო მნიშვნელობა მიეცა.

ამხ. ბუბნოვმა ვრცლად დაახასიათა ლენინური მოძღვრების საფუძვლები და კერძოდ შეჩერდა იმ უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს ლენინის მოძღვრებას იმპერიალიზმის შესახებ. კაპიტალიზმის 1929—31 წლების კრიზისმა სავსებით დაადასტურა კაპიტალიზმის ბუნების ლენინური შეფასება. კაპიტალიზმის კრიზისის ზრდასთან ერთად ვხედავთ სოციალ-ფაშიზმის ყველა თეორიების სამარცხვინო დამარცხებას. საბჭოთა კავშირში ჩვენ ვამთავრებთ ხუთწლიან გეგმას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ათი წლის შედეგად ჩვენ უკვე მტკიცე ეკონომიური საძირკველი ჩავუყარეთ სოციალიზმს. ამრიგად ბრწყინვალედ დასტურდება ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში ჩვენ შეგვიძლია სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება ჩვენ უნდა განვამტკიცოთ მსოფლიო ლენინური პარტია და დაუზოგავად ვიბრძოლოთ ყველა ჯურის ოპორტუნიზმს. მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას და ბოლშევიკური პარტიის ისტორიის შესწავლას.

მარქს-ლენინის ინსტიტუტის მუშაობისა და ლენინის. მარქსის და ენგელსის ნაწერების გამოცემის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ამხ. **ადორატსკიმ.**

კომინტერნის აღმასკომის სახელით გამოვიდა ამხ. **ვილჰელმ პიკი** (ადს).

საუკეთესო დამკვრელების დაჯილდოება
შრომის წითელი დროშის ორდენით

შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე დაჯილდოებულ იქნან შრომის წით. დრ. ორდენით შემდეგი წარმოების მუშები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს საწარმოო-საფინანსო გეგმების რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, უაღრესად შეგნებული დამოკიდებულება გამოიჩინეს სოციალისტური წარმოებისადმი, ბოლშევიკური ტემპები განავითარეს მუშაობაში, წამოაყენეს მთელი რიგი საქმიანი წინადადებები, რაციონალიზატორული ღონისძიებები და გამოგონებანი, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევიან და აქტიურად მუშაობდნენ საბჭოთა, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ეს მუშებია: **კოზახიძე** ივანე ნიკოლოზის ძე, **რადჩენკო** ემელიანე მიტროფანის ძე (ორივე სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნიდან), **მაქარაშვილი** არტემ გრიგოლის ძე—თბილისის დეპოს ზეინკალი, **ზინჩენკო** ლეონტი გიორგის ძე—თბილისის დეპოს მემანქანე, **ხოშტარია** ნიკოლოზ ივანეს ძე—26 კომუნარის სახელობის ქარხნის საზეინკლო ცეხის ოსტატი, **მეგრელიშვილი** იაკობ ალექსის ძე—თბილისის ტრამვაის საჰაერო ხაზის ბრიგადირი, **მხიტარიანი** ოგანეზ გასპარის ძე—სტალინის სახ. ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშა, **ნერსესიანი** სედრაკ—ტყავის პირველი ქარხნის მუშა, **გელოვანი** ნიკოლოზ ბესარიონის ძე—„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის მუშა, **მამულაშვილი** დავით იოსების ძე—კასპის ცემენტის ქარხნის მუშა, **რთველაძე** ალექსანდრე არსენის ძე—მზარეული, **ბაგდასაროვი** კომითე—ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ ქარხნის ზეინკალი, **ქაპანაძე** დავით სოლომონის ძე, **ზარქუაძე** სიმონ პეტრეს ძე, **ზაუტაშვილი** ვარდენ ბესარიონის ძე, **ამხოლაძე** გრიგოლ სპირიდონის ძე, **იოსებაშვილი** გრიგოლ სპირიდონის ძე, **ნადირაძე** სიმონ ივანეს ძე, **ქიპარიძე** გიგო მაქსიმეს ძე, **ასანიძე** ისიდორე რევაზის ძე, **ლომიძე** იოსებ სოლომონის ძე, **ფოფხაძე** ტრიფონ ვარდენის ძე, **ჩიხლაძე** გრიგოლ ალექსის ძე, **ასოხაძე** ალექსანდრე ბესარიონის ძე **ალფაიძე** ნიკო ბესარიონის ძე, **კრავჩენკო** ალექსი პანტელეიმონის ძე (ყველანი ჭიათურის მაღაროებიდან) და **მოდებაძე** კარპე სპირიდონის ძე—მარგანეცის ტრესტის მმართველი.

—:—

სამთო მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღო რა ჭიათურის მაღაროების და მუშათა ორგანიზაციების ნაყოფიერი მუშაობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის ვადაზე ადრე შესრულება, დაადგინა **დააჯილდოვოს ჭიათურის მაღაროები 1.500 მანეთით.** ეს თანხა უნდა მოხმარდეს უმთავრესად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და დამკვრელი მუშების ტექნიკური ცოდნის ამაღლების საქმეს.

თბ. წითელდროშოვან სახანძრო რაზმის 10 წ. თავი

დღეს თბილისის მეხანძრეები დღესასწაულობენ თბილისის სახანძრო რაზმის არსებობის ათი წლის თავს. განვლილი ათი წლის განმავლობაში თბილისის წითელდროშოვანმა სახანძრო რაზმმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა სახალხო ქონების დასაცავად ხანძრისაგან, მაგრამ მას კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი იმისათვის. რომ სახალხო მეურნეობის ხანძრისაგან დაცვის საქმე სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული.

თებერვლის რევოლიუციისათვის თბილისის სახანძრო რაზმის ტექნიკური შეიარაღება მეტად პრიმიტიული იყო. მას ჰქონდა მხოლოდ რამოდენიმე წყალი, საზიდი კასრი, ერთი ეტლი, რამოდენიმე წყალსაქაჩი, უბრალო ხის კიბეები, მის განკარგულებაში იყო აგრეთვე რამოდენიმე ცხენი. მენშევიკებს არავითარი გაუმჯობესება არ შეუტანიათ ხანძართან ბრძოლის საქმეში.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, დაწყებული იქნა გაცხოველებული მუშაობა თბილისის სახანძრო რაზმის გადასახალისებლად. ამჟამად თბილისის სახანძრო რაზმი წარმოადგენს სახანძრო ტექნიკის ყველა თანამედროვე საშუალებებით შეიარაღებულ ერთ-ერთ საუკეთესო სახანძრო რაზმს. მთელს საბჭოთა კავშირში. 1929 წ. საქართველოს ცაკმა თბ. სახანძრო რაზმი დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით.

განვლილი ათი წლის განმავლობაში მარტო თბილისში აღრიცხულია ხანძრის გაჩენის 4.768 შემთხვევა, ხანძარი გაჩენისთანავე რომ არ ყოფილიყო ჩაქრობილი, მოსალოდნელი იქნებოდა ნახევარ მილიარდ მანეთად ღირებული სახალხო ქონების განადგურება, ლ.

საიუბილეო დღესასწაულის ჩატარების გეგმა

თბილისის სახანძრო რაზმის ათი წლის თავის აღსანიშნავად, დღეს საღამოს 5 საათზე, თავისუფლების მოედანზე გაიმართება ქალაქის ყველა სახანძრო რაზმების გაერთიანებული აღლუმი და პრაქტიკული ვარჯიშობა. აღლუმზე დასასწრებად მოწვეული არიან მთავრობის, პარტიულ-პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საღამოს 7 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია თბილისის ყველა მეხანძრეების საქალაქო საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრებიან თბილისის საბჭოს, საბჭოს პრეზიდიუმის და საბჭოს წევრები და პარტიულ-პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

იმავე სხდომაზე საუკეთესო დამკვრელი მეხანძრეები დაჯილდოვებული იქნებიან და მოხდება დამსახურებულ მეხანძრეთა შრომის გმირებად გამოცხადება.

ავტომობილის დამტვრევა

17 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, ავტომანქანამ. რომელიც მანგლისიდან თბილისისაკენ მოდიოდა, მანგლისიდან 9 კილომეტრის მანძილზე მოსახვევში ხიდთან გაიტანა ზღუდის ორი მარგილი და გადავარდა ხრამში 7 მეტრის სიმაღლიდან.

კატასტროფის დროს დაიღუპა: შოფერი კოვალიოვი, ალექსი წიკლაური, გიორგი ქელური და კოხი. დანარჩენი 6 მგზავრი მძიმედ დაშავდა. ერთი დაშავებულთაგანი გარდაიცვალა საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ.

საქ. გზატრანსის ავტოგანყოფილების კომისიამ გამოარკვია, რომ ავარიის მიზეზი იყო მანქანის მიერ განვითარებული დიდი სისწრაფე და შოფერის სიმთვრალე. საჭე და უკანა თვლებზე მომქმედი მუხრუჭები მანქანის ხიდიდან გადავარნის შემდეგაც კი წესიერად მოქმედებდნენ და სრულიად დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ. მოსახვევი ხიდთან, სადაც კატასტროფა მოხდა, შორიდანაც კარგად მოსჩანდა და არ შეიძლებოდა ის არ შეენიშნა შოფერს, რომელსაც ოდნავი სიფრთხილის პირობებშიაც კი შეეძლო თავიდან აეცილებია კატასტროფა. ავარია არ შეეძლო გამოეწვია გზის მდგომარეობასაც. ვინაიდან ავარიის ადგილზე გზა სრულიად მშრალი იყო და არც შეიძლებოდა ბორბლების დაცურება.

შეცდომის გასწორება

„კომუნისტი"-ს გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ სრ. საქართველოს ცაკის დადგენილებაში სასოფლო საბჭოების დათვალიერების შედეგების შესახებ გაიპარა შემდეგი შეცდომები:

სწერია: „საქ. სახკომსაბჭოს მიერ გაღებულ იქნეს ათას ათასი მანეთი სასოფლო საბჭოების დასაჯილდოებლად", უნდა იყოს: „საქ. სახკომსაბჭოს მიერ გაღებულ იქნეს ათი ათასი მანეთი სოფლის საბჭოების დასაჯილდოებლად".

დასაჯილდოებელ სასოფლო საბჭოებში გამოტოვებულია წითელი ქალაქის სასოფლო საბჭო.

ქრონიკა

დამკვრელი ექიმები საქართველოდან ჩრდილოეთის ყინულოვან ექსპედიციაში

25 იანვარს ქ. არხანგელსკს, ჩრდილოეთის ყინულოვან ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებიან საქართველოს მედსანშრომის მეორე ყრილობის სახელობის დამკვრელი ბრიგადის, საქართველოს ექიმთა საზოგადოებისა და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრები, ექიმები ანდრია ბესარიონის ძე აბაშიძე და გიორგი სერგის ძე ზედგინიძე, რომელნიც, როგორც ექიმები იმუშავებენ ყინულის მჭრელ გემებზე „მალიგინ"-ზე და „რუსანოვ"-ზე. ორივე ამხანაგი მიწვეულია ექსპედიციაში ჩრდილოეთის წყალთა სამმართველოს ჯანმრთელობის განყოფილების მიერ.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

25 იანვარს, მწერალთა კლუბში გაიმართება ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი დიდი ლიტერატურული საღამო. შესავალ სიტყვას იტყვის ამხ. პ. ჩხიკვაძე. ლექსებს წაიკითხავენ: ირ. აბაშიძე, ვ. გაფრინდაშვილი. რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, ალ. გომიაშვილი, ს. ეულე, [illegible] ძე, გ. კაჭახიძე, [illegible] ი. მოსაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ფ. ნაროუშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, დ. სულიაშვილი, ს. ჩიქოვანი. გ. ქუჩიშვილი, ვ. ქურული. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

„სალიტერატურო გაზეთი"

გამოვიდა „სალიტერატურო გაზეთი"-ს მორიგი № 1-ლი (№ 8).

კრებები და მოხსენებები

24 იანვარს საღამოს 7 საათზე შესდგება საქ. გეოლოგიურ ინსტიტუტის სხდომა, რომელზედაც დ. მიქელაძე წაიკითხავს მოხსენებას „დასავლეთ საქართველოს პლიოცენის სტრატიგრაფიისათვის".

— **საქართველოს ექიმთა საზოგადოებაში.** 24 იანვარს ტუბდისპანსერის აუდიტორიაში 8 საათზე შესდგება საზოგადოების სხდომა. მომხსენებელი პ. ცომაია „სპონტანური პნევმოთორაქსის" საკითხისათვის მ. კოკოჩაშვილი: „ავერტინი, როგორც ნარკოტიული საშუალება ექსპერიმენტული და კლინიკური მასალის მიხედვით".

აგრონომების მობილიზაცია
დადგენილება № 5
საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა
1932 წ. იანვრის 23

კოლმეურნეობებში საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩატარებასთან და საწარმოო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით საკოლმეურნეო სისტემის აგროპერსონალით უზრუნველყოფის შესახებ.

კოლმეურნეობებში საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩატარებასთან და საწარმოო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით საკოლმეურნეო სისტემის აგროპერსონალით უზრუნველყოფის მიზნით, საქ. შრომის სახკომისარიატი ადგენს:

1' ამ დადგენილებასთან თანდართულ სიაში (იხილეთ ქვემოთ) აღნიშნული საწარმოო ორგანიზაციებსა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს პირად პ.-მგებლობის ქვეშ ევალებათ ორი დღის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოჰყონ თანდართულ განაწესის მიხედვით აგრონომები და მიავლინონ საქ. კოლმეურნცენტრის განკარგულებაში.

2. დაწესებულებების ხელმძღვანელებს მიერ გამოყოფილ აგრონომებს ევალებათ დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ საქ. კოლმეურნცენტრის განკარგულებაში და გაემგზავრონ ერთ ნახევარ თვის ვადით კოლმეურნცენტრის მითითებით დანიშნულ ადგილებზე.

3. გზის ხარჯებით, დღიურებით და ბინით მობილიზებულნი კმაყოფილდებიან კოლმეურნცენტრის მიერ, ხოლო ხელფასი იმ საწარმოო-დაწესებულება და ორგანიზაციის მიერ, სადაც აღნიშნული მუშაკნი მუშაობენ—თანახმად ს. ს. რ. კ. შრ. სახკომ. 1930 წ: ივლისის 23-ს თარიღით და 245 №-ით გამოცემულ დადგენილებისა.

4. კოლმეურნცენტრს ევალება 4 დღის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, წარმოადგინოს საქ. შრომ სახკომში სია იმ საწარმოო-დაწესებულებათა და ორგანიზაციებისა, რომელთაც ამ დადგენილებით გათვალისწინებული მუშაკები არ გამოჰყვეს.

5. ქ. თბილისის 1, 2, 3, და 4 უბნების შრომის ინსპექტორებს წინადადება ეძლევათ თვალყური ადევნონ ამ დადგენილების თავის დროზე შესრულებას დამნაშავეთა პ.-გებაში მიცემით.

საქ. შრომის სახ. კომისარი **იტრიევი.**
შრომსახ. კოლეგიის წევრი კადრების სექტორების გამგე **მახარაშვილი.**
შეთანხმებულია საქ. მიწსახკომთან.

—:—

საქ. აბრეშუმის ტრესტი—4, საქ. ტრაქტორცენტრი—3, საქ. ჩაი—5, საქ. მებოსტნეობის მეურნეობები—3, „სოიუზტაბაკი—3, საქართველოს სოფლის მეურნეობის მანქანებით მებრძ. საზ-ბა—1, „ა.-კ. [illegible]"—1, საქ. საბჭ. მეურნ. ტრესტი—4, მემინდვრე-მესაქონლეთა კავშირი—4, საქ. წყალთა მეურნეობა—2, საქ. მიწსახკომი—3, „ნოვლუბტრესტი"—2, საქ. ბაღბოსტანკავშირი—1, მეფუტკრეობის სადგური—1, სელექციო სადგური—2, ა.-კ. სოფლის მეცნ. მებრძ. საზ-ბა—2, მეღვინე-მევენახეთა საგამოკვლევო-სამეცნ. ინსტიტუტი—6, საქ. კოლმეურნცენტრი—21, მეთესლეთა კოლმეურნეობა—1, სამეცნ. საგამ. ზოოტექნ. ინსტიტუტი—6, სამეცნ. საგ. მექანიზ. ინსტ.—2, სამეცნ.-საგამოკვ. სასუქების ინსტიტუტი—3, სათესლე საკონტრ. სადგური—1, საქართველოს მესაქონლეობა—2, მცენარეთა დაცვის ინსტიტ.—3, ლიმონმანდარინის ტრესტი—2, მესაქ. ზონალ. სადგური—2, ა.-კ. საგეგმო კომისია—1, საქ. საგეგმო კომისია—2, „ლეკ-ტეხ-სირიო"—1, ა.-კ. ბამბის საბჭ. მეურნ. კომ:—1, ა:-კ: ბაღბოსტანი—2,

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

25 იანვარს საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის ა.ლ.კ.კ. მიერ გამოყოფილი ბრიგადის სხდომა, ამხ. სტალინის წერილთან დაკავშირებით კომკავშირულ ლიტერატურის გადასინჯვის შესახებ. დასწრება შემდეგი ამხანაგების სავალდებულოა: არს. მამაიაშვილი, ი. მეტრეველი, ა. ქავარავა, ახობაძე. გიგინეიშვილი, ბალანჩივაძე, ქუთელია, შარაშენიძე, ყალიჩავა და კვირიკაძე. აგრეთვე საქ. ეკონომიურ და პედაგოგიურ ინსტიტუტის ა.ლ.კ.კ. წარმომადგენლები.

—:—

— **საქ. კ.პ. (ბ)** ცენ. საკ. კომისია-მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის საორგ.-საინსტრუქტორო განყ-ბა წინადადებას აძლევს ანდრო ფალიანს გამოცხადდეს ამა წ. 24 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის საორგანიზაციო განყოფილებაში.

—:—

— **საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომის კულტპროპგანყოფილება** აცნობებს ყველა ტიპის პოლიტსკოლების ხელმძღვანელებს, რომ პოლიტსკოლების მორიგ მეცადინეობაზე—26 იანვარს, დამუშავებული იქნება 1932 წლის საკონტროლო ციფრები. მასალები—რაიკომში.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგ. ლენრაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. **კულეჯანოვს** (ამიერ-კავკ. კომ. უნ.), შაპოშნიკოვს (ტელეგრაფის სახელოსნო). ცინცაძეს (საგზაო კომიტეტი) 25 იანვარს დღის 12 საათზე გამოცხადდნენ რაიკომში ამხ. ჯაშთან.

სახელმ. ოპერა
24 იანვარს დღისით ნ. კ. პეჩკოვსკ. მონაწილ. **ევგენი ონეგინი** საღამოთი 9 აბ. 8 წ. **შოთა რუსთაველი**
25 იან 13 აბ 8 წ. **ტარას ბულბა**
26 იან. 6 აბ. 6 წ. ნ. კ. პეჩკოვსკის მონაწილეობით **პიკის ქალი**
დილის წარმ. იწყება დღ. 12 ს. 15 წ. საღ. 8 საათზე. აბონენტები, რომელთაც მე-6-ე საბ. შესატანი არ გადუხდიათ, წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებულნი. ნ. 196

სახ. დრამა სსსრ. სახ. არტ. ქ. მარჯანიშვ. ხელმძ.
24 იანვარს აბონემ გარეშე **კოლა ბრენ [illegible]**
26 იანვარს ხელოვან. სას. ფონდ. გასაძლიერებლად **ურიელ აკოსტა** 19 იანვ. ბილ. ძალაშ.
27 იან 4 აბ. 6 წ. **პური**
უნდა იყოს შემოტანილი მე-5 გადასახადი. ნ. 199

რუს. თეატრი ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით.
25 იანვარს აბონემენტის გარეშე **თეთნულდი**
დასაწყისი 8 საათზე. ნ. 198

ხმოვანი კინო **ოქტომბერი** (ყ. აპოლო) სეან. 12,2,4,6-30,8-30,10-30.
დღის კინო **სპარტაკი** სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.
საღამოს კინო **სპარტაკი** სეან. დას. 6. 7-30. 9. 10-30.
კინ დამკვრელი (ყოფ. პალასი) სეან. დას. 6, 7-30. 9, 10-30.
რ. ლიუქსემბურ. სახ (ყოფ. მინიონი) სეან. დას. 6-30, 8, 9-30, 11.
კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30. 9. 10-30.
მე-3 თვეა მიდის სურათი **ახალი ცხოვრებისაკენ**
ახალი მხატვრული სურათი **მიწის სისხლი** პროგრამის გარეშე **წყალქვეშა ნავი**
გაროლდ ლოიდი სურათში **მორცხვი**
ახალი იაპონური სურათი **სუმიკო**
მის მენდ პირველი სერია

გრძელდება 1932 წ ხელისმოწერის მიღება
სახელგამის პერიოდულ გამოცემებზე:
1. „მნათობი"
2. „პროლეტარული რევოლიუცია"
3. „პარტიული მშენებლობა"
4. „კომუნისტური რევოლიუცია"
5. „წიგნი"
6. „ლიტერატურულ ფრონტზე"
7. „პიონერი"
8. „ოქტომბრელი"
9. „კარმირ-წილერი"
10. „ენი კუვვე".
ჟურნალების 1932 წლის პირველი ნომრები დაიბეჭდება ხელისმომწერთა რაოდენობის მიხედვით.
ვისაც სურს 1932 წ. მთელი კომპლექტის შეძენა, საჭიროა დააჩქარონ ხელისმოწერა.
ხელისმოწერა მიიღება
თბილისი, ჯორჯაძის ქ. № 1 „პერიოდსექტორში" პერიოდსექტორის რწმუნებულთან.
სახელგამის ყველა მაღაზიებში და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.
2—2 ნ. 184 სახელგამის პერიოდსექტორი.

ექიმი
ქ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებ.) სიფილისი შეზხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება დილ. 8-9 ს. საღ. 6-9 ს. ქალების და ბავშვების მიღება 5-6 ს., მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ. კარლ-მარქსის მოედანის მახლობლად. ნ. 4828 25—10

ექიმი
ა. დ. ულენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8 0—7

დ. ლ. თევზაძე
დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის. მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ჭონქაძის (ყ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ტელ. 28—68

ქ. თ. ტყეშელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ, კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილ. 8½—9 საღ. 7—8 77886 13—12.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო-სინათლის სამკურ. კაბინეთი. პეტრიაშვილის ქ. (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს საღ. 7—8. ტელ. № 21-45. 25—18

ექიმი
ს. ი. ანდრეევა
დაბრუნდა
შიგნითა სნეულებ. სპეც. ჯირკვლების და სახსრების სნეულებანი. ავადმყოფ. მიღება 6-7 ს. ელბაქიძის დაღმ. 29. (ყ. ვერის ხიდთან) 25—11 9018

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილ., ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრ. სისუსტ მკურნალობა. ავადმყოფთა მიღ. დილ. 6—11 ს. საღ. 5-8 ს. ვაინოშვილის ქ. (ყ. ალექსანდროვის) № 5. 25—12 8198

ლექტორი ივანე ზაქ-ძე
ტერ-სტეფანოვი
25 იანვრიდან ასწავლის **ბუღალტერიას** და ფინანსიურ გაანგარიშებას. 1 თუმანოვის ქ. № 13. 634

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურად სიფილ. და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობა, სქესობრივი ნევრასტენიას, ფსიქოტერაპ. მიღ. დილ. 10-ნახ.-12 ს., საღ. 6—8 ს., ა-კ. ფედერაციის ქ. (ყ. ველიამინოვის) № 22, 25—10 2950

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყ. დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდიმთავრის ქუჩა) ინდუსტრ. ტეხნიკუმის გვერდზე, 13—1

ექიმი
ნ. ქონტოროვი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ- № 9. (ყ. პეტრე დიდის, ქ.) თმის ფერის მჭამელას. ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება მიღ. 12—3 ს. და 6—8 ს. 8179 25—18 7245 25—18

სახ. ცირკი დასაწყ. 8 15 წ.
დღეს ორი წარმოდგენა
დღისით
საბავშვო დღესასწაული
დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.
საღამოთი **გრანდიოზული წარმოდგენა**
დასაწყისი 8 საათზე.
ნ. 195

Baczność! Do walki o 25,000 nakładu! Baczność!
Pospieszcie się z zaprenumerowaniem
„TRYBUNY RADZIECKIEJ"
na rok 1932
Prenumerujcie i rozpowszechniajcie komunist. czny dziennik polski „Trybuna Radziecka"
Czytelnicy, prenumeratorzy, pełnomocnicy, szturmowe brygady prasowe. korespondenci: rozpowszechniajcie «Trybunę Radziecką»!
Prenumeratę wpłacajcie listonoszom lub w najbliższych oddziałach pocztowych NIE PÓŹNIEJ, niż do dnia, który wyznaczył MIEJSCOWY ODDZIAŁ POCZTOWY. Otrzymaną później prenumeratę automatycznie przenosi się NA MIESIĄC NASTĘPNY.
Robotnicy, kolektywnicy, jednostkowcy! Zaprenumerujcie zawczasu «Trybunę Radziecką» na rok 1932!
«Trybuna Radziecka» kosztuje:
na 1 miesiąc 60 kop., 3 miesiące — 1 rb. 50 kop. | 6 miesięcy — 2 rb. 50 kop. 12 miesięcy — 5 rb.

გვესაჭიროება გაზეთების დამტარებლები
სამუშაოზე მიიღებიან როგორც კაცები, ისე ქალები.
დამტარებლები სარგებლობენ მუშის ყოველგვარი უფლებებით: დახურული იაფფასიანი სასადილოთი, მუშათა დახურული კოოპერატივით, იაფფასიანი საპარიკმახეროთი, ფეხსაცმელების შეკეთებით და **საერთო საცხოვრებლით.**
ხსენებული დარგის მომუშავენი გადახულნი არიან სანარდო მუშაობაზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.
პირობების დაწვრილებით გაგება შეიძლება მთავარ ფოსტაში, პლეხანოვის პროსპ. № 44, მე-2 სართული ამხ. შოთაძესთან. ნ. 178 5-2

საქვაჭრობა
აუწყებს ორგანიზაციებს და მოქალაქეებს, რომელთაც შეტანილი აქვთ ავანსები კომერციულ მანუფაქტურაზე
„ზაქტორგტექსტილში",
რომ მფლობელებმა ქვითარების №№ დან 100-მდე უნდა წარუდგინონ თავისი ქვითარები საქვაჭრობის მაღაზიას № 2 კომინტერნის ქ. № 5 (შესავალი ეზოდან), აღსარიცხავად და მანუფაქტურის მისაღებად გასაგზავნად სათანადო მაღაზიაში.
შემდეგი ქვითარების ნომრები ცალკე იქნება გამოცხადებული დამატებით.
ნ. 197 დირექცია.

გულდაწყვეტილი მშობლები: სამსონ და სონა ჩხიკვაძეები. მეუღლე ქიაზიმ ბერიძე, ძმები: იოსებ, დათიკო და ანიჩკა, მამიდები: ტერეზი, მარო ქმრებით იუწყებიან, რომ 30 იანვარს ბათომში **ნადია ჩხიკვაძე-ბერიძის** მოსაგონრად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 626

დამწუხრებული დედა დარიკო მამა კიმოთე, ძმა კირილე და ოლია ჭავჭანიძეები მეუღლე ალექსანდრე ბარაბაძე შვილებით იუწყებიან საყვარელ **ბაბილინა ჭავჭანიძე-ბარაბაძის** დაკარგვას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 616

დამწუხრებული რძალი თამარა თევზაია-ჭავჭანიძისა, ამხანაგებით: ბაბუცა თევზაია, კოკოშა და ზინა შალამბერიძეები, იუწყებიან პირველის მეუღლის და დანარჩენის ძვირფასი მეგობრის დის **ბაბო კიმოთეს-ას ჭავჭანიძის** უდროოდ გარდაცვალებას.

დამწუხრებული ქმარი ივანე, შვილები: ლიზა, თამარა, მარგალიტა. მარუსია სიძეები: გუგუნა, ლეონტი, ანთონი, ალიოშა შვილებით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ **დესპინე ზურაბის-ას. მეცხრიკაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 3 ნახ ს. 614

ვლადიმერ კანდელაკი, ცაცა, ოლია ჯაკობიძეები, მარუსია ვაშაკიძე, ანიჩკა ახობაძე, კორია ჩიჩუა, შუშანა დოლიძე, თამარა კოძაია, ოლიმპიადა ჯინორიძე, კარპეზ სამყურაშვილი იუწყებიან მეგობარ მარგარიტას დედის **დესპინე მეცხრიკაძის** გარდაცვალებას. 614

დამწუხრებული და ხელილნე, სიძე თომა, შვილებით: მიშა, კოლია, მარიამი ქმარშვილით იუწყებიან მათთვის ძვირფას **დესპინე ზურაბის-ას. მეცხრიკაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება საგურამოს ქუჩა № 19, 3-ნახ. ს. 614

საგარეჯოს საავადმყოფოს და აფთიაქის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ **ექ. მარგო ქაჯაიას** უდროოდ გარდაცვალების გამო. 619

უახლოესი მეგობრები ,ექიმები—ბერიშვილი ნადარეიშვილი, ტორჩინავა, ნატროშვილი გამყრელიძე, გავაშელი, ცქიტიშვილი, დავიდოვი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ **ექიმ მარგო ქაჯაიას** უდროვოდ დაკარგვის გამო. 620

უღრმეს მწუხარებაში მყოფი ქალიშვილი ძაძუ შვილებით: ნადუშა ლეფონავა, ლუბა და ლენა თვალთვაძეები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ **ივანე დავითის ძე გაბუჩიას** გარდაცვალებას. 630

ექიმი ყარამან მანუჩარის-ძე ჩიქოვანი ცოლშვილით გულითადის მწუხარებით იუწყება. რომ 21 იანვარს ქ. თბილისში გარდაიცვალა მისთვის დაუვიწყარი **ივანე დავითის-ძე გაბუჩია** დაკრძალვა 28 იანვ. ის ახალსენაკში. 630

მეუღლე დესპინე, შვილები: ნინა, ვლადიმერი, ევგენი, კონსტანტინე, კაპიტონ, აკაკი დათიკო, რძლები: ნადეჟდა. მარიამი, ვერა შვილებით იუწყებიან **ივანე გაბუჩიას** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს. 4 ნახ. ს. კ. ცეტკინის ქ. № 49. დაკრძალვა 28 იანვარს ქ. ახალსენაკში. 630

გულმოკლული დედა კატო, დები: ნადია, ნიურა, ვერა, მარუსია, სიძეები: ვალოდია ბორისენკო დათიკო ხარაბაძე, ვალოდია ბუდზუ ი, დისშვილი კლარა იუწყებიან რომ ქ. ხაბაროვსკში ტრაგიკულად გარდაიცვალა საყვარელი **პავლე ვასილის-ძე ნაუმოვი** 613

დამწუხრებული ბიძები პარმენ და კონსტანტინე ცოლშვილით, და ვერა ცინცაძისა შვილებით იუწყებიან საყვარელი დისშვილის **პავლე ვასილის-ძე ნაუმოვის** ტრაგიკულად დაღუპვას. 613

უახლოესი მეგობრები: ვახვახიშვილი, ქუთათელაძე, მაისურაძე, ჯინორია, ხალდასტანიშვილი, მაისურაძე, [illegible]. ბარნაბიშვილი, ჯანჯღავა, ზოიძე მარჯანოვა, ბაქრაძე ვგლოვობთ უდროოდ დაკარგულ ძვირფას მეგობარს **მარუსია ბერელაშვილ-ჯაფარიძისას** 625

დამწუხრებულნი: თამარი მეუღლით მიხეილ ნათიძე, პატარა ნოდარით იუწყებიან დაუვიწყარი დის და დეიდის **მარიამ ბერელაშვილი-ჯაფარიძის** გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 6 საათზე, დაკრძალვა 25 იანვარს. 4 საათზე, ყოფ. ალექს. საავადმყოფოდან დიდუბის სასაფლაოზე. 628

თავზარდაცემული მეუღლე თამარა, ნოდარით, მშობლები თემუჭა და ციცი, ძმები: სილოვან, ლადიკო და შალიკო თოფურიები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ უსაყვარლესი **ალიოშა თოფურიას** უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა აბაშაში 26 იანვარს. 635

დამწუხრებული და ძაბა, სიძე დიომისი შვილებით—სონია, თინა, გუგული, კუკური და ილუშა გაგუები და ამხანაგი ლადიკო კუხალეიშვილი დავსტირით სიცოცხლით სავსე **ალიოშა თოფურიას** 635

ტრამვაის სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ამავე დაწესებულების თანამშრომელი **თამარ ზაქარიას-ას. არუცევას** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 2 საათ. ანდრეევის ქ. № 78. ხოჯევანქის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული ქმარი გიორგი მშობლებით, მაზლი შალიკო ძმებით და დებით იუწყებიან **მარუსია ალექს.-ას. ჯაფარიძის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საღ. 6 ს., ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოს პროზ. გამოსვენება 25 იანვარს 4 ს. დიდუბის სასაფლაოზე. 631

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: ფედოსი ფიფია, შვილებით: იოსები, ქსენია და ჟორაჟი იუწყებიან პირველის მამის, დანარჩენის ბაბუას საყვარელი ადამიანის **კიღუცა ქარდავას** გარდაცვალებას. 611

მეუღლე ანნა, შვილები: მიშა, შალიკო, თამარა, სიძე ვანიჩკა მყონია, რძლები: მარიკა. მარუსა იუწყებიან, რომ 24 იანვარს, 4-ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი **გიორგი დაისაძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 615

დამწუხრებულნი: სიდედრი ნატალია, ცოლისძმები: სავლე, სიკო. ლევანკა მისეიძის-ძეები. რძლებ: პეპი. კატო, გულნარა შვილებით: გოკონა, პაშა, ანიკო. [illegible] ოთარიკო, ჯონდო ჩიკვაიძეები იუწყებიან დაუვიწყარ **ტრიფონ ვახტ.-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. 621

დამწუხრებულნი: პლატონი ცოლი ელპიტი, შვილებით: გრიშა, მელენტი, ხარიტონი, კოლია და სერაფიონი. რძლებით კოკულაძეები იუწყებიან სიმამრის. მამის, ბაბუას დაუვიწყარ **კიღუცა ქარდავას** გარდაცვალებას. 611

თავზარდაცემული ცოლი დარიკო, შვილები: გოგუცა, მამია, სიძე დათიკო კუბლაშვილი პატარა გულიკოთი იუწყებიან საყვარელ **ტრიფონ ვახტ.-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27 იანვარს 4 ნახ. საათ. კრიანის ქ. № 13, კუკიის სასაფლაოზე. სამოქ. პანაშვიდი 7 საათ. 621

დუშეთის კოლმეურნეობის და პროფტეხნიკუმის სკოლის მასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამთ ამავე სკოლის ყოფილი მასწავლებლის დათიკო ჭყონიას მეუღლის **გოგუცა ჭელიძე-ჭყონიას** უდროოდ გარდაცვალების გამო. 623

ა. ზედგინიძე, ა. მახარაძე, ბ. მეხუზლა, ლ. ზანდუკელი, ნ. ბარამიძე, ს. ბერიძე, ნ. ბერძენიშვილი, ო. ლომიძე მ. ცინცაძე, რ. მჟავანაძე მწუხარებას გამოვსთქვამთ ძვირფასი ამხანაგის **გოგუცა ჭელიძის** დაკარგვის გამო. 627

უახლოესი მეგობრები: ნინა ურუშაძე, სარა ძულიაშვილი, ვასო რუხაძე დავსტირით ძვირფას **თინიკო აბალიშვილის** საფლავს. სამოქ. პანაშვიდი 24 იანვარს ვერის ახალ სასაფლაოზე, 629

დამწუხრებულნი: დედა ანეტა, მამა ბესარიონი. შვილი თენგიზი, დები: გოგუცა და თინა ციცქიშვილები სიძეებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **ელენე ბესარიონის-ას. ყიფიანი** დაკრძალვა მოხდა 19 იანვ. ს. ვერტყვისპალაში. 633

დამწუხრებულნი: მიხა, იულონი, ალექსანდრე, ლეონიდე და შურა ქკადუები ოჯახობით იუწყებიან ძვირფას **ივანე დავითის-ძე გაბუჩიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 24 იანვარს 4 საათზე, კლარა ცეტკინის ქ. № 49, ახალსენაკში გადასასვენებლად. დაკრძალვა 28 იანვარს 639

დამწუხრებული შვილები: ალექსი. ირაკლი და ფიალორ ცოლშვილით იუწყებიან, რომ, დღეს. 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ დედის **ნატა იგნატეს-ას. შარაშენიძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 622

სამუდამოდ გაუბედურებული მშობლები: კოლია და იულია ნემსაძეები, ქმარი ივანე, შვილი რეზო ძაძამიძეები ვაუწყებთ საზოგადოებას ჩვენი უძვირფასესი **ფუთუშა (ქეთო) ძაძამიძის** გარდაცვალებას. 634

ბიძაშვილები ვანიჩკა გივი, ლიზიკო ავალიშვილები და მამიდაშვილი სერგო ნანეიშვილი იუწყებიან. რომ 24 იანვარს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი **თინიკო აბალიშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად. 618

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ოლა შვილებით და სიძე ომან ნასიძე აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი **კოტე აბრამის-ძე ფურცელაძე** დაკრძალვა ვაჟიანში 24 იანვარს. 637

სტამბა გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის

მთავლიტის რწმუნებული ა 965